კონსოლიდირებულია თუ არა ეკონომიკა, არ არის დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხარისხზე. კონსოლიდირებული და არაკონსოლიდირებული შეიძლება იყოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკა. იგი ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის “მესაჭის” ფუნქციის განხორციელებაზე, თუ მასზე გარე დამოუკიდებელი უარყოფითი ფაქტორის ძლიერ მოქმედებას არ აქვს ადგილი.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მესაჭის ფუნქციის განხორციელება სრულიადაც არ გამორიცხავს ეკონომიკის ლიბერალიზაციას, პირიქით, იგი სწორედ ლიბერალური ეკონომიკის მოთხოვნებს უნდა ეყრდნობოდეს.

### ეკონომიკური რეგრესი

რასაკვირველია, ისეთი იდეალური მდგომარეობის მიღწევა, როდესაც ყველა ფაქტორი მიმართული იქნება ეკონომიკური განვითარებისაკენ, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, ეკონომიკაში ერთდროულად ადგილი აქვს მასზე მოქმედ ფაქტორთა როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. მაშინ, როდესაც ჭარბობს პირველი, საქმე გვაქვს ეკონომიკურ განვითარებასთან, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში ეკონომიკა თვისებრივი თვალსაზრისით განიცდის უკუსვლას, ანუ მასში ვითარდება განვითარების საწინააღმდეგო პროცესები, რასაც ეკონომიკური რეგრესი შეიძლება ვუწოდოთ. ასეთი ეკონომიკა არ არის კონსოლიდირებული, რადგან ეკონომიკაში მასზე მოქმედ ფაქტორთა ჯამური მოქმედება იწვევს ეკონომიკის თვისებრივად უფრო დაბალ მდგომარეობაში გადასვლას.

ეკონომიკური რეგრესი არის ეკონომიკის ახალ, თვისებრივად უფრო დაბალ მდგომარეობაში გადასვლა.

ყოველი ქმედება კონსოლიდირებული ეკონომიკის მოთხოვნათა წინააღმდეგ, უარყოფით პროცესებს იწვევს ეკონომიკაში, იგი შეიძლება საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ჩაგარდნებთანაც იყოს დაკავშირებული.

იბადება კითხვა – ერთი და იგივე მოვლენაა თუ არა ეკონომიკური რეგრესი და ეკონომიკური კრიზისი? ეკონომიკური კრიზისი სისტემის ელემენტებს შორის მეტად გამწვავებული წინააღმდეგობების გადაწყვეტის საშუალებაა. იგი ეკონომიკური რეგრესის შედეგად წარმოიშობა, რომელსაც ეკონომიკური განვითარება მოჰყვება. ე.ი. კრიზისი ავადმყოფი (რეგრესული) ეკონომიკის განკურნების (თუმცა ხშირად დიდი მსხვერპლის ხარჯზე) პროცესია. ეკონომიკური რეგრესის დროს კი წინააღმდეგობები ხშირად აშკარად თავს არ იჩენს, პირიქით, შესაძლებელია, დადებით მოვლენადაც კი მოგვეჩვენოს, ვინაიდან შეიძლება მას მოჰყვეს ეკონომიკური ზრდა. ეს განპირობებულია იმით, რომ (როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში) შეიძლება ეკონომიკური რეგრესი და ეკონომიკური დაქვეითება გარკვეულ პერიოდში დროში ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. თუმცა, თუ ეკონომიკური რეგრესი აღმოფხვრილი არ იქნება, იგი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადაიზრდება კრიზისში, რასაც ეკონომიკური სისტემის შეცვლაც კი შეიძლება მოჰ-

ყვეს. ეკონომიკური კრიზისი ეკონომიკური რეგრესის აშკარა გამოხატულებაა, რომლის წიაღში იბადება ეკონომიკური განვითარების წინამძღვრები, რაც დროებით კიდევ უფრო აძლიერებს კრიზისს, მაგრამ, საბოლოოდ, ეკონომიკური განვითარების პროცესებს ეკონომიკა გამოჰყავს კრიზისიდან და იწყება ეკონომიკური აღმავლობა. მაშასადამე, ეკონომიკურ კრიზისს განაპირობებს ეკონომიკური რეგრესი, მაგრამ ეკონომიკური რეგრესი შესაძლებელია არ გადაიზარდოს ეკონომიკურ კრიზისში, თუ დროულად იქნება გატარებული შესაბამისი ღონისძიებები.

ეკონომიკურ სისტემაში ეკონომიკურ განვითარებას შეაქვს პროგრესული, ხოლო ეკონომიკურ რეგრესს უარყოფითი ცვლილებები. ისტორიული თვალსაზრისით ეკონომიკური განვითარების ტენდენცია მუდმივია, რეგრესი – დროებითი. რეგრესის ხარისხი და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია რეგრესის სახეობაზე, მის გამომწვევ ფაქტორებზე, სახელმწიფო წყობაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე.

ეკონომიკურ რეგრესსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულების განხილვისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შემდეგ შემთხვევებს:

1. ეკონომიკურ რეგრესს მოჰყვება ეკონომიკური ზრდა. ამის მიზეზი, ძირითადად, ქვეყანაში კრიზისული მოვლენების დიდი ხნით გაგრძელებაა (რასაც ხელს უწყობს გარე და შიგა ომები, სოციალური დაძაბულობა, მთავრობის უუნარობა და ა.შ.), რასაც მოჰყვება სახელმწიფოს ხელში ყველა სადავის აღება, რაც შესაძლებლობას აძლევს მას, დაძლიოს საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები და მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. თუმცა, ამავდროულად, ძლიერდება ეკონომიკური რეგრესი და, საბოლოოდ, ხდება ისევ საბაზრო სისტემაზე გადასვლა ევოლუციური ან რევოლუციური გზით. გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკური რეგრესი გარკვეული დროის განმავლობაში, სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიზანშეწონილად მოგვეჩვენოს. მაგრამ, თუ რეგრესის გამომწვევი მიზეზები აღმოფხვრილი არ იქნა, ეკონომიკური ზრდა შენელებულია და, საბოლოოდ, კრიზისით დასრულდება.

2. ეკონომიკურმა რეგრესმა მაშინვე გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და საბოლოოდ ეკონომიკური დაქვეითება. მაგალითად, პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაციის მძაფრ გაუარესებას მოჰყვება ინვესტიციებისა და, მაშასადამე, ზრდის ტემპების შემცირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარეშე, საბოლოოდ, ეკონომიკური კრიზისი.

3. ეკონომიკური რეგრესი გარკვეული დროის განმავლობაში არავითარ გავლენას არ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე (ან აშკარად არ ჩანს), მაგრამ თანდათან მზადდება პირობები, ჯერ ზრდის ტემპების შესამცირებლად, ხოლო შემდეგ ეკონომიკური დაქვეითებისა და კრიზისისათვის. მაგალითად, საგარეო და საშინაო ვალების ზრდა და მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება, საბოლოოდ განაპირობებს ინვესტიციების შეკვეცას და სხვა უარყოფით მოვლენებს. ასევე შესაძლებელია მთავრობის არაეკონომიკურ ჩარევებს ბიზნესში, მაშინვე არ მოჰყვება შესამჩნევი უარყოფითი შედეგები, მაგრამ თანდათან იგი გახდება მრავალი ნეგატიური პროცესის საფუძველი (რესურსების არარაციონალური განაწილება, კორუფცია, ნეპოტიზმი და სხვ.) და ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი.

#### ეკონომიკური რეგრესის წყაროები

შეიძლება განხილავს მოსაზრება, რომ ეკონომიკური რეგრესი გამოწვეულია ინოვაციების განხორციელების წყვეტადობით ეკონომიკაში, რაზეც საუბარია შემპეტერთან და რაზეც მიუთითებს საშუალოვადიანი (ვან გოლდერენის, კლი-

მენტ ჟუგლიარის, სეიმონ კუზნეცის, ჯოზეფ კიტჩინის) და გრძელვადიანი (ნიკალაი კონდრატიევის) ციკლების არსებობა. ეს ციკლები არავითარ კავშირში არ არის ეკონომიკურ რეგრესთან. იგი დაკავშირებულია ეკონომიკური განვითარების წყვეტად ხასიათთან. ბუნებრივია, ინოვაციებს ამა თუ იმ დარგში არ აქვს მუდმივი ხასიათი. ინოვაციები დროთა განმავლობაში ძველდება და დგება ეკონომიკური ზრდის შენელების პერიოდი. ეკონომიკა მეწარმეების, მეცნიერებისა და მთავრობის ერთობლივი ქმედებით ამაზე პასუხობს კვლავ ახალი ინოვაციებით და იწყება ახალი ციკლი. ჩვენი აზრით, ასეთი ციკლების არსებობა უდავოა, მაგრამ მათი მუდმივი პერიოდულობით განმეორებადობის არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს. ინოვაციური ეკონომიკის პირობებში ასეთი ციკლების ხანგრძლივობა თანდათან მცირდება. საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ციკლების დროს ადგილი აქვს არა ეკონომიკის უკუსვლას, არამედ ინოვაციების მოძველებას, ამის საფუძველზე ზრდის ტემპების შენელებას და სწორედ შენელების დროს ევრება საფუძველი დადებით თვისებრივ ცვლილებებს – ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც შედეგს იძლევა ციკლის მომდევნო ნახევარში და კვლავ იწყება ზრდის ტემპების მატება.

ეკონომიკურ რეგრესს, თუ ის დროულად არ აღმოიფხვრა, დროთა განმავლობაში მოჰყვება რეცესია, დაქვეითება და შემდეგ კრიზისი.

მაშასადამე, ეკონომიკურ რეგრესს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არსებობს ეკონომიკური რეგრესის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი, დაკავშირებული როგორც ეკონომიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებსა და საბაზრო ჩავარდნებთან, ისე მთავრობის მიერ დაშვებულ უნებლიე თუ ნებისთ შეცდომებთან. არსებობს ეკონომიკური რეგრესის სხვადასხვა წყარო, ესენია:

მიიმე სოციალური პირობები – როდესაც მთავრობას არ შესწევს უნარი, მოსახლეობისათვის შექმნას ცხოვრების შესაბამისი პირობები, დაამყაროს წესრიგი, შექმნას მყარი ეკონომიკური ზრდის წინამძღვრები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება დამთავრდეს მთავრობაში ახალი ძალების მოსვლით, რომელიც ხელში აიღებს სახელმწიფოს მართვის ყველა სადავეს და სწრაფად მიაღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს. ეს შეიძლება განხორციელდეს საბაზრო ეკონომიკის უმკაცრესი შეზღუდვის პირობებში ან ფორმალურად, ბაზრის შეუცვლელად.

პირველი ვარიანტი განხორციელდა საბჭოთა კავშირში, რომელსაც თავდაპირველად მოჰყვა სწრაფი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ეკონომიკაში ჩაიღო უარყოფითი მუხტი, რომელსაც საბოლოოდ მოჰყვა კვლავ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. მიგვაჩნია, ეს გადასვლა დროულად რომ განხორციელდებოდა, საბჭოთა კავშირში მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა.

1. იყო თუ არა საბჭოთა კავშირის დროს ბაზარი? თქმა იმისა, რომ სოციალიზმის დროს საერთოდ არ არსებობდა ბაზარი, არასწორია. იქ, სადაც არსებობს საქონელგაცვლა, გარკვეული ფორმით არსებობს ბაზარიც. მაგრამ ის საბჭოთა კავშირში არსებობდა უკიდურესად შეზღუდული ფორმით. ამ შემთხვევაში ბაზრის ბევრ ფუნქციას ითავსებდა სახელმწიფო, მაგრამ იგი, თუმცა დიდი შეზღუდვების პირობებში, მაინც ეყრდნობა ბაზრის მოთხოვნებს. დიდი დაბრკოლებებით, მაგრამ მაინც, სახსრები მიედინებოდა იმ სფეროებში, რომელზეც მოთხოვნა მეტი იყო. ფასებს სახელმწიფო ადგენდა, მაგრამ იგი, გარკვეულწილად, მაინც ეყრდნობოდა მოთხოვნა-მიწოდების კანონს. კერძო საკუთრება აკრძალული იყო, მაგრამ ის მაინც არსებობდა პირადი საკუთრების სახით და ჩრდილოვან ეკონომიკაში. მართალია, საწარმოები საერთო საკუთრებაში იმყოფებოდა, მაგრამ მმართველი ჯგუფი მას ექცეოდა, როგორც კერძო საკუთრებას, რის შედეგადაც ისინი დებულობდნენ არაკანონიერ, მაგრამ თა-

ვიანთი “სამეწარმეო” საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. მაშასადამე, საწარმოებში არსებობდა დასაქმებულ საქმოსანთა ფენა, რომლებიც გარკვეულწილად წარმოადგენენ ბიზნესმენტა თვისებების მატარებლებს [კაპაგა ვლ., 2002]. პრინციპში, მათი საქმიანობა დაკავშირებული იყო დადებით თვისებრივ ძვრებთან ეკონომიკაში, გარკვეულ პროგრესთან (ტექნოლოგიების სრულყოფა, ბიუროკრატის ბატონობის შესუსტება, წინაპირობების შექმნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, არაფორმალური ინსტიტუციების სრულყოფა და ა.შ.). ბაზრის არსებობაზე მიუთითებს ასევე საკოლმეურნეო საკუთრებისა და თავისუფალი საკოლმეურნეო ბაზრის არსებობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1927 წლამდე საბჭოთა კავშირში არსებობდა კერძო საკუთრება (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად) და შემდეგაც, 1956 წლამდე, ფუნქციონირებდა “სარეწაო კოოპერაციის” სრულიად განსხვავებული მიმართულებების სამეწარმეო სექტორი (კვების მრეწველობა თუ ლითონგადამამუშავებელი მრეწველობა, საიუველირო საქმე თუ ქიმიური მრეწველობა), სახელოსნოები და საწარმოები (არტელები), რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში. სამეწარმეო სექტორში ფუნქციონირებდა საკონსტრუქტორო ბიუროები, ექსპერიმენტული ლაბორატორიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, არასახელმწიფოებრივი სააგენსიო სისტემა, არტელები გასცემდნენ სესხებს და ა.შ. მაშინდელი საბჭოთა მთავრობა, როგორც ჩანს, ხვდებოდა ეკონომიკური რეგრესის უარყოფით შედეგებს და ხელს უწყობდა კერძო საკუთრების განვითარებას და სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებას. 1956 წელს ეს სამეწარმეო სექტორი რომ არ განადგურებულიყო და გაძლიერებულიყო, საბჭოთა კავშირში მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას ექნებოდა ადგილი.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა იყო უკიდურესად შეზღუდული საბაზრო ეკონომიკა, რის გამოც მას ეწოდა არასაბაზრო – მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკა.

რა იყო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის ძირითადი ნაკლოვანებები, რომელიც ხელს უშლიდა ეკონომიკის შემდგომ განვითარებას? ამ კითხვაზე პასუხი მოცემულია ამ პრობლემების შემსწავლელ ცნობილ წარმომადგენელთა ნაშრომებში [Жорнаи Я., 1990; Мизес Е. Л., 1993; Хайек Ф. 1991], რომლის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს:

1. რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია ცვლის საბაზრო მექანიზმს, ერთიანი ცენტრი იძულებულია, გადაამუშაოს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია, რათა შემდეგ გასცეს ბრძანება თითოეული ეკონომიკური აგენტისადმი. მაგრამ, ერთ ორგანიზაციას, როგორი უნიკალური შესაძლებლობებიც არ უნდა ჰქონდეს მას, დანაკარგების გარეშე ამის გაკეთება არ შეუძლია, ვინაიდან გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს ეკონომიკა, მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რის გამოც გამუდმებით იცვლება მასზე მოქმედი ფაქტორები. ბუნებრივია, ამის გამო გეგმები ვერ სრულდება და იწყება ქაოსი – შეზღუდული ეკონომიკური რესურსები მეტად არარაციონალურად გამოიყენება. საბაზრო ეკონომიკა კი, ფასების მექანიზმის მეშვეობით, ამ პრობლემას თითქმის ავტომატურად აგვარებს.

2. საგეგმო ეკონომიკის დროს ასევე დიდია ტრანსაქციური დანახარჯები, რომელიც გაიწევა საგეგმო დავალებათა მისაღებად და მათი ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატის შესანახად.

3. კერძო საკუთრებისა და მეწარმეობის აკრძალვის გამო თითქმის

<http://pervodika.ru/articles/18491.html>;

[http://maxpark.com/community/129/content/1978671#comment\\_25562869](http://maxpark.com/community/129/content/1978671#comment_25562869)

მოლიანად იგნორირებულია ადამიანთა შემოქმედებითი უნარი, თუმცა ცალკეული პირები მაინც ასერხებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენას, მაგრამ ეს ხდება ჩრდილოვან ეკონომიკაში, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე დიდ დანახარჯებს მოითხოვს.

4. ეკონომიკური განვითარების ლოგიკას ასეთ პირობებში ტოტალიტარიზმთან, ანუ ისეთ სისტემასთან მივყავართ, სადაც ადამიანური საქმიანობის ყველა დარგი ხელისუფლებას ემორჩილება, რაც ასევე დაკავშირებულია ტრანსაქციური დანახარჯების ზრდასთან. ასეთ პირობებში, ხელფასის დაბალი დონის გამო, თანდათან ჩნდება და ვითარდება კორუფცია, რომელიც მთელი საზოგადოებისთვის გარკვეულ წესად იქცევა და ტრადიციის ხასიათსაც კი იძენს. ყალიბდება ეგრეთ წოდებული “ბიუროკრატიული”, ანუ “ადმინისტრაციული” ბაზარი, სადაც იყიდება არა მხოლოდ მატერიალური ფასეულობები, არამედ “ძალაუფლება” და “ხელქვეითობა”, “წესები და მისი დარღვევები” და ა.შ. ასეთი ურთიერთობების წლების განმავლობაში განმეორების გამო საზოგადოებაში ყალიბდება შესაბამისი წეს-ჩვეულებები, იქმნება დაუწერელი სამართალი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევებზე.

5. მეურნეობრიობის ასეთი სტილი მუდმივ დეფიციტს წარმოშობს როგორც მწარმოებლების, ისე მომხმარებლებისათვის, რაც თავისთავად იწვევს წარმოების დიქტატს მომხმარებლებზე. ჩნდება რიგები, “დახლქვეშა პროდუქცია” და ა.შ.

6. სახელმწიფოს მხრიდან ვლინდება ცალკეულ საწარმოთა მკაცრი რეგლამენტაცია და, ამავე დროს, მათზე ზრუნვა. მართალია, ყოველი საწარმო განიცდის რესურსების ნაკლებობას, მაგრამ მას შეუძლია იმუშაოს ზარალის პირობებშიც, იგი არასდროს გაკოტრდება, ვინაიდან სახელმწიფო აუცილებლად დაეხმარება და ისინი გასაჭირისაგან. ასეთ პირობებში უარესდება პროდუქციის ხარისხი, მიუხედავად ამისა, რიგებით შეწუხებული ადამიანები ყველაფერს ყიდულობენ.

7. მიწოდებაზე მოთხოვნის მუდმივი სიჭარბე იწვევს ფულადი მასის ზრდას და მის მრავალჯერად სიჭარბეს სასაქონლო მასასთან შედარებით. ასეთი დისბალანსის შედეგად გამოწვეული ინფლაციური პროცესები ითრგუნება ძალით, ფიქსირებული ფასების მეშვეობით. ადგილი აქვს ფარულ ინფლაციას, რაც თავის გამოხატულებას პოულობს რიგებში, ტალონებში, ბარათებსა თუ დეფიციტური საქონლის განაწილების სხვა ფორმებში.

8. ცენტრალიზებული საგეგმო ეკონომიკური წყობილების დროს სახელმწიფო შედარებით უმნიშვნელო მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რაც ეგრეთ წოდებული უცხოური ვალუტის “შავი ბაზრის” წარმოშობას იწვევს. ასევე, გასაგებია, თუ რა დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკური პროცესებისაგან მოწყვეტა.

9. ერთი მხრივ, ცალკეული ადამიანის ყოველმხრივი დამოკიდებულება ხელისუფლებაზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მათზე მზრუნველობა, ბაღებს ინფანტილიზმს და უუნარობას, ბრძანებისა და მზრუნველობისაკენ მაყურებელ ადამიანთა ტიპს და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის მკაცრი შეზღუდვა სხვა გზით განხორციელდა გერმანიაში. პიტლერის გამარჯვებას ხელი შეუწყო მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა სიტუაციამ, 1928 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა. კლასიკური საბაზრო ეკონომიკა უძლური იყო, გამოსულიყო მდგომარეობიდან ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების გარეშე. იტალიაში ამის მიზეზი გახდა მარცხი პირველ მსოფლიო ომში, კოლონიების დაკარგვა და საერთაშორისო შეზღუდვები; ეკონომიკური და სოციალური კრიზისი; მთავრობის უუნარობა –

გამოეყვანა ქვეყანა კრიზისიდან. იქ ეკონომიკა ვითარდებოდა კერძო საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის საფუძველზე, მაგრამ ყველაფერი ეს ექვემდებარებოდა მთავრობის მოთხოვნებს. მთავრობა აკონტროლებდა ეკონომიკის ყველა სფეროს. იზღუდებოდა კერძო საკუთრებაც [Berend Tibor Ivan., 2005; Stanley G. A., 1995]. ფირმები იმდენად შეზღუდულები იყვნენ თავიანთ საქმიანობაში, რომ ისინი არ მიეკუთვნებოდნენ არც კერძო, არც სახელმწიფო საკუთრებას.

საბაზრო ეკონომიკის ძალდატანებითი შეცვლა ან სხვა ეკონომიკური სისტემის ტრანსპლანტაცია. რუსეთში საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ მან შემოიერთა ის ქვეყნები, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ და ყველგან დამყარდა სოციალისტური წყობა, რის შედეგადაც ამ ქვეყნებში განხორციელდა საბაზრო ეკონომიკის მკაცრი შეზღუდვა. ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი ომის შემდგომ წლებში მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა. იგი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სახით:

ეკონომიკის სოციალიზაცია. შერეული ეკონომიკის დროს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში იზრდება და ზოგჯერ იგი გადადის ეკონომიკის სოციალიზაციაში, რასაც მოჰყვება სახელმწიფოს ხელში ხელისუფლების კონცენტრაცია, რაც თავისთავად ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას და მრავალი უარყოფითი მოვლენის წყაროა. საბოლოოდ, საქმე გვექნება ეკონომიკურ რეგრესთან, რასაც მოჰყვება ეკონომიკური კრიზისი. ამის მიზეზები შესაძლებელია ვეძიოთ ეკონომიკურ პარალოგიზმებში (უნებლიე მცდარი ღოგიკით შემცდარ ღონისძიებებზე გასვლა) [პაპავა გ., 2011], ხელისუფლებაში მოსული ადამიანებისა და, საერთოდ, საზოგადოების მენტალიტეტში, ინტერესთა ჯგუფების ზეწოლაში, დემოკრატიის სისუსტეებში [ბალცეროვიჩი ლ., 2005].

ეკონომიკური თავისუფლება არ უნდა ავურიოთ პოლიტიკურ თავისუფლებაში, ვინაიდან შესაძლებელია ქვეყანაში იყოს ავტოკრატიული ხელისუფლება, მაგრამ, ამავე დროს, არსებობდეს სრული ეკონომიკური თავისუფლება (მაგალითად, სინგაპური და ტაივანი, თავის დროზე სამხრეთ კორეა). გამოითქმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დემოკრატია უნდა უმაღლოდეს კაპიტალიზმს (ანუ თავისუფლებას ეკონომიკაში) და არა პირიქით [ბალცეროვიჩი ლ., 2005; Фридман М., 2006; Шумпетер Й., 1949]. გარკვეულწილად ეს მართალია, ვინაიდან კაპიტალიზმმა მოიტანა დემოკრატია – რადგანაც ეკონომიკური თავისუფლების გარეშე დემოკრატია ვერ მიიღწევა, მაგრამ დემოკრატიის გარეშეც ეკონომიკური თავისუფლება, შესაძლებელია, არ არსებობდეს ან დიდხანს ვერ იქნეს შენარჩუნებული.

არასწორი საგადასახადო პოლიტიკა. გადასახადების არაოპტიმალური სიდიდე ამცირებს ინვესტიციებს, აფერხებს ტექნოლოგიების სრულყოფას, ინოვაციების განხორციელებას და, მაშასადამე, ეკონომიკურ ზრდას ან ამცირებს შემოსავლებს ბიუჯეტში, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს თავისი ფუნქციების განხორციელებაში, რასაც ასევე მოჰყვება ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება.

გარე სამყაროსგან იზოლაცია, მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. ასეთ პოლიტიკას მოჰყვება ინვესტიციების შეზღუდვა, ტექნოლოგიების განუვითარებლობა, ინოვაციების შემცირება, კონკურენტუნარიანობის შემცირება და ა.შ.

არასრულყოფილი ინსტიტუციები აფერხებს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებას. წარმოშობს მრავალ ნეგატიურ მოვლენას: ჩრდილოვან ეკონომიკას, ნეპოტიზმს, კორუფციას, ეტატიზმს და ა.შ.

მთავრობის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას განეკუთვნება ასევე: არჩევნების დროს პოლიტიკოსების მიერ შემოთავაზებული პოპულისტური

დაპირებები; არასწორი ანტიმონოპოლისტური პოლიტიკა; ბიზნესში მთავრობის არაეკონომიკური ჩარევა; კერძო საკუთრების ხელყოფა; არასწორი აგრარული, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა და სხვა.

გლობალიზაცია. როგორც უკვე აღინიშნა, თუ სამართლიანი გლობალიზაცია არ განხორციელდა, მან შესაძლებელია, ძალიან დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე: შეზღუდოს ეროვნული წარმოება, შეანელოს ტექნოლოგიური პროგრესი, შეამციროს ადამიანისეული კაპიტალი, გაანადგუროს ბუნებრივი რესურსები და ა.შ. გარდა ამისა, გლობალური ხასიათის ნეგატიური პროცესები ასევე ნეგატიურად აისახება ეროვნულ ეკონომიკაზე და სხვ.

საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნები. საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნების პრობლემები ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდაა განხილული. ჩვენ დავძენთ მხოლოდ იმის შესახებ, რომ, თუ ეს პრობლემები დროულად არ იქნა აღმოფხვრილი, ეკონომიკაში რეგრესული პრობლემები წარმოიშობა. მაგალითად, თუ სიღარიბისა და შემოსავლების განაწილების უთანაბრობის პრობლემა დროულად არ იქნა გადაჭრილი, მას შესაძლებელია მოჰყვეს სოციალური და კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება; ეკოლოგიური მოთხოვნების გაუთვალისწინებლობას – ბუნებრივი რესურსების, ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება, პროდუქციის გასაღების შემცირება და სხვ.

ეკონომიკის ქაოსური ხასიათი. იგი ეკონომიკური რეგრესის ყველაზე უხილავი წყაროა, რომლის მთლიანად თავიდან აშორება შეუძლებელია. ქაოსურობის შედეგად გამოწვეული რეგრესის გამოცნობა არათუ კრიზისამდე, არამედ კრიზისის დროს და კრიზისის შემდეგაც კი ძნელია (მაგალითად, ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია დიდი ეკონომიკური დეპრესიის და სხვა კრიზისების არაერთი მიზეზი). ბაზარზე არსებობს უამრავი რაოდენობის ეკონომიკური აგენტი, რომელთა საქმიანობა მთავრობის მიერ დადგენილი “თამაშის წესების” ფარგლებში მთლიანად თავისუფალია. მართალია, საბაზრო ეკონომიკას მართავს სხვადასხვა სახის კანონი, რომელიც მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტაბილურობას ანიჭებს, მაგრამ, თითოეული აგენტის საქმიანობა და მათი აგრეგირებული მოქმედება ყოველთვის არ შეესაბამება ეკონომიკური სტაბილიზაციის მოთხოვნებს. ქაოსურობის მრავალი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. მაგრამ, ამავე დროს, ბაზრის ქაოსურობა იძლევა საბაზრო მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას. მაშასადამე, სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს არა ქაოსურობის აღმოფხვრა, არამედ მისი უარყოფითი მოქმედების გამოცნობა და თავიდან აცილება ან დამდგარი უარყოფითი შედეგების რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით დაძლევა.

ბუნებრივი პირობების ცვლილება. არის თუ არა ბუნებრივი პირობების ცვლილების შედეგად (გვაღვა, წყალდიდობები, მოუსავლიანობა, ნედლეულის მარაგების შემცირება და ა.შ.) გამოწვეული დაქვეითება ეკონომიკური რეგრესის წყარო? რასაკვირველია, გარკვეული ზომით არის, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს რა ეკონომიკურ ვარდნას, ანუ რაოდენობრივ ცვლილებებს, იგი გადადის უარყოფით თვისებრივ ცვლილებებში. მაგალითად, იზრდება უმუშევრობა და სიღარიბე, რაც აქვეითებს ქვეყნის ადამიანისეულ კაპიტალს და იწვევს სოციალურ დაძაბულობას და ა. შ.

არასწორი საგარეო პოლიტიკა. პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებთან კონფრონტაციისაკენ.

გარდა ამისა, ეკონომიკური რეგრესის წყარო შეიძლება იყოს: ტექნოლოგიების, წარმოების მეთოდებისა და ფორმების განუვითარებლობა; სოციალური დაძაბულობა, კრიმინოგენური სიტუაციის დაძაბვა; ინფლაციის, უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე; ვალუტის კურსის სწრაფი და დიდი ზო-



მით ცვლილება; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებლობა და გაუმართაობა; ფულის ემისია; ბიუჯეტის დეფიციტი; დიდი სახელმწიფო და საგარეო ვალი, ჭარბმოსახლეობა და სხვ.

სახელმწიფო როლზე ეკონომიკის მხსაზე

ჩვენ აქ არ შევხებით სახელმწიფოს ცნობილ ეკონომიკურ ფუნქციებს. მივუთითებთ მხოლოდ იმაზე, თუ რა როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფომ ეკონომიკური განვითარების დასახელებლად და ეკონომიკური რეგრესის თავიდან ასაცილებლად ან მის სწრაფად აღმოსაფხვრელად, რის განსახორციელებლადაც მას არაეკონომიკური ფუნქციების განხორციელებაც მოუწევს, ვინაიდან კონსოლიდირებული ეკონომიკის, ანუ განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს. აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი სახელმწიფოს როლზე ეკონომიკური (და სოციალური), ისე საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

კონსოლიდირებული ეკონომიკის, ანუ განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და შენარჩუნება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია გამართული სამეურნეო სისტემის შექმნაზე, რომელიც ეფუძნება საბაზრო მექანიზმს. ასეთი სამეურნეო სისტემის შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: მეწარმეობის თავისუფლება, კერძო საკუთრების დომინირება და მისი ხელშეუხებლობა, ბიზნესის გადაქცევა შემოქმედებითი საქმიანობის სფეროდ, ჯანსაღი ფინანსების არსებობა, მეცნიერების განვითარება, სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის კოორდინირება. სახელმწიფოს მარეგულირებელი ინსტრუმენტებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინოვაციურ ინსტრუმენტებს, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ინოვაციური რეგულირება საშუალებას მოგვცემს, ეკონომიკა გადაადგილდეს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ მოხერხდეს ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული შემცირება, საშინაო პოლიტიკის განხორციელებისას სახელმწიფოს საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ზნეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის განვითარებისა და კრიმინოგენური სიტუაციის სულ უფრო გაუმჯობესებისაკენ, სასამართლო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისაკენ. საგარეო სფეროში სახელმწიფომ თავიდან უნდა აიშოროს სამხედრო კონფლიქტები, განახორციელოს სამშვიდობო პოლიტიკა, უზრუნველყოს გლობალიზაციის დადებითი შედეგების გამოყენება და უარყოფითი შედეგთა თავიდან აცილება.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეროვნული წარმოების ხელშემწყობი პოლიტიკა, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით. სახელმწიფოს სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საბაზრო პრინციპების დამკვიდრება პრაქტიკაში, აღმოფხვრას პატერნალიზმი, ეტატიზმი, ნეპოტიზმი, კორუფცია და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინება.

ეკონომიკაში რეგრესული პროცესების წარმოშობის შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დეტერმინანთა სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის წარმომშობ წყაროებს. მაგალითად, ინსტიტუციური რეგრესის გამოსავლენად უნდა დადგინდეს ნაკლოვანებები ინსტიტუციებში და ა.შ.

მაშასადამე, კონსოლიდირებული ეკონომიკის შესანარჩუნებლად აუცილებელია მისი არა მხოლოდ უშუალო რეგულირება, არამედ გაძლიერება, ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც მასზე მოქმედებს, ანუ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ეკონომიკის “მესაჭის” როლი. ამისათვის იგი ყოველმხრივ

უნდა ცდილობდეს, თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური რეგრესი შესაბამისი დეტერმინანტების თითქმის ყოველდღიური ანალიზის შედეგად, რომელშიც ჩართული უნდა იყვნენ მეცნიერები და მაღალკვალიფიციური პერსონალი. მთავარია არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ ეკონომიკური რეგრესის თავიდან აცილებაზე ზრუნვა, ვინაიდან ეს ორი პროცესი ყოველთვის ურთიერთგამომრიცხავი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი შეფერხებები იქნება.

ეკონომიკური რეგრესის ბაზოვლენის მიხეხეპი სჰჰართველოს ეკონომიკაში

რეგრესული პროცესების კვლავწარმოების მაგალითად, სხვა ქვეყნებთან ერთად, შეიძლება გამოდგეს საქართველოც, სადაც ადგილი ჰქონდა ეკონომიკური რეგრესის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მიზეხეებს [მაგ.: ასათიანი რ., 2014; ბერულავა გ., 2011; მესხია ი., 1996; პაპავა ვ., 2011; სილაგაძე ა., 2013; ჩიქავა ლ., 2012; ჭითანავა ნ., 1999; წერეთელი გ., 2003; Abesadze R., 2011; Abesadze R., 2009; Beridze T., 2004; Burduli V., 2012; Papava V., 2005; Papava V., 2013; Папавა Г., 2009]:

ობიექტური მიზეხეებიდან შეიძლება დავასახელოთ:

1. საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. შიგა არასწორი პოლიტიკის შედეგად საზოგადოება ორ ნაწილად გაიხლიჩა (რაც დღესაც კი გრძელდება). გარე არასწორი პოლიტიკის შედეგად ჩვენ დაფუპირისპირდით მსოფლიოს დიდ სახელმწიფოს. ორივე ამ შეცდომაში ქვეყანა მიიყვანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამდე და კრიმინოგენური სიტუაციის უკიდურესად დაძაბვამდე. ეკონომიკა ცალკეული კრიმინალური დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდა.

2. დიდი ხნის განმავლობაში დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის არაეფექტიანი ზომების გატარება, რის გამოც მიიმე კრიმინოგენური სიტუაცია წლობით გაგრძელდა.

3. ეკონომიკური რეფორმების არაკომპლექსურობა და არასისტემურობა.

4. ლიბერალური პოლიტიკის არასწორი აღქმა და განხორციელება. მთელ პოსტკომუნისტურ პერიოდს წითელ ზოლად გასდევს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე თითქმის ხელის აღება ლიბერალური პოლიტიკის განხორციელების საბაბით, თუმცა, ლიბერალური პოლიტიკა არ ხორციელდებოდა, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდამდე ბიზნესი განიცდიდა სახელმწიფოს მხრიდან უხეშ არაეკონომიკურ ჩარევებს. თავდაპირველად რეკეტი ვლინდებოდა მის ყველა საფეხურზე, ბოლოს კი – უმეტესად, ფუნქციონირების დროს. მართლაც ლიბერალური პოლიტიკა რომ განხორციელებულიყო, მაინც საჭირო იყო გარკვეული დოზით პროტექციონისტური პოლიტიკის (რასაც მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მიმართავდა და მიმართავს საჭიროების შემთხვევაში) გატარება, რათა არ მომხდარიყო საკუთარი ეროვნული წარმოების განადგურება, რამაც ეკონომიკის ცალკეული სფეროების განუვითარებლობამდე და არასრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა.

5. რეფორმების განხორციელების არასწორი გზის არჩევა. ტრანსფორმაციული პროცესები საქართველოში იმდენად მიიმედ დაიწყო, რომ აუცილებელი იყო შოკური თერაპიის განხორციელება, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო წინასწარი მომზადება. ამ მხრივ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა იყო საქართველოს დარჩენა სამანეთო ზონაში, რაც, ბუნებრივია, საკუთარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების საშუალებას არ იძლეო-

და. არადა, საქართველომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორედ საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის მქონე ქვეყნის გზა – “შოკური თერაპიის” გზა აირჩია. “შოკური თერაპიის” მეთოდის რეალიზაცია სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. ამგვარი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში “შოკური თერაპიის” მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული. ასეც მოხდა, შოკურმა თერაპიამ ჩვენთან კრაზი განიცადა. “შოკური თერაპიის” 13 მოთხოვნიდან მხოლოდ 2 შესრულდა [პაპავა ვლ., 2002].

6. გარდამავალი ვალუტის – კუპონის შემოღების შემდეგ არასწორი ფულად-საკრედიტო (ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულადი და საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება) პოლიტიკის გატარება, რის შედეგადაც მოხდა კუპონის ძლიერი გაუფასურება - ჰიპერინფლაცია.

7. საქართველოს ეკონომიკაში 1995-1997 წლებში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების შემდეგ რეფორმების კვლავ არასწორად წარმართვა, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობა. შედეგად გაიზარდა კორუფციის დონე, გაძლიერდა ბიზნესის რეკეტი, წარმოიშვა საფინანსო, საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი, გამწვავდა კრიმინოგენური სიტუაცია და ა.შ.

8. მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარებების არაეფექტიანად გამოყენება, რაც ასევე წითელ ზოლად გასდევს მთელ ტრანსფორმაციულ პერიოდს.

9. ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების არასრულყოფილი შესაბამისობა საბაზრო მოთხოვნებისადმი.

10. მცირე ბიზნესის განვითარებისადმი უყურადღებობა. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უშლის ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას

11. წლების განმავლობაში სოფლის პრობლემების უგულვებელყოფა, რის გამოც სოფლის ეკონომიკა, ფაქტობრივად, განადგურების პირას მივიდა.

12. ომი რუსეთთან. ვერ შევქვედით რუსეთთან ომის თავიდან აცილებას, რომელმაც საქართველოს ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა. გარდა ტერიტორიების დაკარგვისა, მას მოჰყვა ეკონომიკური განვითარების შეფერხება, ინვესტიციების შემცირება, წმინდა ეკონომიკური ზარალი.

13. პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები.

14. საჯარო სამსახურებში მომუშავეთათვის არაოფიციალურად ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება. არასააპენსიო ასაკის მქონე პირთა სამსახურიდან გათავისუფლებას მოჰყვა ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობის ხელოვნური ზრდა.

15. კერძო საკუთრების (რომელიც საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს) ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა.

16. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება. შედეგად შემცირდა კონკურენციის დონე, რაც საგანგაშო საბაზრო ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

17. საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდა როგორც საზოგადოების ცალკეულ ფენებს, ასევე საზოგადოების დიდ ნაწილსა და მთავრობას შორის.

18. შემოსავლების უთანაბრობის ზრდა. რაც ასევე ზრდის სოციალურ დაძაბულობას.

დასკვნა

ეკონომიკის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა დამოკიდებული ხდება მასზე მოქმედ სულ უფრო მეტ ფაქტორზე. ამდენად, ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვება ამ ფაქტორთა გარკვეული კონსოლიდაცია, რათა ეკონომიკური სისტემა მუდმივად იყოს მიმართული ეკონომიკური განვითარებისა და, ამის საფუძველზე, ეკონომიკური ზრდისაკენ. ასეთ ეკონომიკურ სისტემას შეიძლება ვუწოდოთ “კონსოლიდირებული ეკონომიკური სისტემა” ან უბრალოდ “კონსოლიდირებული ეკონომიკა”.

კონსოლიდირებული ეკონომიკა არის ისეთი ეკონომიკა, რომელზეც მოქმედ ფაქტორთა ერთობლიობა ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას ანუ ეკონომიკის თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას.

ეკონომიკური რეგრესი არის ეკონომიკის ახალ, თვისებრივად უფრო დაბალ მდგომარეობაში გადასვლა.

ეკონომიკურ რეგრესსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულების განხილვისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შემდეგ შემთხვევებს: ეკონომიკურ რეგრესს მოჰყვება ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკურმა რეგრესმა მაშინვე გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და საბოლოოდ ეკონომიკური დაქვეითება; ეკონომიკური რეგრესი გარკვეული დროის განმავლობაში არავითარ გავლენას არ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე (ან აშკარად არ ჩანს), მაგრამ თანდათან მზადდება პირობები ჯერ ზრდის ტემპების შესამცირებლად, ხოლო შემდეგ ეკონომიკური დაქვეითებისა და კრიზისისათვის.

ეკონომიკურ რეგრესს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არსებობს ეკონომიკური რეგრესის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი, დაკავშირებული როგორც ეკონომიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებსა და საბაზრო ჩავარდნებთან, ისე მთავრობის მიერ დაშვებულ უნებლიე თუ ნებისთნე შეცდომებთან. არსებობს ეკონომიკური რეგრესის სხვადასხვა წყარო, ესენია: მიმე სოციალური პირობები; საბაზრო ეკონომიკის ძალდატანებითი შეცვლა ან სხვა ეკონომიკური სისტემის ტრანსპლანტაცია; არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა; ეკონომიკის სოციალიზაცია; არასწორი საგადასახადო პოლიტიკა; გარე სამყაროსგან იზოლაცია, მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება; არასრულყოფილი ინსტიტუციები; გლობალიზაცია; საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნები; ეკონომიკის ქაოსური ხასიათი; არასწორი საგარეო პოლიტიკა; ბუნებრივი პირობების ცვლილება.

მაშასადამე, კონსოლიდირებული ეკონომიკის შესანარჩუნებლად აუცილებელია მისი არა მხოლოდ უშუალო რეგულირება, არამედ გაძლიერება, ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც მასზე მოქმედებს, ანუ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ეკონომიკის “მესაჭის” როლი. ამისათვის იგი ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს, თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური რეგრესი შესაბამისი დეტერმინანტების თითქმის ყოველდღიური ანალიზის შედეგად, რომელშიც ჩართული უნდა იყვნენ მეცნიერები და მაღალკვალიფიციური პერსონალი.

ეკონომიკაში რეგრესული პროცესების წარმოშობის შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დეტერმინანტთა სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის წარმოშობ წყაროებს. მაგალითად, ინსტიტუციური რეგრესის გამოსავლენად უნდა დადგინდეს ნაკლოვანებები ინსტიტუციებში და ა.შ.

რეგრესული პროცესების კვლავწარმოების მაგალითად, სხვა ქვეყნებთან ერთად, შეიძლება გამოდგეს საქართველოც, სადაც ადგილი ჰქონდა ეკონომიკური რეგრესის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მიზეზებს: საწყის ეტაპ-

ზე სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა; დიდი ხნის განმავლობაში დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის არაეფექტიანი ზომების გატარება, რის გამოც მიიმე კრიმინოგენური სიტუაცია წლებით გაგრძელდა; ეკონომიკური რეფორმების არაკომპლექსურობა და არასისტემურობა; ლიბერალური პოლიტიკის არასწორი აღქმა და განხორციელება; რეფორმების განხორციელების არასწორი გზის არჩევა; გარდამავალი ვალუტის – კუპონის შემოდების შემდეგ არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება; საქართველოს ეკონომიკაში 1995-1997 წლებში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების შემდეგ რეფორმების კვლავ არასწორი წარმართვა, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობა; მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარებების არაეფექტიანად გამოყენება; ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების არასრულყოფილი შესაბამისობა საბაზრო მოთხოვნებისადმი; მცირე ბიზნესის განვითარებისადმი უყურადღებობა; წლების განმავლობაში სოფლის პრობლემების უგულებელყოფა; ომი რუსეთთან; პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები; შემოსავლების უთანაბრობის ზრდა; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება; საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდა; საჯარო სამსახურებში მომუშავეთათვის არაოფიციალურად ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება და სხვ.

#### ლიტერატურა

ასათიანი რ., 2014., საით მიდის საქართველო? თბ., “სიახლე”.

ბალცეროვიჩი ლ., 2005, თავისუფლება და განვითარება, თბ., სიახლე.

ბერულავა გ., 2011, საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირების კანონზომიერებები და მისი სრულყოფის პერსპექტივები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 4, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”.

მესხია ი., მურჯიკნელი მ., 1996, ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბ., “თსუ გამომცემლობა”.

პაპავა გ., 2011, ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია. თბილისი, “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”.

პაპავა ვლ., 2002, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., “პდპ”.

სილაგაძე ა., 2013, „პოსტსაბჭოური ეკონომიკის“ განვითარების ზოგადი ასპექტები. კრებული: „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თბ., “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”.

ჩიქავა ლ., 2012, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი “უნივერსალი”.

ჭითანავა ნ., 1999, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება). ნაწილი II. თბილისი, სესპსკი.

წერეთელი გ., 2003, პოსტკომუნისტური ქვეყნის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასების საკითხისათვის. კრებულში: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. ტ. III. თბილისი, „მეცნიერება“.

**Abesadze R., 2011**, Some theoretical aspects of economic development. Journal “The Caucasus Globalization”, CA CC Press®, SVEDEN, Volume 3, Issue 4.

**Abesadze R., Kakulia E., 2009**, The problems of state regulation of small business in Georgia. Journal: “Central Asia and the Caucasus”. No 6(60).

- Berend Tibor Ivan., 2005**, An Economic History of Twentieth-Century Europe. — Cambridge University Press. **Payne, Stanley G. A., 1995**, History of Fascism, 1914-1945. — Routledge. — ISBN 1-857285-95-6
- Beridze T., Ismailov E., 2004**, Central Caucasus and economy of Georgia. Baku, “Nurlan”;
- Burduli V., 2012**, Ways of development of branch and technological structure of economy in the country in the conditions of globalization. — Tbilisi, “Ekonomisti”;
- Papava V., 2005**, Necroeconomics. Political Economy of Post-Communist Capitalism. New York, Universe.
- Papava V., 2013**, Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. Nova Science Publisher.
- Папава Г., 2009**, Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы, стокгольм, С&АСС,
- Stanley G. A., 1995**, Human Capital, Columbia University Press
- Корнаи Я., 1990**, Дефицит. М., «Экономика».
- Мизес Е. Л., 1993**, Бюрократия. Запланированный хаос. Антикапиталистическая ментальность. М.: «Дело».
- Фридман М., 2006**, Капитализм и свобода. М.: Новое издательство.
- Шумпетер Й., 1949**, Капитализм, социализм и демократия.
- Хайек Ф. 1991**, Погубная самонадеянность. М., «Экономика».

როზეტა ასათიანი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-  
კონსულტანტი

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების (მეინსტრიმის)  
შეცვლის აუცილებლობა საქართველოში

რეზიუმე

ეკონომიკურ პოლიტიკას უდიდესი როლი აკისრია ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, აქედან გამომდინარე კი, კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებასა და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ფასეულობათა დამკვიდრებაში. სახელმწიფო კი იმის გარანტია თუ არსებული ეკონომიკური პოლიტიკა რამდენად ადეკვატურია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და თავისებურებების, რამდენად წარმატებულად იმართება იგი. რეალურად არსებობს კი ასეთი პოლიტიკა, თუ სინამდვილეში არის თვალის დახუჭვისა და მისგან გაქცევის პოლიტიკა?

საქართველოში ეკონომიკურ პოლიტიკას სპონტანური ხასიათი აქვს და მას კლასიკური ფორმით არც ერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ქვეყანაში იგნორირებულია მსოფლიოში აპრობირებული მოწინავე გამოცდილება. როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით საქართველომ ვერ შეძლო ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწუხებშია მოქცეული. ქვეყანაში დაბალია ცხოვრების დონე და ხარისხი, მაღალია ჯინის კოეფიციენტი, მიზეზულია საშუალო ფენა, გაუსაძლისია სოციალური ფონი, მწვავეა სოციალური სტრატეფიკაცია, მიუღწეველია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა. ხელისუფლების მიერ გაუაზრებელმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ეკონომიკის მოშლა გამოიწვია. კვაზიდემოკრატია აფერხებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების (მეინსტრიმის) შეცვლა და აქცენტის გაკეთება სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაზე. ეს უკანასკნელი ბაზრის გამოცოცხლების ერთადერთი გზაა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, მეინსტრიმი, სოციალური ორიენტაცია.

შესავალი

ეკონომიკურ პოლიტიკას უდიდესი როლი აკისრია ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, აქედან გამომდინარე კი კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებასა და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ფასეულობათა დამკვიდრებაში. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში კლასიკური ფორმით არცერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია. არდა აპრობირებული ეკონომიკური თეორიის გარეშე ეკონომიკურ პოლიტიკას სპონტანური ხასიათი აქვს.

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციის ეპოქაში ზოგადად საკითხი შემდეგნაირად დგას – გინდა გახდეს სტაბილური და განვითარებული ქვეყანა? – მაშ გაატარე ეკონომიკური რეფორმები იმ პირობებითა და პროგრამით, რომლებსაც ჩვენ გთავაზობთ.

მაგრამ, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, უცხოელი ეკონომისტების მიერ შემუშავებული „რეცეპტები“ ყოველთვის არ არის ეფექტიანი. არ გაამართლა იმ შეხედულების გაუთვალისწინებელმა გამოყენებამ, რომ ერთ ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა ასევე წარმატებული იქნებოდა სხვა ქვეყნებშიც. ამიტომ ეკონომიკის რეფორმების ერთი და იგივე მოდელი ბევრი ქვეყნისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

თუ ზოგადად შევაფასებთ ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს, შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება პროპაგანდის დონეზე დარჩა. ჩვენ ისე ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკას, როგორც სოციალიზმი ავაშენეთ (თანაც განვითარებული).

არ არსებობს მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა, სადაც საბაზრო ეკონომიკა (და არა საბაზრო ურთიერთობების ელემენტები) ანუ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემა ჩამოყალიბდა კეინზიანური ეკონომიკური თეორიის ძირითადი პოსტულატების გაუთვალისწინებლად. კეინზის თეორია ხომ ეკონომიკის კრიზისულ ანალიზს ეძღვნება და ხსნის უმუშევრობის, აქედან გამომდინარე კი, სიღარიბის მიზეზებს, ამასთან, იძლევა ამ სოციალურად აუტანელი მდგომარეობიდან ქვეყნის თავის დაღწევის გზებს. დასავლეთში არ არსებობს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც თავისი აღმავლობა, ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა „კეინზიანური რეგულაციით“ არ დაეწყოს.

კეინზის მულტიპლიკაციური ეფექტი, რომლის ათვლის წერტილად მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების გაზრდა და, აქედან გამომდინარე, ბაზრისა და, შესაბამისად, საქმიანი აქტიურობის გაფართოება უკავშირდება, მკაცრი ველური კაპიტალისტური ურთიერთობების ნგრევისა და ახალი საბაზრო ურთიერთობების ფორმირების საფუძველი გახდა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ათვლის წერტილად შეიძლება ჩაითვალოს. ეს მოწინავე გამოცდილება გათვალისწინებულ იქნა დღეს განვითარებულ, მაგრამ გასული საუკუნის 30-იან წლებში მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ამ „მსოფლიო სასწაულის“ გაუთვალისწინებლობას საქართველოში მოჰყვა ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის გარიყვა საკუთრებისა და საქმიანი აქტიურობისაგან, უმუშევრობისა და სიღარიბის მკვეთრი ზრდა, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ჯერ ეროვნული ბანკიდან გადასროლილი თანხებით, ხოლო შემდეგ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მეტწილად უცხოელებზე მიყიდვით. თავის მხრივ, ყოველივე ამას მოჰყვა კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, ციხეების პატიმრებით, მათ შორის, არასრულწლოვანი დამნაშავეებით ავსება, დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავება და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებებისა და ღირსების შელახვა. მოკლედ, არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

ჯერ იყო და რეფორმირების საწყის ეტაპზე გარედან თავს მოგვახვეის ე.წ. „შოკური თერაპია“, რომელიც არ იყო წარმატებული ექსპერიმენტი – ეკონომიკის შოკირებას თერაპია არ მოჰყოლია და ვაშინგტონის კონსესუსის მიერ შემუშავებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეს მოდელი თვით პოსტვაშინგტონის კონსესუსმა უარყოფითად შეაფასა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ეს საკითხი არაერთხელ იქნა გაშუქებული (მათ შორის, ჩვენს მიერაც) ეკონომიკურ ლიტერატურაში, იგი ერთმნიშვნელოვნად არის შეფასებული საქართველოში როგორც რადიკალური სისტემური რეფორმების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შეიძლება ითქვას, ათვლის წერტილიც კი. **Панава В.** К вопросу о первом поколении постко-



ამის შემდეგ იყო და 1996 წლიდან საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად მონეტარული „ძვირი ფულის“ პოლიტიკა დაედო, რომელიც კეინზიანური თეორიისა და, შესაბამისად, კეინზიანური პოლიტიკის ანტიპოლია. ინფლაციის წინააღმდეგ მიმართულმა ამ პოლიტიკამ გამოიწვია მწვავე ფულადი „შიმშილი“ და კიდევ უფრო ჩაკლა წარმოება [ასათიანი რ. 2000].

ვერ დავასახელებთ ქვეყანას, რომელსაც „ძვირი ფულის“ პოლიტიკით დაეწვია თავი ეკონომიკური კრიზისისაგან. საქართველოში ეკონომიკის შოკირების დამანგრეველი ეფექტების შემდეგ, რეფორმირების II ეტაპზე (1996-2003) „ძვირი ფულის“ პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი ეკონომიკის არასტაბილურობისა და სტრუქტურული დეფორმაციის უმთავრესი მიზეზი გახდა [ასათიანი რ. 2005]. მისი უმთავრესი მიზანი ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლაციის მოთოკვა და ლარის კურსის სტაბილიზაცია იყო. ლარის ხელშეწყობა გამყარებამ და მისი დეფიციტის შექმნამ გამოიწვია დოლარიზაციის სწრაფი ზრდა (დოლარიზაციის დონემ 36%-ს გადააჭარბა) და ნეგატიური ტენდენციები წარმოიქმნა როგორც ფულად-სარედიტო, ისე ფისკალურ სფეროში, რაც უარყოფითად აისახა საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების მთელ სისტემაზე. „ძვირი ფულის“ პოლიტიკამ მხოლოდ „ხანძრის ჩაქრობის“ ეფექტი გამოიწვია და კიდევ უფრო დაამუხრუჭა ეროვნული ეკონომიკის განვითარება. ჩამოყალიბდა საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი, რამაც დასცა ერთობლივი მოთხოვნა და გაამწვავა სოციალური პრობლემები. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია, რის გარეშეც ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიკური სისტემა პოლიტიკურად ნაკლებსიცოცხლისუნარიანი გახდა.

თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის დაგლას ნორთის აზრს, „ძვირი ფულის“ პოლიტიკა წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ლაპარაკია ბაზრის ფუნქციონირებაზე და არა იმაზე, თუ როგორ უნდა შეიქმნას და განვითარდეს ბაზარი [Horth D. 1995].

ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას ორთოდოქსულ მოდელზე მორგებული ეს პოლიტიკა თავისებური შოკი აღმოჩნდა საქართველოსათვის. მან ეკონომიკას არამც თუ შესძინა სოციალური ორიენტაცია, არამედ, პირიქით, გაამწვავა სოციალური პრობლემები, რითაც საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. ამიტომაცაა დღეს საქართველოში შემოსავლების გადანაწილებაში უთანაბრობის ინდექსი – ჯინის კოეფიციენტი მაღალია (0,40-0,41) და სოციალური სტრატეფიკაცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

არაერთხელ გვითქვამს, რომ ასე მოუშადებლად გატარებული პრივატიზაცია კარგს არაფერს მოუტანდა ქვეყანას. თუ მოკლედ შევაფასებთ განვლილ

---

მუნისტических реформ в экономике грузии (ретроспективный анализ). «Кавказ и Глобализация». Том 5, вып. 3-4, 2011; **Papava V.** The Georgian Economy: Problems of Reform. “Euroasian Studies, vol. 2, 1995, №2; პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ. 32; აბესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. II ტომი. თბილისი, „მეცნიერება“, 2002; ასათიანი რ. საქართველოში საბაზრო სისტემის ფორმირებისა და ეკონომიკის კონვერსიის კარდინალური საკითხები. სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემები საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში“. მოხსენებთა თეზისები. თბილისი, 1994; ასათიანი რ. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. „მაკრო-, მიკროეკონომიკა“. 2000, № 1.

წლებს, პასუხი ერთმნიშვნელოვანია: სახელმწიფომ მოირგო პრივატიზაციის „რბილი ხელთათმანი“, რომლის დაჩქარებულად წარმართვისას აქცენტი არ გაკეთებულა კორპორაციულ მართვაზე, კერძო სექტორს სახელმწიფოს აქტივები გადაეცა ყოველგვარი მარეგულირებელი პროცესების გარეშე. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება. პრივატიზაცია იქცა ნაკლებად გამჭვირვალე პროცესად და შემოვლითი გზით კორუფციის წყაროდ.

როგორ შეიძლება ქვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტების (კავშირგაბმულობის, სარკინიგზო მიმოსვლის, წყალ-, ელექტრო-, გაზომარაგებისა და ა.შ.) ასე ხელაღებით პრივატიზება? ისიც უცხოელებზე! ამით ხომ თანდათან ვკარგავთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ურომლისოდაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა ფიქციაა?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრივატიზაციის სტრატეგიული მნიშვნელობა ხომ კონკურენტული გარემოს შექმნაა, მაგრამ როგორ შეიქმნება ამ გზით კონკურენტული გარემო, როდესაც კერძო მეწარმეები, რომლებიც იკაგებენ მყარ პოზიციებს ბაზარზე, კონკურენტულ ბრძოლაში ადვილად ამარცხებენ ახალ მეტოქეებს? მათი მდგომარეობა ბაზარზე, წარმოებული პროდუქციის მოხმარების მასობრივი და წარმოების ფართო მასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის მონოპოლიური იქნება. მაშ რისთვის არსებობს ბუნებრივი, ანუ სახელმწიფო მონოპოლიები, რომლებიც მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებულია? სწორი მენეჯმენტის პირობებში სახელმწიფო შეიძლება იმ თანხის ამოღებას რამდენიმე წელიწადში, რასაც პრივატიზაციის გზით მიიღებდა.

არსებობს მეორე გზაც – სახელმწიფო პოლიტიკების შექმნა. იგი გულისხმობს შერეულ მეწარმეობას, სახელმწიფო და კერძო ბიზნესის შერწყმას. როგორც მსოფლიო პრაქტიკიდან ჩანს, ნაწილობრივი პრივატიზაციის გზით შექმნილ სტრუქტურაში სახელმწიფო ინარჩუნებს ქონების განკარგვის, ანუ სრული საკუთრების უფლებას (აქციების საკონტროლო პაკეტს), მაგრამ ხდება წარმოების მმართველობისა და განაწილების ფუნქციების პრივატიზება. ამ მოდელის გამოყენებით ქვეყანა საკუთარ ქონებასაც შეინარჩუნებდა და მოგებასაც მიიღებდა.

გლობალიზაცია როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს და, გარკვეულწილად, განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკას. დღეს გლობალურ პროცესებზე დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაცია მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში გამოვლინდება. ამიტომ გართულებულია განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება. განსაკუთრებით ნაკლებად ავტონომიურია ტრანზიტული, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები. მათ სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვთ საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რის გამოც შეზღუდულია და სახეცვლილია ამ ქვეყნებში ეკონომიკური სუვერენიტეტი. მათი ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო „გრილდება“, ხოლო ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების შესაძლებლობები მცირდება.

დღეს წამყვან, განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზიცია უკავიათ ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრის საქმეში, მაშინ, როდესაც მცირე, განსაკუთრებით ტრანზიტულ ქვეყნებს გლობალური სისტემის მუნიციპალიტიტებად აღიქვამენ [Ohmae K. 1993]. აღნიშნულმა ტენდენციამ უკვე კანონზომიერი

ხასიათი მიიღო, რაზეც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი.

ცნობილია, რომ აშშ-ს მსოფლიოში თანაბარი სიძლიერის კონკურენტები არა ჰყავს. ამიტომ მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა და, აქედან გამომდინარე, მათი ეკონომიკური განვითარება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში შეიქმნა ამერიკული დოქტრინა – „ნეოგლობალიზმი“. იგი ცნობილია „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით და ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გლობალიზაციისაგან გვერდზე გადავინაცვალთ და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს, ნეგატიურთან ერთად, აქვს უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს, აფართოებს ქვეყნების პარტნიორულ ურთიერთობებს, სწრაფი ტემპით ახდენს ბიზნეს-საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, აყალიბებს ისეთ ბიზნეს-გარემოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები, ბიზნესს სულ უფრო მეტად ათავისუფლებს პოლიტიკური შეზღუდვებისაგან, რითაც მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბაზრებს და ა.შ.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც წამყვან როლს ინტელექტუალური კაპიტალი, ინტერნეტული ქსელი და, საერთოდ, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებენ. ამიტომ დღეს აქცენტი კეთდება ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობაზე. რესურსდამზოგველ და ნაკლებნარჩენიან ტექნოლოგიებზე, ხარისხზე, ნოუ-ჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნაზე [ჩიქავა ლ. 2006; ასათიანი რ. 2008], ახალ სტანდარტებზე და ა.შ. დღეს საერთაშორისო საბაზრო ქსელი არის დიდი სათამაშო ველი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნისათვის თავისებურ კომპასს წარმოადგენს: რა გზას დაადგვს, რომელი დარგების განვითარებას მიანიჭოს უპირატესობა, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია და ა.შ.

ამრიგად, გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია. იგი მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესებთან. ამიტომ მისი მასშტაბებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რამდენად მართული იქნება ეს მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებასა და გლობალური პროცესების წარმართვაში ცენტრალური ადგილი ეკონომიკურ თეორიას უკავია. ეკონომიკური მიმდინარეობები და შესაბამისი მოდელები, შეიძლება ითქვას, განსაზღვრავენ მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში „თამაშის წესებს“.

თანამედროვე ეპოქა იმდენად არის დატვირთული აშკარა თუ ფარული პრობლემებით, რომ თვით ეკონომიკური თეორია დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკონომიკურ პოლიტიკაში ცნობილი 160-წლიანი ბატონობის შემდეგ, ეკონომიკური თეორია „დუღილს“ განიცდის და „პირველი ვოლინოს“ როლს ასრულებს დღეს განვითარებული, მაგრამ იმ პერიოდში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. თანამედროვე პირობებში კი მას მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია ახალი მსოფლიო წესრიგის განვითარება-

ში. ამიტომ დღეს, გლობალურ ეკონომიკაში არ შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისგან იზოლირებულად განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. აუცილებელია ამ პროცესების გაანალიზების საფუძველზე გავაკეთოთ სათანადო დასკვნები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესისა და ეკონომიკური თეორიის წინაშე მდგომი ამოცანების დაკავშირებას.

ეკონომიკური თეორიის გენეზისმა, განსაკუთრებით კი „კეინზიანურმა რევილუციამ“, როგორც რეგულირებადი, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საფუძველმა, მეცნიერულ-ტექნიკურ რევილუციასთან ერთად (რაშიც, მნიშვნელოვანი როლი „სოციალურმა ინექციებმა“ შეასრულა), დააჩქარა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი გლობალიზაციის წარმოშობა და მისი პოზიტიური მიმართულებით განვითარება. თუმცა, რიგმა ნეგატიურმა ეფექტებმაც, რომლებმაც განსაკუთრებით 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე იჩინა თავი, კითხვის ქვეშ დააყენა ეკონომიკური თეორიის „მეინსტრუქცია“ და თვით გლობალიზაციის ეპოქალური მოვლენაც.

მიღონ ფრიდმენისა და საერთოდ, „ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ თეორიაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც თითქმის უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ევრდნობოდა აშშ-ისა და სხვა მოწინავე ქვეყნების ეკონომიკა, სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტიად იყო აღიარებული. იგი ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცის, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვის“, პროფკავშირების როლის შესუსტებისა და ა.შ. გზით. „ოქროს წლებად“ მონათლულ ამ პერიოდში აღზევებული მონეტარიზმი ეკონომიკურ თეორიაში „აზრთა კონვერგენციის“ უმაღლესი გამოხატულების ნიმუშს წარმოადგენდა და იგი ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად აღიქმებოდა.

მაშინ, როდესაც აშშ ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“ ზემოქმედებდა, ხოლო მიღონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა ცნობილ წარმომადგენლებს (მაგ. ფ. კეიგანს, ფ. ჰაიეკს, ე. მელტცერს, ლუკასს, შვარცსა და ა.შ.) მიაჩნდათ, რომ „დეგრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო“, კრიზისის დადგომის ნიშნები, განსაკუთრებით 2006 წლიდან, ნელ-ნელა იკვეთებოდა. ამ დროს, როგორც 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი აღნიშნავს, ეკონომიკური დარგის პროფესიონალები თვლემდნენ [კრუგმანი პ. 2009]. მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობისა, გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“. ევროკავშირის სამიტზე 2008 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ნ. სარკოზმა განაცხადა, რომ „ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრაზი განიცადა და აუცილებელია იგი შეიცვალოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელით“ [The Economist. October 11, 2008, p. 12]. ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიოს ფულად-საკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება.<sup>2</sup>

საყურადღებოა აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში მონეტარული თეორიის როლის შესახებ პოლ კრუგმანის მოსაზრება. მისი აზრით, ჩიკაგოელი ეკონომისტების კომენტარები არის „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკის პროდუქტი,

<sup>2</sup> <http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878>.

სადაც რთულად მოპოვებული ცოდნა დავიწყებულ იქნა, ხოლო უცნაური განტოლებებით გამოპრანჭული ირაციონალური და არაპროგნოზირებადი თეორიები ძალიან შორს აღმოჩნდნენ რეალობისაგან [კრუგმანი პ. 2009].

როგორც იტყვიან, პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმია. ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და გარკვეულწილად, საბიუჯეტო საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობს [Асатиани Р. 2014]. ამასთან, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევა გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას. ფინანსურმა ეკონომიკამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოწყდა რეალურ ეკონომიკას, მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა, რომელიც შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა. ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მიღწევისათვის. საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათისა და ფასეულობების წარმოებაა. სამწუხაროდ, ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული. ფულის კეთების ხელოვნებამ (ქრემატიტიკა – არისტოტელე) დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა). შემდეგ კი მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ამაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა.

ნეორთოდოქსალურ თეორიაზე მორგებული მონეტარიზმის მოდელი (გარკვეული გადახრებით) საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ უმეტესობის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას, ამიტომ ეკონომიკური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახა ნებისმიერ ქვეყანაში, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის მთლიანი შიდა პროდუქტი 2008 წლის 0,44%-დან 2009 წელს მინუს 2,44%-მდე, ხოლო მთლიანი მსოფლიო პროდუქტი 3,02%-დან 0,60%-მდე დაეცა<sup>3</sup>.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, შეიძლება ითქვას, გამოიწვია მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“ და თვით აშშ-შიც კი კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ ბოლო დროს გაბატონებულმა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ კეინზიანური ერა დასრულდა, გადასინჯვა მოითხოვა, კეინზიანური თეორიის დედაარსმა (ანუ იმან, რომ ეკონომიკური განვითარების ათვლის წერტილი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით იწევა, რასაც ბაზრის ტევადობის, წარმოების გაფართოებისა და უმუშევრობის შემცირება მოჰყვება, ყოველივე ეს კი, წარმოქმნის მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში აისახება) ისევ მიიპყრო განვითარებული ქვეყნების ყურადღება. თანამედროვე გლობალურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნებულიყო. ამიტომ სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა – ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში ჩაშენებული სტაბილიზატორის, როლის გააქტიურებამ, კერძოდ, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდამ და გადასახადების შემცირებამ, კერძო სექტორის სუფსიდირებამ, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებამ, საშუალო ფენის

<sup>3</sup> <http://ictsd.org/i/news/bridgesidntdigest/69878>

შენარჩუნების მიზნით მათი შემოსავლების გაზრდამ, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურებამ, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებამ, საზოგადოებრივი სექტორის განმტკიცებამ და ა.შ. წამოიწია. დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმართულებების (მეინსტრუმის) შეცვლის აუცილებლობა. ამ მიმართულებით ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების გარეშე გართულდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, რომელმაც სათავე ფრიდმენის სამშობლოში – აშშ-ში აიღო და სწორედ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ამ ციტადელიდან დაიწყო აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება. მაგალითად, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენისა და ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, შვეიცარიისა და კანადის ცენტრალურ ბანკებთან ერთად, გამოყო 640 მლდრ დოლარი ფინანსური ინსტიტუტების მხარდასაჭერად, ხოლო 800 მლდრ დოლარი სამომხმარებლო კრედიტის სახით [MЭИМО, №7, 2009, c.15].

„კეინზიანური რეგულაციიდან“ მოყოლებული არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციებში თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საფუძვლად არ დაედო კეინზიანური მოდელი – რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეს პუმანური თეორია. მაგრამ ეს „ფუფუნება“ თავის დროზე მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს ერგოთ წილად. რომელთა რაოდენობა მსოფლიოში არც თუ ისე დიდია. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის (გაეროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის – UNCTAD, მსოფლიო ბანკის) თუ ცალკეული მკვლევართა მიერ სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე შემოთავაზებული კლასიფიკაციების მიხედვით, ამ ქვეყნების რაოდენობა განსხვავებულია (მაგალითად, გაეროს კლასიფიკაცია, ძირითადი აგრეგირებული მაჩვენებლის მიხედვით, მოიცავს მსოფლიოს 194 ქვეყანას, მათ შორის განვითარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 30 ქვეყანა, აქედან, საკმაოდ განვითარებული – 24 ქვეყანა (more developed countries), რომელთა წილად მოდის მსოფლიოს წარმოებული საქონლისა და მომსახურების თითქმის 2/3, განვითარებადია 137 ქვეყანა (less developed countries), რომელთა წილად მოდის მსოფლიო მოსახლეობის 11% და მსოფლიო მშპ-ის მხოლოდ 0,6%; ეს მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე 1 ათას დოლარზე ნაკლებია და 250-დან 750 დოლარის ფარგლებშია, მაშინ როდესაც სხვა განვითარებად ქვეყნებში 2050 დოლარამდე აღწევს. ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი აღმოსავლეთ ევროპისა და СНГ-ს 11 ქვეყანა) [Гурова И.П. 2008].<sup>4</sup> მაგრამ არსებობს 22 ქვეყანა, რომელიც ნებისმიერ კლასიფიკაციაში ხვდება, როგორც განვითარებული ქვეყანა. ეს ქვეყნებია: აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, კანადა, ესპანეთი, შვედეთი, იტალია, ნორვეგია, ლუქსემბურგი, ავსტრია, შვეიცარია, ბელგია, დანია, ფინეთი, ისლანდია, ირლანდია, ნიდერლანდი, პორტუგალია, ავსტრალია, ახალი ზელანდია.

განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან საერთო კეთილდღეობითა და სოციალური ორიენტაციით, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის ხარისხის მიხედვით. მაგ., აშშ-ს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი ცხოვრების დონე და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯები (შეუძლია გამოყოს სოლიდური სახსრები სოციალურად დაუცვე-

<sup>4</sup> World Population Data Sheet Population Rederence Bureau – 2009. Washington, 2009;

ლი ფენების დასახმარებლად, ჯანდაცვის დასაფინანსებლად, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის), აბსოლუტური მანქანების გამოყენებით დასავლეთევროპული ქვეყნები, მაგრამ ისინი „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით ხასიათდებიან, ვიდრე აშშ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხის შემცირებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით მიმართულია ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავების, სამართლიანობისა და სოციალური თანხმობის, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მაღალი ცხოვრების დონის მიღწევისა და საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ.

რაც შეეხება განვითარებად და ტრანზიტულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, ამ კატეგორიის ქვეყნებში ეკონომიკურ პოლიტიკას, მეტ-ნაკლები ზომით, სპონტანური ხასიათი აქვს და კლასიკური ფორმით არც ერთი თეორია (მათ შორის, თანამედროვე მონეტარიზმიც), მითუმეტეს, კეინზიანური მოდელი არ ყოფილა გათვალისწინებული ეროვნული ეკონომიკის მართვაში. მათ, როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით, ვერ გამოიყენეს ამ მხრივ მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება, ამიტომ ვერ შეძლეს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწმუნებში არიან მოქცეულნი. ამ ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მძიმე პრობლემების წინაშეა. „გლობალური იმპერიის ქოლგის ქვეშ მოქცეული „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები, დაბალია ცხოვრების დონე, მიხერულია საშუალო ფენა, მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა. ამ ქვეყნების საგარეო ვალმა უკვე 2,5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ამ ვალის მომსახურების წლიურმა ღირებულებამ 375 მლრდ დოლარს მიაღწია. ეს იმაზე მეტია, რასაც ხარჯავენ ეს ქვეყნები ჯანდაცვასა და განათლებაზე და 20-ჯერ მეტი, რასაც თვითონ ყოველწლიურად იღებენ ეკონომიკური დახმარების სახით [Перкинс Д. 2012, с.29-30].

შემთხვევითი როლია, რომ სწორედ XX საუკუნის 60-იან წლებში, მსოფლიო განვითარებაში სრულიად ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები გამოიკვეთა. ამას მოჰყვა სოციალური დიფერენციაციის მოდელის შექმნა და ქვეყნების დაჯგუფება „სოციალური სიმწიფის“ დონის მიხედვით [ასათიანი რ. 2010, გვ. 8-13].

ამრიგად, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, გლობალიზაციის წარმოშობიდან დღემდე, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს პოლიტიკურ ეკონომიკურ, სოციალურ და მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სფეროებში უდიდესი ცვლილებები მოხდა, რაც მეტ-ნაკლები ზომით აისახა ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი.

დიდი ილია ბრძანებდა: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს. ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნი. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვის ცხოვრებას და ვერც აზრს [ჭავჭავაძე ი. 1955, გვ. 66].“

თანამედროვე დროებასაც თავისი „ტკივილი“ აქვს, განსხვავებული წინა ეპოქებისაგან. პოზიტიურთან ერთად, დიდი გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების გავლენა. სწორედ ამ დროების „ქერქში“ ჩაჯდომით უნდა ვეცადოთ „საბუთი ვუპოვოთ ცხოვრებას“, შეძლებისდაგვარად, წინ აღვუდგეთ სახელმწიფოებრიობის, ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების დამანგრეველ გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელთან ნიველირების გარეშე გართულდება შიგა, ენდოგენური წინამდებობების, მაკროეკონომიკური დისპროპორციების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი.

საქართველო, შეიძლება ითქვას, ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკური ქვეყანაა. 70-წლიანი „სოციალისტური“ ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა, რომელიც თითქმის 25 წელია გრძელდება და დასასრული არ უჩანს. ქვეყანაში შექმნილია „მანკიერი წრე“, რომლისგანაც თავის დაღწევა რთულდება. დავადექით კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანს? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას? არადა, დღეს, გლობალურ სამყაროში ასეთი სისტემის გარეშე წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. გარდა იმისა, რომ ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას [პაპავა ვ. 2000; Папавა В. 2002, №3; ასათიანი რ. 2009; ასათიანი რ. 2004, №1; ასათიანი რ. 2014]. ქვეყანაში დაწყებულმა როგორც ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა (სახელმწიფო საკუთრების დენაციონალიზაცია და საკუთრების მრავალფორმიანობის ჩამოყალიბება, ახალი საკანონმდებლო ბაზისა და შესაბამისი სტრუქტურების შექმნა, წარმოების ფაქტორთა, საქონლის და მომსახურების ბაზრების, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ა.შ.), ისე ეკონომიკის კონვერსიის სხვა პროცესებმა (ფასების ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება, საგარეო ვაჭრობისა და, საერთოდ, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია და ა.შ.) აშკარა დეფორმაციული ხასიათი მიიღო: ეკონომიკის რეფორმირების I ეტაპზე (1991-1995) ფასების მოუმზადებელი ლიბერალიზაცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, ახლად ფორმირებულმა საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებმა სპეკულაციური ორიენტაცია შეიძინა. ამას მოჰყვა საქმიანი აქტიურობის დაცემა და ეროვნული წარმოების პარალიზება.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ეს ორთოდოქსული მოდელი, ისე როგორც „შოკური თერაპია“ და რეფორმირების III ეტაპზე (2004-2012) „ანტიკონზიანურ რევილუციად“ მონათლული მონეტარიზმის პოსტულატებზე მორგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა (რომლისთვისაც უცხოა ჭეშმარიტი ლიბერალური ფასეულობები) გარედან თავსმოხვეული იყო და საქართველოს წარუმატებლობის ათვლის წერტილი და მთავარი მიზეზი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ [ასათიანი რ. 2009]. განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-შიც კი ეს მოდელი (თანაც, უფრო დახვეწილი ფორმით) არ გამოდგა და საქართველოში „იმუშავებდა“?

მოკლედ, საქართველო მცდარ მონეტარულ პოსტულატებზე დაყრდნობით, კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა [Asatiani R. 2009.]. ქვეყანა არ დაადგა იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა.

საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ერი დიდი სიხარულით შეხვდა დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან თავის დაღწევას. მაგრამ რა მივიღეთ? სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა, სამართლიანობის პრინციპებზე აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ კვაზიდემოკრატიაზე, მოჩვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული ულტრალიბერალური კაპიტალიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან.

მართალია, საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორსა ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება. საქართველოში რიგი ენდოგენური ფაქტორების გავლენით, მათ შორის არასწორად განხორცი-



ელეზი ე.წ. მცირე პრივატიზაციის გამო, ვერ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი. 2012 წლის მონაცემებით, საქართველოში 197399 ინდივიდუალური საწარმოა რეგისტრირებული, შპს – 70734, ხოლო აქციონერული საზოგადოება – 1881. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 6,6% (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესის წილად – 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 84,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს [Eurostat Newsrelease, #47, 2008]. თავიდან ვერ მოვიცილეთ „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რის გამოც ნელ-ნელა ვკარგავთ დამოუკიდებლობას. სსფ-ის შეფასებით, საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია სასამართლო სისტემა და ღრმა კორუფციისაგან ქვეყანამ თავი ვერ დააღწია. კორუფციის ინდექსის მიხედვით, საქართველო, 2008 წლის მონაცემებით, 180 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზე აღმოჩნდა [მესხია ი. 2009, №2, გვ. 19].

1989 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა 5460 ათასი კაციდან 4385,4 ათას კაცამდე, ე.ი. 21%-ით შემცირდა.<sup>5</sup> მსფ-ის და მსოფლიო ბანკის ექსპერტული შეფასებით, 2009 წელს რეალურმა მშპ-მა (მშპ-ის დეფლატორის – ფასების ჯაჭგური ინდექსის მეთოდით) 1990 წლის დონის მხოლოდ 71,1% შეადგინა, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასებით) 3230 დოლარი, რაც საშუალო მსოფლიო დონის 1/3-საც კი ვერ აღწევს.<sup>6</sup> ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის თითქმის 3-ჯერ ჩამორჩენა ერთხელ კიდევ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში საშუალო ფენის დაბალ დონეზე (იგი მხოლოდ 9%-ია). ხელოვნურადაა შემცირებული საარსებო მინიმუმი, რომელიც მხოლოდ ნომინალურად ამცირებს სიღარიბის დონეს. ოთხსულიან ოჯახზე იგი თვეში 226,5 ლარს შეადგენს. მინიმალური ხელფასი სამომხმარებლო კალათის ღირებულებაზე თითქმის 10-ჯერ ნაკლებია და 40 ლარია, ხოლო საშუალო ხელფასი – 572,4 ლარი.<sup>7</sup> ექსპერტთა შეფასებით, მოსახლეობის 5% ღარიბია, აქედან ღატაკები (პაუპერები) 15%-ს შეადგენენ. საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია, სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური კვლავწარმოებისათვის) 50%-ია, მდიდრები – 5%, მათ შორის შეძლებულნი – 3,5% [არჩვაძე ი. 2007].<sup>8</sup>

ასეთი მწვავე სოციალური სტრატეფიკაციის გამო, საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საპარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განიხილება [კორდონიე კ. 2008]. ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიამ იმდენად მიიღო მასობრივი ხასიათი, რომ უცხოური ინვესტიციები გახდა არა ქვეყნის შიდა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად იქცა.

სსფ-ის მისიის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად, საგრძნობლად იკლო საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. 2008 წლის ბოლოსათვის პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. აქედან გამომდინარე, საქართველოს საბან-

<sup>5</sup> www.statistics.ge (სექცია „მოსახლეობა“).

<sup>6</sup> <http://www.geosat.ge/?astion=page&p-id=118&lang=geo>; Human Development Report – 2009. New York, 2009, p. 194-198.

<sup>7</sup> <http://bls.gov/data/wwwstatistics.ge> (სექცია „შინამეურნეობები“).

<sup>8</sup> www.goeconomics.ge.

კო სისტემას ბზარი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა, თუმცა გლობალურმა კრიზისმა ეს ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა [ასათიანი რ. 2009].

მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელის ცნობილ დონორთა კონფერენციაზე (2008 წლის 22 ოქტომბერი), საქართველოს საბანკო სექტორის მხარდასაჭერად, სესხებისა და გრანტების სახით, 850 მლნ დოლარი გამოიყო, 2009 წლის იანვარში კომერციული ბანკების აქტივები, წინა წელთან შედარებით, 319 მლნ ლარით შემცირდა. ყოველივე ეს ნეგატიურად აისახა ქვეყნის რეალურ სექტორზე და განაპირობა საქართველოს საექსპორტო პოტენციალის საბანკო დაფინანსების გარეშე დატოვება აღნიშნულმა და სხვა უარყოფითმა შიგა პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია საგარეო ვაჭრობის პერმანენტული დეფიციტი. ოფიციალური მონაცემებით, სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელზე მოდის და ექსპორტით იმპორტის დაფარვამ მხოლოდ 23,7% შეადგინა. ამასთან, დასავლეთის საკრედიტო „ინიექციებმა“ სწრაფად გაზარდა საქართველოს საგარეო დაგაღიანება და უდიდესი დილემის წინაშე დააყენა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების მხრივ. 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 13,5 მლრდ დოლარი შეადგინა, აქედან, სამთავრობო სექტორის ვალი 31,7%-ია, ეროვნული ბანკის – 11,0, საბანკო სექტორის – 18,4, სხვა სექტორების – 38,9%.

საქართველო, ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის (ტექნიკურ მიღწევათა ინდექსის) მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფშია მოქცეული. ურთულესი პრობლემების წინაშეა ქვეყნის აგრარული სექტორი, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. გარდა იმისა, რომ 1990 წელთან შედარებით, საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 30-დან 8%-მდე დაეცა და წარმოიქმნა სასოფლო-სამეურნეო ლაგი (გარღვევა წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობებს შორის), სოფლის მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ქალაქად, ტყეების ჩეხვა და უცხოელზე გასხვისება, ასევე სხვა ნეგატიური პროცესებიც უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს ქართულ სოფელს და შოკისმომგვრელ ეფექტებს წარმოქმნის.

აღნიშნულ და მრავალ სხვა მნიშვნელოვან პირობასთან ერთად ყურადღებას იპყრობს საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მიზანშეწონილობის პრობლემა. ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა აკად. ვლადიმერ პაპარამ სავსებით სამართლიანად საქართველოში გატარებული ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და „ინვესტიციური შიმშილის“ პირობებში, თავისუფალ ეკონომიკურ ზონას ეკონომიკური განვითარების მახე უწოდა [პაპავა ვ. 2013]. მთავრობისადმი მიცემული რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოში ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში თავისუფალი ეკონომიკური ზონა არ შექმნილიყო არ იქნა გაზიარებული. ასეთი ზონები შეიქმნა ფოთსა და ქუთაისში.

და მაინც, საით მიდის საქართველო? ეს კითხვა რომ დამესვა, მას მონოგრაფია მიუძღვნენი, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს [ასათიანი რ. 2014]. ერთი კი ცხადია: მიუხედავად ლაგის ფაქტორის მოქმედებისა, მდგომარეობის გამოსწორება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეცვლითაა შესაძლებელი.

დასკვნა

თუ ზოგადად შევაფასებთ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს, შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება პროპაგანდის დონეზე დარჩა. ჩვენ ისე ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკას, როგორც სოციალიზმი ავაშენეთ (თანაც განვითარებულნი). ქვეყანაში იგნორირებულია მსოფლიოში აპრობირებული მოწინავე გამოცდილება. საქართველომ ვერ შეძლო ჯანსაღ საბაზრო ურთიერთობებზე გასდასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ ბრჭყალებშია მოქცეული. გაუაზრებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ეკონომიკის მოშლა გამოიწვია. კვაზიდემოკრატია აფერხებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა.

მიუხედავად ლაგის ფაქტორის მოქმედებისა მდგომარეობის გამოსწორება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეცვლითაა შესაძლებელი.

ლიტერატურა

1. არჩვაძე ი. 2007. საშუალო ფენა საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა. „საქართველოს ეკონომიკა“, №7.
2. ასათიანი რ. 2000. „ძვირი ფულის პოლიტიკა ძვირად დაგვიჯდა. „საქართველოს რესპუბლიკა“, №7.
3. ასათიანი რ. 2005. პატარა ქვეყანას დიდი შეცდომის უფლება არა აქვს, თბ. „გამომცემლობა „სიახლე“, გვ. 313-352, 474-479.“
4. ასათიანი რ. 2008. საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, და სხვ.
5. ასათიანი რ. 2010. სოციალური დიფერენციაციის მოდელები და საქართველო. „სოციალური ეკონომიკა“, №2, გვ. 8-13.
6. ასათიანი რ. 2009. საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“.
7. ასათიანი რ. 2004. საით მივყავართ რეფორმებს? (ეკონომიკის რეფორმების ალტერნატიული სტრატეგია). „ეკონომიკა“, №1;
8. ასათიანი რ. 2014. საქართველოს ეკონომიკის წარუმატებლობის ეგზოგენური და ენდოგენური მიზეზები. „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“. საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 27-28 ივნისი, თბილისი.
9. ასათიანი რ. 2009. საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. „ეკონომისტი“, №4.
10. ასათიანი რ. 2014. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“.
11. კორდონიე კ. 2008. კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. GELPAC, ოქტომბერი, გვ. 62.

12. კრუგმანი პ. 2009. როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, №10, გვ. 80 (Krugman P. How did economists get it so wrong? „New York Times“. September 2, 2009).
13. მესხია ი. 2009. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები. „ეკონომისტი“, №2, გვ. 19.
14. პაპავა ვ. 2000. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი“.
15. პაპავა ვ. 2013. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, გვ. 143.
16. ჩიქავა ლ. 2006. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა „სიასლე“.
17. ჭავჭავაძე ი. 1955. აი ისტორია. თხზ. ტ. IV, თბილისი, გვ. 66.
18. **Asatiani R.** 2014. Экономика Грузии сквозь призму нового мирового порядка. „სოციალური ეკონომიკა“, №5.
19. **Гурова И.П.** 2008. Мировая экономика. М., „Омега-Л“, сс.112-119.
20. МЭиМО, №7, 2009, с.15.
21. Папова В. 2002. О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. «Вопросы экономики», №3.
22. **Перкинс Д.** 2012. Исповедь экономического убийцы. 4-е издание. Перевод с английского. М., „Перетекст“, с.29-30.
23. **Asatiani R.** 2009. Post-communist Transition Period in the Georgian Economy. „The Caucasus & Globalization“. vol. 3, Issue 2-3, Ca&CC Press, Sweden.
24. Eurostat Newsrelease, #47, 2008; [www.statistics.ge](http://www.statistics.ge) („სამეწარმეო სფერო“).
25. **Horth D. C.** 1995. Institution and Economic Theory. The new Institutional Economics and Third World Development. Ed. by Harris J. H. Y.
26. **Ohmae K.** 1993. The rise of the region State. Foreign Affairs, Spring, pp. 78-87.
27. The Economist. 2008. October 11, p. 12.
28. World Population Data Sheet Population Rederence Bureu – 2009. Washington, 2009.

**Rozeta Asatiani**

*Doctor of Economics, professor, scientist-consultant of  
TSU Paata Gugushvili Institute of Economics*

## **NECESSITY OF GENERAL DIRECTIONS' (MAINSTREAM) CHANGE OF ECONOMIC POLICY IN GEORGIA**

### **Expanded Summary**

First of all, the wrong economic policy is the main reason of a failure of Georgia. Therefore, the change of the main directions' (main stream) of economic policy on the basis of increase of the uniform requirement strengthening of social orientation is necessary. It is the only way for revival of the last market.

The state is a guarantor of adequacy of existing economic policy in relation to economic development of the country and features, how successfully it develops. Does such policy exist in reality if actually it is policy of closing of eyes and escaping from it?

Today an inequality index in distribution of the income in Georgia - Gene's coefficient is high (0, 40-0, 41) and social stratification does not overcome any criticism.

Offhand carried-out privatization in Georgia did not bring anything good to the country. If we shortly estimate the left years, the answer is unambiguous: the state adjusted "the soft glove" of the privatization, for which accelerated conduction the focus was not done on corporate governance, the assets of the state were given to the private sector without any regulatory processes. Unfortunately, this policy is being continued even today. Privatization became less transparent process and a roundabout way became a corruption source.

How is it possible to privatize so inscrupulous objects that are strategic for the country (communication, railroad, water, electropower supply and so on)? And that on foreigners! We will loose gradually economic independence without which the political independence is fiction?

After all, the strategic importance of the privatization is the creation of specific environment, but how will be created competitive environment in this way when private entrepreneurs, who occupy a strong position in the market, defeat simply the new rivals in the competitive battle?

Their situation in the market, according to the consumption of goods and wide large-scale character of production, will always be monopole. So, for what do natural, state monopolies exist? In conditions of right management, the state would be able to cash withdraw that sum in several years, which would receive from the privatization.

In the modern world, in the epoque of globalization general question is- do you want to become stabil and developed country? - So, carry out economic reforms with the conditions and program that we offer you.

But, as the practice showed, "recipes" developed by foreign economists are not always effective. It was not equaled unapproved use of the view that the economic policy successful in one country would be successful in other countries. That is why, the same model of economic reforms became unacceptable for many countries.

If we estimate in general the transition period of the market economy in our country, we can conclude the following: formation of civil society in Georgia left on the level of propaganda. We construct the market economy in such way how we constructed socialism (even developed).

There is no one country in the world where the market economy (and not the elements of the market relation) that is socially oriented economic system formed without taking into consideration general postulates of Keynesian economic theory. Keynes' theory is dedicated to crisis analysis of economy and explains the reasons of unemployment, therefore, poverty, gives the ways to escape from socially unbearable situation. In the West there is no developed country that did not start its modernization, effective economic growth without “Keynesian revolution”.

Keynesian multiplier effect, which starting point is the rise of the solvent demands of the population and, hence, the expansion of market and, therefore, business activity, became the basis of destruction of tough wild capitalist relations and formation of new market relations. This last, in return, may be considered as the starting point of formation of the civil society. This advanced practice has been considered today in economic policy of the countries developed, but which were in a difficult situation in the thirties of the leaving century. Non-consideration of this “world miracle” was followed in Georgia by the exclusion of indigenous population of the country from the ownership and business activity, a sharp rise of unemployment and poverty, coverage of the state budget deficit by thrown out sums from the National Bank, and then by the sale of the most part of the country's national wealth to foreigners. In turn, all this was followed by an aggravation of a criminogenic situation, by prisoners, including, filling of prisons with the minor condemned people, an aggravation of a demographic situation and, what is the most important, violation of the rights and dignity of the person. In brief, the wrong economic policy has led to a difficult situation of the most part of the population of Georgia. Today advanced developed countries keep a prepotent position in a question of definition of a new world order whereas small, in particular transit countries are perceived as municipality of global system. The indicated tendency has already accepted natural character what process of an institutionalization of world economy influences strongly.

XXI century offers the world new model of economic development. This model is based on innovative economy, where the leading role is implemented by the intellectual capital, internet network and, in general, by informative and telecommunication technologies. That is why, nowadays the emphasis is made on competitive advantage of the country, on resource saving and less waste technologies, quality, know-how, on creation of new types of the products, new standards and etc. Georgia also has to follow this way.

სექტორული ეკონომიკა  
SECTORAL ECONOMY

**Вахтанг Бурдули**

*Доктор экономических наук, заведующий отделом  
Института экономики П. Гугушвили ТГУ им. И. Джавахишвили*

**ФОРМИРОВАНИЕ ЭКОНОМИЧЕСКИХ МЕХАНИЗМОВ ПРИВЛЕЧЕНИЯ  
СВОБОДНЫХ ФИНАНСОВЫХ РЕСУРСОВ НАЦИОНАЛЬНОГО БИЗНЕСА НА  
СОЗДАНИЕ ПРОИЗВОДСТВ В АКТУАЛЬНЫХ СЕКТОРАХ ЭКОНОМИКИ**

**Аннотация**

*В статье показывается, что чрезмерное привлечение иностранного капитала в инвестирование строительства новых производств в условиях недостаточной активности в этом процессе национального бизнеса негативно влияет на макроэкономические параметры. В этой связи предлагаются и обосновываются пути реформирования (прежде всего за счет улучшения механизмов мобилизации финансовых ресурсов национального капитала) финансовых институтов развития (фондов, банков), а также – создания финансово-промышленных групп (ФПГ), с тем, чтобы произошла активизация участия национального капитала в создании новых производств в приоритетных секторах и подсекторах экономики.*

**Ключевые слова:** *финансовые институты развития, национальный бизнес, фонды, банки, финансово-промышленные группы*

**Введение**

В стране в настоящее время взят курс на привлечение в производственный сектор чрезмерного количества иностранных инвестиций, в то время как не удается привлечь в целях инвестирования свободные финансовые ресурсы национального капитала, которых накопилось уже предостаточно (правда они в виде «инвестиций» большей частью направляются за рубеж, преимущественно в оффшоры). В этой связи в статье раскрывается негативное влияние в средне- и долгосрочном аспектах на макроэкономические параметры чрезмерного преобладания в производственном секторе иностранного капитала по сравнению с национальным и предлагаются направления преобразования таких системообразующих механизмов национальной модели экономического развития как финансовые институты развития (фонды, банки, в том числе в составе ФПГ), с тем, чтобы они активизировали участие национального капитала в создании и расширении производств в актуальных на сегодняшний день секторах и подсекторах (отраслях) экономики.

**Об инвестиционной активности национального бизнеса в настоящее время**

Почему не достигается динамичное и устойчивое экономическое развитие. Многие считают, что в мире имеет место экономический кризис (в определенной мере это и кризис перепроизводства) и поэтому в условиях мирового кризиса и в Грузии трудно обеспечить устойчивое развитие экономики. Но для Грузии, в которой безудержно импортируется множество товаров, среди которых и те товары, производство которых можно быстро организовать на месте, как раз этот кризис наружу, ведь можно

строить импортозамещающие производства, быстро реабилитировать сельскохозяйственное производство.

Для этого прежде всего необходимо усилить инвестиционную активность [Бурдули, 2008] как государственного сектора, так и в бизнес среде. Вопрос инвестиционной активности нами рассматривается в виде целесообразной инвестиционной активности и нецелесообразной. В качестве примеров нецелесообразной инвестиционной активности в Грузии можно привести приобретение иностранцами участков сельскохозяйственных земель, строительство аквапарка в Анаклии и много других. Целесообразная инвестиционная активность должна быть направлена на повышение уровня самодостаточности экономики [Бурдули А, 2015; Бурдули Б, 2015], т. е. строительство импортозамещающих и экспортоориентированных производств (последнее сейчас затруднено в связи с кризисом перепроизводства, но это не исключает нахождения на зарубежных рынках сегментов сбыта, которые сначала необходимо выявлять, а затем строить соответствующее производство). Однако в Грузии пока почти не происходит строительства современных целесообразных производств как импортозамещающих, так и экспортоориентированных. Правда несколько современных предприятий было построено (или строится) с помощью Партнерского фонда, а в бизнессекторе новые прогрессивные предприятия строятся в основном усилиями Бидзины Иванишвили.

Где же взять деньги для осуществления целесообразной инвестиционной активности, направленной на строительство современных импортозамещающих и экспортоориентированных производств (сбыт продукции которых позволит существенно улучшить экспортно-импортное сальдо)?

Прежде всего для этого должны существовать надежные, как это принято называть, как частные, так и государственные финансовые институты развития (не имеет большого значения как их называть – инвестиционные фонды, фонды развития, институциональные инвесторы, инвестиционный банк, банки и другие инвестиционные институты в составе финансово-промышленных групп (ФПГ), фонд соинвестирования и т. д.). Конечно бизнес может производить инвестиции в строительство целесообразных производств непосредственно (без аккумулирования их в финансовых институтах развития) за счет собственных средств и банковских кредитов), но крупные проекты затруднительно осуществлять самостоятельно, тем более когда необходимо инвестировать не в свою сферу деятельности, а в целесообразные на данном этапе виды деятельности (отрасли). Можно привлекать для развития целесообразных видов деятельности и инвестиции ТНК, но сейчас это в виду мирового кризиса перепроизводства очень трудно, хотя и возможно.

Как известно, в Грузии был создан **фонд соинвестирования**. Предполагалось, что национальный крупный бизнес будет вносить туда средства для софинансирования фондом строительства четко обоснованных проектов, что очень нетрудно было делать при мизерной для крупного бизнеса ставке налогообложения прибыли (15%). Но крупный бизнес, за исключением Бидзины Иванишвили (средства которого были направлены на осуществление нескольких крупных проектов), не спешит активно участвовать в этом фонде.

Вместо этого прибыль крупных корпораций обменивается в стране на твердую валюту и в виде инвестиций направляется за рубеж (более всего в оффшорные зоны). Так, по данным статистического ежегодника в 2014 году в виде прямых инвестиций из страны ушло 406,7 млн долларов США, в виде портфельных инвестиций – 37,5 млн долларов, в виде прочих инвестиций – 232,8 млн долларов США [Statistical... 2015:242]. *«Во втором квартале 2015 г. в виде иностранных инвестиций в Грузию поступило 530 млн долларов США, но в эти же месяцы из страны ушло 175 млн долларов США и это самый низкий показатель за 2-3 последних года. Уток капитала с 2013 года*



возрастает, в основном, в оффшорные зоны. Например, за этот год в Кипр было вывезено более 106 млн долларов, всего же на протяжении этого года из страны ушло более 1 млрд долларов, приблизительно столько же вынесли и в 2014 году. Если просмотреть данные публичного реестра, то обнаружим, что много крупных компаний, в особенности тех компаний, которые связаны с членами предыдущей власти и приближенными к ним лицами, зарегистрированы на Кипре, Каймановых островах и других оффшорных зонах. Поэтому, возникает вопрос, способствует ли, наряду со многими другими факторами, утечка капитала из Грузии росту спроса на доллар и обесцениванию лари?» [По официальным данным... 2015; Почему из Грузии... 2015]. Большинство экспертов сходятся во мнении, что такого рода утечка капитала из Грузии усиливает девальвационные тенденции, т. е. влияет на устойчивость курса лари [Почему из Грузии... 2008].

Необходимо отметить, что большинство крупных богатств в Грузии создано за счет реализации в стране импортной продукции. Естественно, что для того, чтобы ввезти в страну очередную партию импортной продукции необходимо обменивать полученный в лари доход на доллары или иную твердую валюту. Но когда, помимо этого, компании начинают обменивать полученную прибыль на доллары и отправлять их для инвестиций за рубеж, то в стране возникает ажиотажный спрос на доллары и евро и, как следствие, курс лари становится неустойчивым, т. е. это сильно вредит сохранению макроэкономической стабильности.

Между тем, президент бизнес-ассоциации Г. Чиракадзе неоднократно делал следующее заявление: «когда курс очень колеблется бизнесу трудно делать правильный прогноз о том, что произойдет завтра, поэтому все воздерживаются как от инвестиционных, так и от реальных действий. Для продолжения стабильной работы необходимо остановить колебания курса» [Гиорги Чиракадзе... А, 2015; Гиорги Чиракадзе... В, 2015]. Какой-то закалдованный круг: сами требуют у государства обеспечения макроэкономической стабильности и сами же ее подрывают, изымая у государства доллары (путем обмена полученной в лари прибыли на доллары) и отправления их за рубеж в виде инвестиций, вместо того, чтобы строить так необходимые сейчас импортозамещающие и экспортоориентированные предприятия (в этом случае конечно же тоже было бы необходимым часть средств от полученной прибыли направлять за рубеж для закупки производственных технологий, но остальная часть работала бы в стране).

Теперь о государственных финансовых институтах развития. Еще до прихода к власти нового правительства в Грузии существовал «Партнерский фонд», портфель активов которого включает несколько крупных государственных корпораций (Грузинские железные дороги – 100%; Грузинская корпорация нефти и газа – 100%; Коммерческий оператор электроэнергосистемы – 100%; АО Теласи – 24,5%). Но если учесть, что мобилизованы достаточно крупные средства, то очевидно, что средства этого фонда использовались недостаточно целесообразно, так как было построено небольшое количество объектов (а должный контроль за расходованием средств этого государственного фонда не налажен, при этом в нем существует громоздкая бюрократическая управленческая структура). В декабре 2013 г. правительством были подготовлены законодательные материалы о формировании «Суверенного фонда Грузии», однако затем было заявлено, что Партнерский фонд не исчерпал своих возможностей. При этом, ранее председатель Партнерского фонда заявлял, что согласится вступить в должность председателя государственного финансового института развития только при условии, что он преобразуется в Банк развития Грузии [Натиа Турнава... 2016]. Поэтому было решено путем его реорганизации учредить АО «Банк развития Грузии», законодательный пакет по которому был представлен в парламент в апреле 2014 г. (банк должен был осуществлять выдачу кредитов через коммерческие банки, предоставлять гарантии, осуществлять страховые операции, выпускать облигации и т. д.). Однако этим

ფისკალური გამჭვირვალობის ზრდა საკრედიტო რეიტინგისა და საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებთან მისაწვდომობის ზრდასთან ასოცირდება. სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების საფუძველზე აგებული ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებით ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ ფისკალური გამჭვირვალობის ცვლადები პოზიტიურ კავშირშია სუვერენულ რეიტინგებთან. 2003 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს საბიუჯეტო სისტემის გამჭვირვალობის ზრდა აისახა ქვეყნის სუვერენული რეიტინგების გაუმჯობესებაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოს ფისკალური მდგრადობის ზღვრული მანქანებლები, კერძოდ, სახელმწიფო ვალი/მშპ, სახელმწიფო ვალი/ბიუჯეტის შემოსავლები, სახელმწიფო ვალი/ექსპორტი ჯერჯერობით სახიფათო ზღვრებს (50 %, 300 %, 200 %) ქვემოთაა, გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის ფისკალური მდგრადობა დაირღვევა პერმანენტულად მოქმედი, ან ძლიერი მოკლევადიანი ეკონომიკური შოკების ზემოქმედების შემთხვევაში. დროს. მაგალითად, თუ განმეორდება 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის დონის მსგავსი სიტუაცია, როდესაც ადგილი ჰქონდა ერთდროულად რამდენიმე შოკის ზემოქმედებას-მშპ შემცირებას, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდასა და ლარის გაცვლითი კურსი გაუფასურებას. გამოთვლებმა აჩვენა, რომ დაბალი რისკის



მატარებელი ფისკალური მდგრადობის შესანარჩუნებლად საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში საჭიროა მომავალი 5 წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპი იყოს 5%-ზე მაღალი, და ბიუჯეტის დეფიციტი დაუბრუნდეს 2016 წლიდანვე დასაშვებ ნორმას.

2016 წელს ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მხედველობაშია მისაღები 2013-2015წწ-ში ქვეყნის ფისკალურ მდგრადობაზე უარყოფითად მოქმედი ისეთი ფაქტორიც, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური დეფიციტის კვარტალური განაწილება, რომელიც ამ წლებში ხასიათდებოდა მკვეთრად გამოსატული უთანასწორობით. ამ წლებში, აღნიშნული მიზეზის გამო ბიუჯეტის დეფიციტის მთლიანი ტვირთი წლის ბოლო თვეებზე მოდიოდა, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული ვალუტის გაუფასურებას (სხვა ფაქტორებთან ერთად).

ქვეყნის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევებია: სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი – საყოველთაო დაზღვევისა და საყოველთაო ჯანდაცვის სახით; სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში სახელმწიფო სუბსიდების მაღალი ხვედრითი წილი (მაშინ, როდესაც საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებაში მნიშვნელოვნ წყაროდ გვევლინება გაზრდილი საგარეო და საშინაო ვალების მოცულობები); პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ექსპორტისა და საზღვარგარეთიდან ფულადი გზაწინაღობის მნიშვნელოვანი ზომით შემცირება. ამ ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედება ნეგატიური გავლენის შერბილება მოითხოვს ფისკალურ სფეროში ძირეული ხასიათის რეფორმების განხორციელებას. კერძოდ, მოსახლეობის დაბერების ზრდადი ტენდენციის გათვალისწინებით საჭიროა კერძო საპენსიო სისტემაზე გადასვლის დაჩქარება, ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამული მიდგომის სრულყოფისა და მისი ხარჯვითი ნაწილის ოპტიმიზაციის, მმართველობითი აპარატის დაფინანსების მოცულობის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ხელშეწყობი მიმართულებების (განათლების, მეცნიერებისა და ჯანდაცვის პროგრამების) პრიორიტეტული დაფინანსების გზით. ბიუჯეტში შესწორებების დროული განხორციელება შეარბილებს საგარეო ფაქტორებისა და რისკების უარყოფითი ზეგავლენას ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე.

მაშასადამე, საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ფისკალური სტაბილიზაციის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ხარჯვითი და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა, რაც ამავე დროს შიდა და საგარეო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზით შესაძლებელს გახდის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

საგაალუტო კრიზისები  
**EXCHANGE CRISES**

დავით ასლანიშვილი  
ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის  
კავკასიის ბიზნესის სკოლის ასოცირებული პროფესორი,  
ქრისტინე ომაძე  
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი

საგაალუტო კრიზისები საქართველოში: ბაკვეთილი და ამრსკმტოვა  
(1995 – 2016)

რეზიუმე

მოცემულ კვლევაში პირველად არის აღწერილი და თავმოყრილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მომხდარი სამი საგაალუტო კრიზისი, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორია. მოცემულია საგაალუტო კრიზისების დაძლევისა და პრევენციის რჩევები, გამოკვლეულია მათი ბუნება და განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კრიზისების დაძლევაში დაშვებული შეცდომის ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: საგაალუტო კრიზისი, ლარის გაცვლითი კურსი, ფულადი აგრეგატები, საერთაშორისო რეზერვები, საქართველოს ეროვნული ბანკი

შესავალი

დამოუკიდებლობის აღდგენიდან საქართველოს მთავარი ამოცანაა დამოუკიდებლობის პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლების სრულყოფა და შენარჩუნება. ამ მხრივ, დამოუკიდებელი, სტაბილური, ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე მომართული ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს იმ ქვაკუთხედს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მყარ და საიმედო ინტეგრაციას მსოფლიო თანამეგობრობაში, როგორც წარმატებულს, პროგრესსა და ინოვაციებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს.

ამ მხრივ ეკონომიკაში და მის მთავარ ინდიკატორში – ფულად-საკრედიტო სისტემაში – აუცილებელია ისეთი მყარი და პროგნოზირებადი გარემოს შექმნა, რომელიც საიმედო ბაზისი იქნება შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის.

საფინანსო წრეებში ამ მოდელს ძლიერი ასიმეტრია ეწოდება. ეს არის მოდელი, როდესაც საფინანსო სისტემა და მისი რგოლები სრულყოფილად ფლობენ წარსულის ინფორმაციას, აქვთ ტრანსპარანტული და უტყუარ სტატისტიკაზე დამყარებული გარემო, რაც მიმდინარე მოვლენების სწორი ანალიზისთვის ესაჭიროებათ და, რაც მთავარია, არსებობს შესაძლებლობა, დაგვემო მომავალი, მისი მოსალოდნელი საფინანსო სტრატეგია, კურსი და შედეგი.

სამწუხაროდ, საქართველოში ადგილი აქვს მხოლოდ სუსტ ასიმეტრიას, ანუ გვაქვს მხოლოდ წარსულის გაანალიზების შესაძლებლობა. მიმდინარე ვითარებისა და საფინანსო პოლიტიკის არატრანსპარანტულობა, სუბიექტურობა, საფინანსო და კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობა (და მისი ფაქტობრივი და მიზანმიმართული ლიკვიდაცია) და ბაზრის ნაცვლად რამდენიმე ჯგუ-

ფის მიერ ემოციური თუ პირადი მოსაზრებებით ფინანსური სისტემის მართვა-გამგეობა არ იძლევა საშუალებას, რომ გაანალიზდეს მიმდინარე მოვლენები, რაც ყოველგვარ საფუძველს უსპობს სამომავლო პროგნოზის მომზადებას და მისი სავარაუდო ანარეკლის მოდელის შექმნას. ეს კი საფუძველს აცლის ნებისმიერ მცდელობას, რომ დამკვიდრდეს რეალური სტაბილურობა და უზრუნველყოფილ იქნეს მომავალზე ორიენტირებული მდგრადი, სტაბილური და მრავალწლიანი განვითარების საფინანსო სტრატეგია.

ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია, მოხდეს საქართველოში წარსული საფინანსო-სავალუტო კრიზისების შესწავლა, მათი თავმოყრა და ანალიზი, რისი მცდელობაც მოცემულია ჩვენ ნაშრომში.

კვლევის მიზანი:

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს შესაბამისობისა და კანონზომიერების დადგენა ლარის გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ სავალუტო პოლიტიკას შორის, ან/და მისი უარყოფა.

კვლევის ამოცანა და დროითი პერიოდი:

საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი – მიმოქცევაშია 1995 წლის სექტემბრიდან. მის მიმოქცევაში გაშვებას წინ უძღოდა სტაბილიზაციის პროგრამა, რომელიც 1994 წელს იყო ამოქმედებული.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, მიმოქცევაში მყოფი ლარის ფულადი აგრეგატები (M0, M1, M2 და უცხოური ვალუტის M3) არათანმიმდევრულად, თუმცა განუხრელად იზრდება.

ჩვენი კვლევის ამოცანიდან გამომდინარე, ყველაზე უპრიანია განვიხილოთ, თუ რა ზემოქმედება ჰქონდა კრიზისულ ფაქტორებს ლარის კურსზე და ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკაზე. ამ მხრივ, ლარის მიმოქცევაში გაშვებიდან გასული 20 წლის მანძილზე ჩვენ გამოვყავით სამი მასშტაბური სავალუტო კრიზისი:

- 1998 – 1999 წლების, ინდონეზიით დაწყებული და საქართველოში რუსეთიდან გადმოსული, ფინანსურ-სავალუტო კრიზისი;
- 2008 – 2009 წლები: აგვისტოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე ლარის სავალუტო კრიზისი;
- 2014 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, აშშ დოლარის პოზიციების განმტკიცებისა და ამის ფონზე განვითარებული გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, რამაც ლარის ყველაზე მძიმე სავალუტო კრიზისი გამოიწვია.

#### ლარის პირველი სავალუტო კრიზისი

ლარის ფულადი აგრეგატების საწყისი პოზიცია შემოდგომისას შემდეგი პარამეტრებით ხასიათდებოდა: 1995 წლის ოქტომბრის ბოლოს ლარის მასა (M2) 112,3 მლნ ლარს შეადგენდა, მთლიანად საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული უცხოური ვალუტის მასა (M3) 19 მლნ ლარის ტოლფასი იყო, რაც 1995 წლის ოქტომბერში არსებული ფიქსირებული კურსით, აშშ დოლართან მიმართებით (1 აშშ დოლარი=1,3 ლარს) 15 მლნ აშშ დოლარის ტოლფასი იყო.

აშშ დოლართან ლარის ფიქსირებულმა კურსმა 1998 წლამდე გასტანა, რა დროსაც ფულადი აგრეგატები შემდეგ პროპორციას აფიქსირებენ:

1997 წლის მიწურულს ლარის მასა (M2) გაუტოლდა 295 მლნ ლარს, ხოლო უცხოური ვალუტის მასმა ლარში (M3) 75,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 58 მლნ აშშ დოლარის ტოლფასი იყო.

1998 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი მცურავ გაცვლით კურსზე გადადის და 1998 წლის აგვისტოს მიწურულს ვითარება შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარის მასა (M2) – 294 მლნ ლარი (ანუ უცვლელია 1997 წლის დეკემბრის მონაცემთან);

უცხოური ვალუტის მასა (M3) – 100,5 მლნ ლარი, რაც 80 მლნ აშშ დოლარის ტოლფასია (კურსი ამ პერიოდში 1 აშშ დოლარი = 1,35 ლარს).

ცხრილი 1

(ლარის ფულადი აგრეგატები 1995 – 1998 წწ)

	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0), ათასი ლარი
ოქტომბერი-95	131,419	112,337	107,279	84,708
დეკემბერი-95	179,441	160,145	154,534	124,779
ივნისი-96	200,404	173,516	166,869	130,458
დეკემბერი-96	255,754	220,751	212,448	176,733
ივნისი-97	262,436	215,412	202,166	168,531
დეკემბერი-97	370,497	294,974	277,863	239,691
ივნისი-98	379,560	281,441	265,401	220,694
აგვისტო-98	394,825	294,175	279,633	230,411

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ამავე პერიოდში საერთაშორისო რეზერვების მხრივ შემდეგი ვითარება სუფევდა:

ცხრილი 2

(საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 1995 – 1998 წწ)

	ოფიციალური სარეზერვო აქტივები (ათას აშშ დოლარში)
31.10.1995	171 261,9
31.12.1995	196 188,8
30.06.1996	193 571,9
31.12.1996	190 850,2
30.06.1997	129 001,5
31.12.1997	200 445,9
30.06.1998	138 861,5
31.07.1998	122 746,4
31.08.1998	163 966,0

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

როგორც ცხრილიდან და ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, სავალუტო რეზერვების მეტ-ნაკლები სტაბილურობა სახეზეა და ციფრობრივი ცვლილება ამ პერიოდში გამოწვეულია რიგი საერთაშორისო სავალუტო კონტრაქტის თანხის დაფარვით და მორიგი ტრანშით რეზერვის შევსების კუთხით.

1998 წლის სექტემბერში საქართველოს სავალუტო ბაზარი, ინდონეზიაში დაწყებული და საქართველოში რუსეთიდან გადმოსული ფინანსური კრიზისის მორიგი მსხვერპლი აღმოჩნდა და, როგორც მოვლენებმა ცხადყო, საქართვე-

ლოს მთავრობა და საქართველოს ეროვნული ბანკი ამ კრიზისს მოუმზადებელი შეხვდა.

ჩვენ გავანალიზეთ ამ კრიზისის ყველაზე მწვავე ფაზა – 1998 წლის ოქტომბერი 1999 წლის მარტის ჩათვლით. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ლარის კურსმა უმძიმესი ვარდნა განიცადა და კურსიდან 1 აშშ დოლარი = 1,35 ლარს, დაეცა კურსამდე 1 აშშ დოლარი = 2,45 ლარს, ანუ 82 პროცენტის დევალვაცია განიცადა. თუმცა აღსანიშნავია, რომ არაოფიციალურ ბაზარზე (სავალუტო ჯიხურები) კურსის ვარდნა კიდევ უფრო დრამატული იყო და 1998 წლის ნოემბრის მიწურულს და დეკემბრის დასაწყისში ის მიუახლოვდა ნიშნულს 1 აშშ დოლარი = 3 ლარს.

რაც შეეხება ამ მოვლენის ასახვას ფულად აგრეგატებზე, ის შემდეგი იყო:

ცხრილი 3

(ლარის ფულადი აგრეგატები 1998 – 1999 წწ)

	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0), ათასი ლარი
ოქტომბერი-98	320,862	228,571	216,067	183,579
ნოემბერი-98	295,186	207,171	196,161	168,784
დეკემბერი-98	364,963	259,865	250,296	212,185
იანვარი-99	402,252	273,806	264,325	226,875
თებერვალი-99	416,203	264,952	254,164	220,651
მარტი-99	398,962	251,628	241,743	206,901

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

მხოლოდ ლარის მასა (M2), ყველაზე კრიზისულ პერიოდში (1998 წლის ნოემბერი), დაეცა 207 მლნ ლარამდე, ანუ შემცირდა 87 მლნ ლარით (30 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტის მასა (M3) შემცირდა 100 მლნ ლარით და 1998 წლის ნოემბრის გაცვლის კურსის მიხედვით, უცხოური ვალუტის ოდენობა ბანკებში დაეცა 55 მლნ აშშ დოლარამდე (შემცირდა 32 პროცენტით).

ამას თან დაერთო ისედაც მცირე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი ზრდა (60 პროცენტი წლიური) და ემისიების არშეესება, რასაც მოჰყვა შიგა ვალით (ემისიით) ბიუჯეტის შევსების შეწყვეტა.

1999 წლის ზამთრის პერიოდში ადგილი ჰქონდა ლარის მასის ემისიას, ბიუჯეტის სეკვესტრს და სავალუტო კურსი დასტაბილურდა 2,2-2,45 ფარგლებში.

ყურადსაღებია საერთაშორისო რეზერვებში იმ პერიოდში არსებული მდგომარეობა:

(საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 1998 – 1999წწ)

	ოფიციალური სარეზერვო აქტივები (ათას აშშ დოლარში)
30.09.1998	132 161,4
31.10.1998	118 850,4
30.11.1998	97 659,1
31.12.1998	127 792,5
31.01.1999	234 464,8
28.02.1999	118 013,0
31.03.1999	108 817,5
30.04.1999	103 569,0
31.05.1999	101 453,6
30.06.1999	97 360,4
31.07.1999	97 570,3

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

როგორც ოფიციალური მონაცემები ცხადყოფს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმართა მასშტაბურ (იმ პერიოდში არსებული თანხების გათვალისწინებით) სავალუტო ინტერვენციას, რამაც სავალუტო რეზერვი 1998 და 1999 წლების განმავლობაში სამჯერ დასწია 97 მლნ აშშ დოლარის მანქვენებელთან. საგულისხმოა, რომ სავალუტო რეზერვის ეს ყველა დროის მინიმუმი ორჯერ დაფიქსირდა – 1999 წლის ივნისსა და ივლისში. ამავე დროს, 1999 წლის სავალუტო პოზიციით, ეროვნულ ბანკს მიღებული ჰქონდა საერთაშორისო სესხი, რომლითაც შეავსო სავალუტო რეზერვი 234 მლნ აშშ დოლარამდე, თუმცა მომდევნო თვეს ის განახევრდა სავალუტო ინტერვენციებისა და გადასახდელი მიმდინარე სავალუტო სესხების გამო.

ამ მხრივ 1998 – 1999 წლების სავალუტო კრიზისის ყველაზე მწვავე ფაზის გადალახვა საქართველოს ეროვნულ ბანკს „დაუჯდა“ 100 – 110 მლნ აშშ დოლარი (საკუთარი გათვლები რეზერვის შემცირების, ბანკებიდან ვალუტის გადინებისა და ინტერვენციების მონაცემების ანალიზის საფუძველზე), ხოლო 1999 წლის განმავლობაში უკვე დევალვაციაგანცდილი კურსისა და შოკური ვითარების სტაბილიზაციის მიზნით, ეს ციფრი 50 მლნ დოლარს შეადგენდა (საკუთარი გათვლები რეზერვის შემცირების, ბანკებიდან ვალუტის გადინებისა და ინტერვენციების მონაცემების ანალიზის საფუძველზე).

დაჯამებით ვიღებთ სურათს, რომ 1998 – 1999 წლების სავალუტო კრიზისის დაძლევა დასჭირდა 150 მლნ აშშ დოლარი (საკუთარი გათვლები რეზერვის შემცირების, ბანკებიდან ვალუტის გადინებისა და ინტერვენციების მონაცემების ანალიზის საფუძველზე).

პირველ და მეორე სავალუტო კრიზისის შორის პერიოდის სავალუტო პოლიტიკა (2003 – 2008)

1998–1999 წწ. სავალუტო კრიზისის შემდგომი პერიოდი სტაბილიზაციის და სავალუტო კურსისა და ფულადი აგრეგატების მიმართ ნდობის აღდგენისა და განმტკიცების პერიოდს მოიცავს. სავალუტო რეზერვი მეტ-ნაკლები სისწრაფით იზრდებოდა, ხოლო 2004 წელს დაწყებული მასშტაბური პრივატიზაციისა და უცხოური ინვესტიციების შემოდინების ფონზე მკვეთრი ზრდით ხასიათდებოდა. თუ 2003 წლის ბოლოს ის 200 მლნ აშშ დოლარს ვერ აღწევდა,

მომდევნო 2004 წელს მან 386 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2006 წელს 930 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ცხრილი 5

(საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 2001 – 2006 წწ)

I. ოფიციალური სარეზერვო აქტივები და სხვა აქტივები უცხოური ვალუტით					
მლნ აშშ დოლარი	<b>2001</b>	2003	2004	2005	2006
ა. ოფიციალური სარეზერვო აქტივები	117,4	196,2	386,6	478,6	930,8

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ამასთანავე, ფულადი აგრეგატების ზრდამ 1999 – 2003 წწ. შემდეგი ვითარება შექმნა:

ცხრილი 6

(ლარის ფულადი აგრეგატები 1999 – 2003 წწ)

	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0), ათასი ლარი
აპრილი-99	389,811	254,674	246,858	212,913
დეკემბერი-99	435,668	282,713	274,879	244,038
დეკემბერი-00	608,119	380,271	369,644	315,205
ივნისი-01	645,210	359,697	350,171	296,047
დეკემბერი-01	749,331	405,377	395,632	348,850
ივნისი-02	784,325	403,024	392,050	341,273
დეკემბერი-02	890,308	465,096	454,844	390,791
ივნისი-03	955,824	453,456	443,960	374,885
დეკემბერი-03	1,095,628	530,277	519,380	441,536

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ანუ 2003 წლის მიწურულს ლარის ფულადმა აგრეგატმა (M2) გადააჭარბა 530 მლნ ლარს, ხოლო უცხოური ვალუტის მასა (M3) – 565 მლნ ლარს აჭარბებდა, რაც 2003 წლის დეკემბრის ბოლოს მოქმედი კურსით (1 აშშ დოლარი = 2,075 ლარს) 280 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

შესაბამისად, 2003 წლის დეკემბრის მდგომარეობით, უცხოური ვალუტის მასა საბანკო არხებში 1998 წლის კრიზისული ნოემბრის თვესთან შედარებით, 500 პროცენტით (ანუ 5-ჯერ) გაიზარდა, ხოლო ლარის მასა მიმოქცევაში ანალოგიურ პერიოდში 207 მლნ-დან 530 მლნ ლარამდე გაიზარდა, ანუ მხოლოდ 250 პროცენტით (ანუ 2,5-ჯერ). ეს ცხადყოფს, რომ:

- ლარის მიმართ ნდობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე აშშ დოლარის მიმართ;
- დანაზოგის ფუნქცია ლარს ფაქტობრივად არ გააჩნდა;
- ეკონომიკაში იმატა უცხოური ვალუტით ბაზრის გაჯერებამ, რამაც დაასტაბილურა გაცვლითი კურსი და ფულადი ბაზრის აგრეგატები.

ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ მყარდებოდა და, თუ 1999 წლის შემდგომ ეროვნული ბანკი თავს იკავებდა აშშ დოლარის გაყიდვაზე, 2004 წლიდან ეროვნული ბანკი ორმხრივ ინტერვენციებს მიმართავდა

(ანუ უცხოური ვალუტის ყიდვასა და გაყიდვას). ამის საფუძველზე 2004 წლის იანვარ-აპრილის განმავლობაში ლარის კურსი გაიზარდა აშშ დოლარის მიმართ და 2,12-დან 1,995-მდე დავიდა. მომდევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა ძირითადად უცხოური ვალუტის შემოსვლას ქვეყანაში და ამ მხრივ ეროვნული ბანკი გვევლინება ვალუტის შემსყიდველად და ლარის მასის მიმწოდებლად ეკონომიკაში. ამის შედეგად, 2004 წლის მიწურულს ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ 1,8 ნიშნულს მიუახლოვდა. ეს გაცვლითი კურსი მეტ-ნაკლები ვოლატილობით (1,8 – 1,9 ფარგლებში) შენარჩუნდა 2005 წელს.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ფულადი აგრეგატების ზრდა, რაც ამ პერიოდში განხორციელდა:

ცხრილი 7

(ლარის ფულადი აგრეგატები 2004 – 2005 წწ)

	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ზანკებს გარეთ არ სეზულო ნაღდი ფული (M0), ათასი ლარი
იანვარი-04	1,091,371	515,978	504,200	416,333
ივლისი-04	1,263,946	632,364	616,819	477,710
დეკემბერი-04	1,534,208	856,521	827,750	615,993
ივნისი-05	1,671,232	910,986	874,191	636,495
დეკემბერი-05	1,961,505	1,104,130	1,029,383	736,284

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

როგორც ოფიციალური სტატისტიკა ცხადყოფს, 2005 წლის მიწურულს ლარის აგრეგატი (M2) 1,104 მლნ ლარს გადააჭარბა (2003 წელთან შედარებით 539 მლნ ლარით ზრდა), ხოლო უცხოური ვალუტის ოდენობა საბანკო არხებში 857 მლნ ლარს შეადგენდა, ანუ 480 მლნ აშშ დოლარს (2003 წელთან შედარებით 200 მლნ აშშ დოლარით ზრდა).

სახეზე იყო ეკონომიკის მასშტაბისა და მოცულობის ზრდა ყველა ფულადი აგრეგატის კუთხით, რასაც თან ერთვოდა სავალუტო რეზერვების სწრაფი ტემპით სინქრონული ზრდა.

2006–2007 წლები წყალგამტარ პერიოდად მიგვაჩნია, რადგან ამ პერიოდში გატარებულმა სავალუტო პოლიტიკამ განსაზღვრა მომდევნო პერიოდის საბედისწერო უნებლიე თუ მიზანმიმართული შეცდომები.

2006 წლის პირველი კვარტალი არაფრით იყო გამორჩეული სხვა პერიოდებისგან, თუმცა მეორე კვარტალში ადგილი ჰქონდა ეროვნული ბანკის მხრიდან უცხოური ვალუტის დიდი მოცულობით შექენას და, შესაბამისად, ლარის მასის ზრდას.

2006 წლის გაზაფხულ-შემოდგომის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 350 მლნ აშშ დოლარი შეიძინა, თუმცა ლარის კურსი უმნიშვნელოდ შეიცვალა და ის 1,85 – 1,73 ფარგლებში იყო მოქცეული.

მომდევნო 2007 წლის 10 თვეში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავის ისტორიაში სარეკორდო – 755 მლნ აშშ დოლარის თანხა შეიძინა და კვლავ გაზარდა ლარის მასა მიმოქცევაში. ასეთი მასშტაბური სავალუტო შექენების ფონზე ლარის კურსი განაგრძობდა უმნიშვნელო ტემპით გამყარებას და 2007 წლის ოქტომბერში ის შეადგენდა 1 აშშ დოლარი = 1,62 ლარს.

2007 წლის ოქტომბერში მთავრდება სავალუტო პოლიტიკის მორიგი ციკლი და უპრიანია გადავხედოთ, თუ რა ვითარება შეექმნა ლარის აგრეგატებს და სავალუტო რეზერვს ამ ვითარებაში.



(ლარის ფულადი აგრეგატები 2006 – 2008 წწ)

	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ბანკებს გარეთ არ სუბული ნაღდი ფული (M0), ათასი ლარი
დეკემბერი-06	2,799,780	1,473,169	1,337,737	827,357
ივნისი-07	3,374,828	1,744,971	1,556,075	851,145
დეკემბერი-07	4,098,857	2,262,963	1,947,554	1,152,070
ივნისი-08	4,341,414	2,573,610	2,137,886	1,235,407
ივლისი-08	4,525,406	2,710,358	2,238,727	1,290,945

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

როგორც მონაცემი ცხადყოფს, 2005 – 2006 წლის მონაკვეთში ლარის აგრეგატი 2 გაიზარდა 369 მლნ ლარით, თუმცა უცხოური ვალუტის შემოდინების ზრდა საბანკო არხებში მეტი იყო 838 მლნ ლარით (კურსი 1,715), რაც 488 მლნ აშშ დოლარით მეტია წინა წლის პერიოდთან შედარებით. ჯამურად კი უცხოური ვალუტის ოდენობამ 1,326 მლნ ლარი შეადგინა, რაც 773 მლნ აშშ დოლარის ტოლფასი იყო.

ზრდის ტემპი მომდევნო 2007 წელს დაფიქსირდა და 2007 წლის მიწურულს ლარის აგრეგატი 2-მა მიაღწია 2, 262 მლნ ლარს. ამავე პერიოდში უცხოური ვალუტის მოცულობა ბანკებში 1,835 მლნ ლარს აღწევს, რაც აშშ დოლარში (კურსი 1 აშშ დოლარი = 1,5915 ლარს) 1,153 მლნ აშშ დოლარს უდრის, ანუ 380 მლნ აშშ დოლარით მეტს წინა 2006 წელთან შედარებით.

რაც შეეხება საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვს, ამ მხრივ სიტუაცია შემდეგი იყო:

(საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 2006–2008 წლის აგვისტო)

I. ოფიციალური სარეზერვო აქტივები და სხვა აქტივები უცხოური ვალუტით						
	2006	2007 (ოქტომბერი)	2007	2008 (აპრილი)	2008 (მაისი)	2008 (აგვისტო)
ა. ოფიციალური სარეზერვო აქტივები	930,8	1510,4	1361,1	1910,3	1497,6	1122,9

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

როგორც ვხედავთ, 2007 წლის ნოემბრის მოვლენებმა (საპროტესტო გამოსვლები და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები) თავისი გავლენა იქონია სავალუტო პოლიტიკაზე და ნოემბერსა და დეკემბერში ადგილი ჰქონდა სავალუტო ინტერვენციებს, რამაც 2007 წლის ოქტომბერში არსებული სავალუტო რეზერვი (1,510 მლნ აშშ დოლარი) შეამცირა და წლის ბოლოს ის 1,361 მლნ აშშ დოლარამდე დავიდა. თუმცა აქ ადგილი ჰქონდა ლარის კურსის ხელოვნურ დაჭერას და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა სავალუტო კურსის პოლიტიკას და ის ასცდა საბაზრო მექანიზმებს და ფასწარმოქმნას.

2008 წლის პირველი ნახევარი საარჩევნო ციკლისა და ქვეყანაში გამეფებული არასტაბილური ვითარების ფონზე მიმდინარეობდა. ამ პერიოდში იქნა გამოშვებული საქართველოს მთავრობის ვერობლივაციები, რამაც 2008 წლის აპრილში გაზარდა სავალუტო რეზერვის მოცულობა, თუმცა, მოგვიანებით, ეს თანხა გაიხარჯა მიმდინარე საჭიროებსა და სავალუტო ინტერვენციებში.

2008 წლის აგვისტოს ომს და ფორსმაჟორულ სიტუაციას საქართველოს ფულადი და სავალუტო სისტემა შემდეგი მონაცემებით დახვდა:

ლარის მასა მიმოქცევაში (M2) = 2,710 მლნ ლარი, ანუ 450 მლნ ლარით მეტი, ვიდრე 2007 წლის მიწურულს, ხოლო უცხოური ვალუტის ოდენობა საბანკო არხებში = 1,815 მლნ ლარი, ანუ 20 მლნ ნაკლები ოდენობით ლარში, ვიდრე 2007 წლის მიწურულს და 37 მლნ აშშ დოლარით ნაკლები უცხოურ ვალუტაში (1,289 მლნ აშშ დოლარი).

ეს იყო პირდაპირი ნიშანი, რომ საბანკო არხებში შემცირდა უცხოური ვალუტის შემოდინება და, ასეთ ვითარებაში ის ფაქტი, რომ ლარის კურსმა განაგრძო გამყარება და ივლისის მიწურულს ის 1,397 შეადგენდა, მიანიშნებს სავალუტო კურსზე ადმინისტრაციულ ზეწოლაზე.

ცხადია, 2007 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, 2008 წლის აგვისტომდე, ლარის კურსის შემდგომი განმტკიცება ხელოვნურ ხასიათს ატარებდა და არ ასახავდა სავალუტო ბაზრის რეალურ კონიუნქტურას.

ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა მაღალ ინფლაციას, რომელიც გასცდა მიზნობრივ მაჩვენებელს. ამ ფაქტორმა უბიძგა ეროვნულ ბანკს, რომ 12 პროცენტამდე გაეზარდა რეფინანსირების განაკვეთი, რამაც კომერციული საბანკო კრედიტის ღირებულება 13 პროცენტიდან წლიურ 30 პროცენტამდე ასწია.

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს საქართველოს სავალუტო და, მთლიანობაში, ფულად-საკრედიტო სისტემა საკმაოდ რთულ ვითარებაში შეხვდა. 2008 წლის ომმა და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მხოლოდ არნახულად გაამძაფრა ყველა არსებული პრობლემა და გამოწვევა.

#### ლარის მეორე სავალუტო კრიზისი

2008 წლის აგვისტოს ომმა და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მკვეთრად ნეგატიური გავლენა იქონია ისედაც რთულ ვითარებაში მყოფ საქართველოს საფინანსო სისტემაზე. მათი გავლენა მეტწილად განეიტრალდა იმ დახმარებით, რაც მსოფლიო თანამეგობრობამ გამოყო საქართველოსთვის (4,5 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით), თუმცა მთელი რიგი ნეგატიური მოვლენის აცილება და რეაგირება ვერ მოხერხდა.

ომისა და კრიზისის გავლენა ყველაზე თვალნათლივ გამოიკვეთა ფულადი აგრეგატების ჭრილში:

ცხრილი 10

(ლარის ფულადი აგრეგატები 2008 წლის აგვისტო – 2009 წლის მარტი)

	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ბანკებს გარეთ არ სეზუმი ნად დი ფული (M0), ათასი ლარი
აგვისტო-08	4,014,688	2,421,845	2,066,256	1,245,779
სექტემბერი-08	4,089,682	2,405,603	2,045,450	1,196,489
ოქტომბერი-08	4,009,512	2,301,163	1,947,641	1,154,045
ნოემბერი-08	4,062,943	2,070,356	1,779,908	1,059,340
დეკემბერი-08	4,421,698	1,999,220	1,752,459	1,082,554
იანვარი-09	4,146,756	1,862,990	1,641,025	991,498
თებერვალი-09	4,035,788	1,803,649	1,589,466	961,048
მარტი-09	3,815,625	1,778,077	1,573,465	960,173

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

როგორც ოფიციალური მონაცემები ცხადყოფს, 2008 წლის ივლისი – 2009 წლის მარტის განმავლობაში ლარის მასის აგრეგატის ჯამური მაჩვენებელი 2 შემცირდა 2,710 მლნ ლარიდან 1,778 მლნ ლარამდე, ანუ თითქმის 1 მლრდ ლარით, რაც მიმოქცევაში არსებული ლარის მასის 37 პროცენტის ტოლფასია - ამას მოჰყვა ღრმა სტაგნაცია და ეკონომიკის ზრდის ტემპის უარყოფითი მაჩვენებლის დაფიქსირება.

ამასთანავე, საომარი ვითარებისა და კრიზისის მიუხედავად ლარის კურსის გამყარება/შენარჩუნება გაგრძელდა 2008 წლის ნოემბრამდე, რის შემდეგ ერთ დღეში(!) ადმინისტრაციულად მოხდა ლარის კურსის „დაწევა“ 1,65 ნიშნულზე.

ყურადსაღებია, რომ მეტ-ნაკლები რხევით (1,6 – 1,8 დიაპაზონში) აღნიშნული გაცვლის კურსი შენარჩუნდა 2013 წლის ბოლომდე.

ცხადია, ყოველივე ამ ქმედებას თან სდევდა მასშტაბური სავალუტო ინტერვენციები, რომლის ჯამურმა უარყოფითმა მოცულობამ 2008 წლის ივლისი – 2009 წლის მარტის განმავლობაში 875 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სავალუტო რეზერვის ასეთი მასშტაბური ტემპით ხარჯვამ ნომინალურად არ შეამცირა ქვეყნის სავალუტო რეზერვის ოდენობა, რადგან დონორებისგან მიღებული სავალუტო შემოდინება აღემატებოდა ინტერვენციების ოდენობას, რამაც გაზარდა საერთაშორისო სავალუტო რეზერვები:

ცხრილი 11

(საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 2008 – 2009 წწ)

I. ოფიციალური სარეზერვო აქტივები და სხვა აქტივები უცხოური ვალუტით				
	2008	2009	2009	2009
მლნ აშშ დოლარი		ივნისი	ოქტომბერი	დეკემბერი
ა. ოფიციალური სარეზერვო აქტივები	1480,2	1518,2	2030,5	2110,4

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ამასთანავე, ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ 2008 – 2009 წწ. გატარებული სავალუტო პოლიტიკა არ შეესაბამებოდა საბაზრო მოთხოვნა/მიწოდების ელემენტარულ პირობებს და სავალუტო რეზერვების განიავებისა და ომის შემდგომ ეკონომიკის ტრანსფორმაციისთვის გამოყოფილი სავალუტო ტრანშები (ჯამში 4,5 მლრდ აშშ დოლარი) ყოველად უყარათოდ გაიფლანგა.

ამით შენარჩუნდა ის შეუსაბამო ეკონომიკური სისტემა და სამეურნეო კავშირები, რომელიც არ ესადაგება განვითარებასა და კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებულ ეკონომიკას. ყოველივე ამან თავისი მძიმე შედეგი გამოიღო 2014 წლის მიწურულს დაწყებულ მასშტაბურ სავალუტო კრიზისში, რომელიც დღეს სუფევს საქართველოში.

მეორე და მესამე სავალუტო კრიზისის შორის პერიოდის სავალუტო პოლიტიკა

ომის შემდგომ იოთხი წელი შედარებით სტაბილურობასა და „უძრავობის“ ხანას წააგავდა – ქვეყანა წარმატებით „ითვისებდა“ დონორების 4,5 მლრდ აშშ დოლარს და არანაირი ქმედება ეკონომიკის რეფორმირების და ექსპორტ/იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით არ გადადგმულა.

ამ მოხვედრებითი სტაბილურობის პერიოდში იზრდებოდა ლარის მასა მიმოქცევაში და უცხოური ვალუტის მოცულობა კომერციულ ბანკებში:

ცხრილი 12

(ლარის ფულადი აგრეგატები 2009 წლის აპრილი – 2013 წლის დეკემბერი)

	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ბანკებს გარეთ არ სებული ნაღდი ფული (M0), ათასი ლარი
აპრილი-09	3,637,932	1,816,818	1,633,306	1,005,005
ივლისი-09	3,922,696	1,959,227	1,734,390	1,075,848
დეკემბერი-09	4,763,607	2,330,486	2,019,366	1,229,436
ივნისი-10	5,154,387	2,537,542	2,219,909	1,269,456
დეკემბერი-10	6,199,009	2,960,254	2,509,999	1,372,989
ივნისი-11	6,164,201	2,939,244	2,418,582	1,248,893
დეკემბერი-11	7,097,777	3,783,180	3,137,907	1,438,992
ივნისი-12	7,242,927	3,686,240	3,011,487	1,344,033
დეკემბერი-12	7,903,739	4,069,162	3,336,948	1,550,028
ივნისი-13	8,354,699	4,349,611	3,392,516	1,489,096
დეკემბერი-13	9,836,619	5,418,403	4,307,502	1,899,625

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ლარის ფულადი აგრეგატი M2 გაიზარდა 1,816 მლნ-დან (2009 წლის აპრილი) 4,069 მლნ ლარამდე 2012 წლის მიწურულს და, რაც ყველაზე საგანგაშოა, 2013 წლის ივნისის მახვევებელი - 4,349 მლნ მომდევნო ექვს თვეში - 1,070 მლნ ლარით გაიზარდა და 2013 წლის მიწურულს 5,418 მლნ ლარი შეადგინა, რამაც გამოიწვია ლარის კურსის მკვეთრი დაცემა აშშ დოლარის მიმართ (დიაპაზონში 1 აშშ დოლარი = 1,65 ლარი-დან 1 აშშ დოლარი = 1,75 ლარამდე).

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ დოლარით საბანკო არხების გაჯერება ამ პერიოდში საკმაოდ კარგად ხორციელდებოდა:

2012 წლის დეკემბრის მონაცემით M3 შეადგენა 7,903 მლნ ლარს, რაც წლის ბოლოს არსებული კურსით (1,6567) 2,300 აშშ დოლარს უდრის;

ყურადსაღებია, რომ 2013 წლის დეკემბრის მონაცემით M3 შეადგენდა 9,837 მლნ ლარს, რაც წლის ბოლოს არსებული კურსით (1,7363) 2,545 აშშ დოლარს უდრის, ანუ ლარის მასის ზრდას სტატისტიკურად არ მოჰყოლია აშშ დოლარის მასის ადეკვატური ზრდა, რაც სავალუტო კურსის რყევის ერთ-ერთი მიზეზი იყო.

ჩვენი კვლევით, 2012 – 2015 წწ. ფულადი მასის ზრდა უკავშირდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის ზრდით და შემდგომში კომერციული ბანკების მიერ ამ ემისიის ფასიანი ქაღალდების დაგირავების გზით (და რიგი სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ინსტრუმენტებით) საქართველოს ეროვნული ბანკიდან რეფინანსირების სესხების გამოტანას. ამას თან დაერთო 2013 წლის ბოლოს ხაზინის ანგარიშზე რიცხული ნაშთის შემცირება და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული რიგი ნორმატიული აქტებით, რომელიც „სავალუტო პოლიტიკის გამკაცრებას“ მოიცავდა (მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრების კომერციულ ბანკებში დეპოზიტებში განთავსების დაბრკოლებები სარგებლის დარიცხვის კუთხით, სარეზერვო მოთხოვნების გამკაცრება და რიგი სხვა ღონისძიება,) არსებული უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გასვლა.

ლარის კურსის სტაბილიზაციის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გახარჯა რეზერვების ნაწილი, რამაც საერთაშორისო სავალუტო რეზერვი, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში რეკორდულ 3,110 ღნ აშშ დოლარს შეადგენდა, შეამცირა 2,823 მლნ აშშ დოლარამდე 2013 წლის მიწურულს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შეცდომებისა და არაკოორდინირებული მუშაობის პრაქტიკა მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა, რამაც განსაკუთრებით ნეგატიური როლი ითამაშა ბოლო სავალუტო კრიზისის დროს, რომელიც 2014 წლის შემოდგომიდან მიქინვარებს საქართველოში.

ცხრილი 13

(საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 2010– 2013 წწ)

I. ოფიციალური სარეზერვო აქტივები და სხვა აქტივები უცხოური ვალუტით	2010	2011	2012	2012	2013	2013
	მლნ აშშ დოლარი	<b>XII</b>	<b>XII</b>	<b>VIII</b>	XII	X
ა. ოფიციალური სარეზერვო აქტივები	2263,9	2818,3	2943,7	2873	3110,1	2823,4

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ლარის მესამე სავალუტო კრიზისი

(2014 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, აშშ დოლარის პოზიციების განმტკიცება და ამის ფონზე გლობალურ პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, რამაც ლარის ყველაზე მძიმე სავალუტო კრიზისი გამოიწვია).

2014 წლის ოქტომბრის ბოლოს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკის ხელმძღვანელმა ოფიციალურად განაცხადა „შერბილების პოლიტიკის“ დასასრულის თაობაზე, რასაც მოჰყვა გლობალურ ბაზარზე აშშ დოლარის კურსის განმტკიცება ყველა წამყვანი ვალუტის მიმართ. ამ სიახლეს თან დაერთო

გლობალურ ეკონომიკაში არსებული ზრდის ტემპების შენელება და ენერჯო-მატარებლებზე ფასის მკვეთრი ვარდნა, რამაც გააძაფრა მოლოდინი და გლობალურ ბაზრებზე ვალუტების მკვეთრი ვოლატილობა გამოიწვია. ამ მხრივ, საქართველოს სავალუტო ბაზარი, რომელიც ამ გამოწვევამდეც არ წარმოადგენდა მყარ და გამართულ საბაზრო პრინციპებზე მომუშავე სტრუქტურას, მოუზადებელი დახვდა ამ გამოწვევას და ლარმა თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე მძიმე დევალვაცია განიცადა.

ამ ვითარებას თან დაერთო ლარის ფულადი აგრეგატის ზრდა, რომელმაც 2014 წლის დეკემბრისთვის 5,911 მლნ ლარი შეადგინა (1 მლრდ ლარით გაიზარდა 2014 წლის განმავლობაში), რამაც სავალუტო კრიზისის პროვოცირება და დამძიმება გამოიწვია. 2013 წელთან განსხვავებით, სიტუაციას ფაქტობრივად განერიდა საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელმაც ასეთი მასშტაბით ფულადი მასის ზრდის ფონზე მხოლოდ მცირე მასშტაბის ინტერვენცია და დაგვიანებული რეაქცია მოახდინა. შედეგად კი, ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურდა 1,7363-დან (2013 წლის დეკემბერი) – 2,4985- მდე (2016 წლის 28 იანვარი) (44 პროცენტის დევალვაცია).

2015 წლის განმავლობაში გატარებული სავალუტო ინტერვენციების ხარჯზე მოხდა ლარის მასის შედარებითი შემცირება და 2015 წლის ბოლოს ის 5,762 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო 2016 წლის იანვარში – 5,403 მლნ ლარს. დამაიმედებელი ტენდენცია აჩვენა უცხოური ვალუტის M3 მაჩვენებელმა, რომელიც ამ პერიოდში სტაბილურ ზრდას აფიქსირებდა:

2014 წლის ბოლოს - 2,838 მლნ აშშ დოლარი;

2015 წლის ბოლოს - 3,155 მლნ აშშ დოლარი;

თუმცა, 2016 წლის იანვარის მონაცემებით მცირედი კლება აღინიშნა – 3,107 მლნ აშშ დოლარი.

ამასთანავე, ზრდის ეს ტემპი მკვეთრად ჩამორჩებოდა ლარის მასის ზრდას, რაც გლობალურ ბაზარზე არსებული პრობლემების ფონზე მხოლოდ ხელს უწყობდა ლარის კურსის დაცემას.

ცხრილი 14

(ლარის ფულადი აგრეგატები 2014 – 2016 წლის იანვარი)

	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0), ათასი ლარი
იანვარი-14	9,453,973	4,910,384	3,800,826	1,725,649
ივნისი-14	10,130,909	5,208,363	3,995,785	1,815,070
დეკემბერი-14	11,189,836	5,911,310	4,460,837	1,942,582
ივნისი-15	11,792,213	5,658,530	4,168,497	1,979,812
დეკემბერი-15	13,343,921	5,762,932	4,435,599	1,981,936
იანვარი-16	13,172,033	5,403,938	4,114,187	1,825,973

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

საერთაშორისო სავალუტო რეზერვების კუთხით სიტუაცია არასახარბიელო ტრენდს ავლენს. 2013 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, როდესაც სავალუტო რეზერვმა თავის ისტორიულ მაქსიმუმს – 3,110 მლნ აშშ დოლარს მიაღწია – ის შემცირდა 2,447 მლნ აშშ დოლარამდე (2016 წლის იანვარი), ანუ 663 მლნ აშშ დოლარით (21 პროცენტით). ამასთანავე, ამას არ მოჰყოლია ლარის მასის შემცირება მიმოქცევაში. 2013 წლის მიწურულს ის 5,418 მლნ

ლარს შეადგენდა, ხოლო 2016 წლის იანვარში – 5,403 მლნ ლარს. ფაქტობრივად, 663 მლნ აშშ დოლარის რეზერვი დაიხარჯა უყაირათოდ და უმიზნოდ.

ცხრილი 15

(საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 2014 – 2016 წლის იანვარი)

I. ოფიციალური სარეზერვო აქტივები და სხვა აქტივები უცხოური ვალუტით	2014	2015	2016
	მლნ აშშ დოლარი	XII	XII
ა. ოფიციალური სარეზერვო აქტივები	2699,2	2520,6	2447,5

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

არსებული ვითარება და განვითარების სცენარი

ბოლო სამი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით მოზიდული რესურსი და შიგა ვალი:

- 2012 წლის ოქტომბერი – 702 მლნ ლარი;
- 2013 წლის დეკემბერი – 864 მლნ ლარი;
- 2014 წლის დეკემბერი – 1,457 მლნ ლარი;
- 2015 წლის ოქტომბერი – 1,824 მლნ ლარი;
- 2016 წლის იანვარი – 1,797 მლნ ლარი.

2016 წლის განმავლობაში დაგეგმილია ამ პარამეტრის შემცირება, რისი შედეგია 2016 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის კლება და ამ დანაკლისის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთით გადაფარვა.

ერთი მხრივ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია ხელს უწყობს ლარის კურსის განმტკიცებას, მაგრამ მიღებული დებულებებისა და არსებული პრაქტიკის საფუძველზე კომერციული ბანკების მიერ შექმნილი ეს სახელმწიფო ვალი „განადღებულ“ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების შესახებ, გირაოთი და რიგი სხვა ინსტრუმენტით. შედეგად, ლარის მასა მიმოქცევაში გაიზარდა, რაც ლარის დევალვაციის დამატებითი მიზეზი გახდა.

ლარის კურსზე მკვეთრად ნეგატიურად იმოქმედა სახელმწიფო ხარჯების არათანმიმდევრულმა ხარჯვამ, რაც განსაკუთრებით წლის ბოლოს და ზამთრის თვეებში ხორციელდება.

მაგალითად, 2015 წლის გვიან შემოდგომაზე ხაზინაში ნაშთი თუ 900 მლნ ლარს შეადგენდა, 2016 წლის დასაწყისში ის 622 მლნ ლარამდე, ხოლო თებერვლის მიწურულს 300 მლნ ლარამდე დავიდა, ანუ ერთბაშად ბაზარს მიეწოდა (M1-დან M0-ში გადასვლის გზით) 600 მლნ ლარის დეფიციტური ხარჯი (ოფიციალური სტატისტიკით შემოსავალი ამ პერიოდში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გასაწევი ხარჯი). ამრიგად, ეს მოვლენა, ტრადიციულად, ნეგატიურად მოქმედებს დროის ამ მონაკვეთში ლარის კურსის წინააღმდეგ.

ამ რთულ ვითარებაში პოზიტიურია, რომ ენერგომატარებლებზე ფასების ვარდნა მკვეთრად ამცირებს მათზე გადასახდელ ვალუტას (ძირითადად აშშ

დოლარს), თუმცა, იმავდროულად, ეს საკმაოდ მძიმე დარტყმაა საქართველოს ენერჯეტიკაში განსახორციელებელი პროექტებისათვის, რადგან მკვეთრად იკლო მათმა საინვესტიციო მიმზიდველობამ, რაც რიგ კომპანიასთან საინვესტიციო მემორანდუმების გაუქმებაში გამოიხატა. იზრდება საგადაამხდლო ბალანსის უარყოფითი საფარი, რომელიც, 2015 წლის მონაცემებით, 5,5 მლრდ აშშ დოლარის უარყოფით სხვაობას აჩვენებს (ექსპორტ-იმპორტს შორის). ეს კი დამატებითი წნეხია ლარის კურსზე, რადგან სახეზეა სავალუტო შემოდინების მკვეთრი შემცირება და, ტრადიციულად, ამ სხვაობის შემავსებელი ელემენტების (გადმორიცხვები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) კლება.

ყურადსაღებია ამ ორი პარამეტრის შეფარდება ერთმანეთთან:

უცხოეთიდან საქართველოში გადმორიცხვების ჯამი 2011 – 2015 წწ. შეადგენდა 6,5 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2011 – 2015 წწ. შეადგინა 4,5 მლრდ აშშ დოლარი, ანუ შრომითი მიგრანტების მიერ ოჯახების შესანახად გადმორიცხულმა თანხებმა გაცილებით მეტი უცხოური ვალუტის შემოდინება აჩვენა, ვიდრე უცხოურმა ინვესტიციებმა, რაც საქართველოს მთავრობების (პოლიტიკური მიკუთვნების გარეშე) არაეფექტური მუშაობის თვალსაჩინო მაგალითია. ვითარებას ართულებს ადგილობრივი საფონდო ბაზრის არარსებობა, რადგან ის კანონმდებლობით დაქვემდებარებული კომერციული ბანკებისთვის, რაც სპობს შესაძლებლობობას, ქვეყანაში განვითარდეს არაკომერციული საბანკო დაფინანსების წყაროები და ეს არის პირდაპირი შედეგი და მაგალითი საქართველოს ეკონომიკისა და მისი პოტენციალის სრული დეგრადირების საჩვენებლად.

საინტერესოა, რომ ქვეყნის მიმართ საინვესტიციო მიმზიდველობის კლება ცხადყოფს ისეთი ინდიკატორი, როგორიცაა თუნდაც ლონდონის საფონდო ბირჟაზე არსებული ორი წამყვანი კომერციული ბანკის აქციების ფასის ვარდნა:

სს „თიბისი ბანკი“-ს აქციის ფასი გასული წლის განმავლობაში დაეცა 16,5 აშშ დოლარიდან 9 დოლარამდე (45 პროცენტთან ვარდნა), ხოლო შპს „საქართველოს ბანკის ჰოლდინგის“ (სს „საქართველოს ბანკის“ მესაკუთრე სტრუქტურა) – 2678-დან 1747 დოლარამდე – 30% ვარდნა დაფიქსირდა. ეს ნათელი ინდიკატორია, რომ საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა მკვეთრად შემცირდა უცხოური ფონდების თვალში.

გასათვალისწინებელია საქართველოს საგარეო ვალის საკითხი – ის 14,5 მლრდ აშშ დოლარს აღწევს, საიდანაც მნიშვნელოვანი წილი უჭირავს კომერციული ბანკების მიერ აშშ დოლარში მოზიდულ მოკლევადიან და ძვირადღირებულ რესურსს. ამ მხრივ, მათ მიერ გაცემული სესხები, როგორც წესი, მიბმულია აშშ დოლართან (საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაცია 80 პროცენტს აღწევს) და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ვალების გადახდის (პროლონგაციის) გრაფიკი ემთხვევა მიმდინარე პერიოდს:

2015 წელს კომერციულმა ბანკებმა გადაიხადეს (გადაავადეს) 1,4 მლრდ აშშ დოლარის სესხი, 2016 წელს უწევთ 510 მლნ აშშ დოლარამდე სესხის გასტუმრება, ხოლო 2017 წელს ეს ციფრი 2 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს. რაც ყველაზე საგანგაშოა, ამ პერიოდში კომერციული ბანკების მიერ ნასესხებმა რესურსმა 2,7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო გასასტუმრებელი აქვთ 4,4 მლრდ აშშ დოლარი, რაც ლარის კურსის სიმყარეს და სტაბილურობას დამატებით პრობლემებს უქმნის.

სიტუაციის გამოსწორება შეუძლია მხოლოდ მყარ და საიმედო ეკონომიკურ ზრდას, თუმცა მისი მაჩვენებელი 2016 წლის იანვრის შედეგით მხოლოდ 0,8 პროცენტია, რაც საგანგაშო ციფრია (2015 წელს ის 2,5 – 2,8 პროცენტი იყო).



მთლიანობაში, ბიზნესგარემო საქართველოში საკმაოდ დამძიმებულია, რადგან კომერციული ბანკების მიერ გაცემული ჯამური საკრედიტო დაბანდება შეადგენს 16,2 მლრდ ლარს (2016 წლის თებერვალი), ხოლო კომერციულ ბანკებს ამ სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავეული აქვთ 300 მლრდ ლარზე მეტი ქონება, რაც არნახული თანაფარდობაა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან შედარებით (საერთაშორისო პრაქტიკაა ერთი ორთან შეფარდება, ხოლო საქართველოში ის ერთი ოცთან და მეტს შეადგენს რიგი კომერციული ბანკის შემთხვევაში). ასეთ ვითარებაში, როდესაც ფაქტობრივად მთელი ბიზნესი ჩაგირავეულია კომერციულ საბანკო სისტემაში და მოზიდული რესურსი არის საკმაოდ ძვირი (15 – 20-ჯერ უფრო ძვირი საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარებით), ეკონომიკური წისვლის და ვითარების გაჯანსაღების პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია და არასაიმედო.

#### დასკვნა

ამ ეტაპზე ლარს ფაქტობრივად დაკარგული აქვს ფულის ნიშნის ერთი ფუნქცია - დაგროვების და მკვეთრად შეზღუდულია მისი გაცვლისა და ღირებულების საზომის ფუნქციები. აუცილებელია რიგი ღონისძიებების გატარება ფულადი ერთეულის მიმართ ნდობის განმტკიცების კუთხით. უკანასკნელი (2014 - 2016 წწ.) სავალუტო კრიზისის მიზეზთა ნაწილი ჩამოთვლილი გვაქვს და დაჯამების სახით გვსურს აღვნიშნოთ რამდენიმე მათგანი, რაც მომავალი კრიზისის(ების) პრევენციის კუთხით გასატარებელ ქმედებათა აუცილებელ ნაბიჯებს მოიცავს:

1. სახელმწიფო დონეზე არ არის სათანადო პროგრამა, საკადრო რესურსი და პოლიტიკა ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სავალუტო კრიზისის დაძლევის კუთხით;

2. წლების განმავლობაში ადგილი აქვს არაკოორდინირებულ მუშაობას საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის;

3. მაღალია საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მახვევებელი და მცირეა ლარის მიმოქცევის არეალი, რაც შედეგია არასწორი პოლიტიკის;

4. ადგილი აქვს დაბალი დონის ასიმეტრიის არსებობას ბაზარზე და მთლიანად ეკონომიკაში (მონოპოლიები, საბაზრო ფასის არარსებობა);

5. ადგილი აქვს პანიკის ნიშნებს და ნეგატიურ განწყობებს ლარის კურსის მიმართ – ნდობის ფაქტორი საკმაოდ დაბალ დონეზეა;

6. შეუსაბამოა რიგი საკანონმდებლო ნორმა – მიწის გაყიდვის აკრძალვა უცხოელებზე, საპოლიციო გამოსახლება, ვიზების რეჟიმი, რაც ხელს უშლის ბაზარზე სავალუტო შემოდინებას;

7. საკანონმდებლო დონეზეა შესაცვლელი და ცხოვრებაში გასატარებელი ალტერნატიული (არაკომერციული საბანკო) დაფინანსების წყაროები – საფონდო ბაზარი, ინფრასტრუქტურა, შეზღუდვად დასაწესებელი კომერციული ბანკების არაპროფილურ საქმიანობაზე, ფართო ინვესტორთა წრისათვის გასახსნელია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი და, რაც მთავარია, დასაწესებელია ალტერნატიული ფულადი რესურსის მთავარი მამოძრავებელი ძალის – დამოუკიდებელი მრავალი საბროკერო კომპანიების საქმიანობის წესი და დამოუკიდებელი რეგისტრატორული (კასტოდიანების) საქმიანობის წესი;

8. დასარეგულირებელია კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა და 300 მლრდ ლარის მქონე გირაოს საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Burnside, C., Eichenbaum, M. and Rebelo, S. 2001a. Prospective deficits and the Asian currency crisis. *Journal of Political Economy* 109, 1155–98.
2. Burnside, C., Eichenbaum, M., and Rebelo, S. 2001b. Hedging and financial fragility in fixed exchange rate regimes. *European Economic Review* 45, 1151–93.
3. Cagan, P. 1956. Monetary dynamics of hyperinflation. In *Studies in the Quantity Theory of Money*, ed. M. Friedman. Chicago: University of Chicago Press.
4. Chang, R. and Velasco, A. 2001. A model of financial crises in emerging markets. *Quarterly Journal of Economics* 116, 489–517.
5. Christiano, L., Braggion, F. and Roldos, J. 2006. The optimal monetary response to a financial crisis. Mimeo, Northwestern University.
6. Corsetti, G. and Mackowiak, B. 2006. Fiscal imbalances and the dynamics of currency crises. *European Economic Review* 50, 1317–38.
7. Corsetti, G., Pesenti, P. and N. Roubini. 1999. What caused the Asian currency and financial crisis? *Japan and the World Economy* 11, 305–73.
8. Daniel, B. 2001. The fiscal theory of the price level in an open economy. *Journal of Monetary Economics* 48, 293–308.
9. Diamond, D. and Dybvig, P. 1983. Bank runs, deposit insurance and liquidity. *Journal of Political Economy* 91, 401–19.
10. Diaz-Alejandro, C. 1985. Good-bye financial repression, hello financial crash. *Journal of Development Economics* 19, 1–24.
11. Drazen, A. and Helpman, E. 1987. Stabilization with exchange rate management. *Quarterly Journal of Economics* 102, 835–55.
12. Dupor, W. 2000. Exchange rates and the fiscal theory of the price level. *Journal of Monetary Economics* 45, 613–30.
13. The Financial crisis inquiry report, Final Report of the National Commission on the Causes of the Financial and Economic Crisis in the United States, February, 2011.
14. Krugman, Paul (September 23, 2011). "Origins of the Euro Crisis". The New York Times.
15. Aslanishvili David – Обзор Мирового Рынка Государственных Ценных Бумаж и их структура., стр 219 – 220 , STATE UNIVERSITY OF MOLDOVA, FACULTY OF ECONOMIC SCIENCES, October 31–November 01, 2014, Chisinau, Moldova.
16. ასლანიშვილი დ. 2012. „ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის მიზეზები“ - თსუ, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული (მიმდინარე აკადემიკოს აგუნიას დაბ. 100 წლისთავისადმი, 5, გვ 298 - 305), დეკემბერი, თბილისი, საქართველო.
17. ქრისტინე ომაძე, დავით ასლანიშვილი, „ეკონომიკური კრიზისის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე“ - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 2013 წლის 28-29 ივნისი, გვ. 502 - 508, თბილისი, საქართველო.
18. ქრისტინე ომაძე, 2013. ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების გავლენა საქართველოს ფინანსურ ბაზარზე, თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, №4, გვ. 86 - 98, თბილისი, აგვისტო-სექტემბერი.

*Davit Aslanishvili*  
*PhD, Assistant Professor,*  
*Kristina Omadze*  
*PhD*

## **MONETARY CRISES IN GEORGIA: LESSONS AND PROSPECTS (1995 - 2016)**

### **Expanded Summary**

Our study is the first attempt to overview the three main monetary crises in Georgia history since its independent and to study origin of the crises and evolution. The main goal of monetary policy of the sovereign country is to maintain its political and economic independence. In this regard, the cornerstone of any economic policy should be to reach stable economic growth and welfare of the population that will ensure the steady and reliable integration into the world community as a successful, progress and innovation-based state.

In this regard, the economy and its main indicator - the monetary system is necessary for such asolid and predictable environment, which would be a reliable basis for further progress and development.

This model is called a strong asymmetry in financial societies. This is a model of the financial system where information from the past and present is available. It has a transparent and reliable statistics based on the environment and the most importantly, there is an opportunity to plan the future, its expected financial strategy, course and outcome.

Unfortunately, in Georgia we can observe the low level of financial and economic asymmetry, or in other words, the only one we have to study is the ability to analyze the past. The current situation in finance and economy shows non-transparent market conditions, subjectivity and emotional rule of management in economy, absence of developed financial and capital markets (and its actual liquidation). Such conditions do not allow us to analyze the current situation, which is totally groundless deprives future forecasts and their possible reflection model. This removes the basis for any attempt to establish real stability and ensure sustainable future-oriented, long-term and stable development of the financial strategy.

Our research aims to determine the relevance and regularity of GEL exchange rate and monetary policies conducted by the National Bank.

National currency of Georgia – LARI (GEL) was emitted in September 1995. Its circulation was preceded by a stabilization program, which was enacted in 1994. Since then the circulation of the lari money aggregates (M0, M1, M2 and foreign currency M3) in sequence, but is steadily increasing.

Our research studied what impact the monetary crisis had on GEL exchange rate and the National Bank's foreign exchange policy. In this regard, based on study of the past twenty (20) years monetary policy, we have identified three major Georgian Lari currency crisis:

- 1998 - 1999 years, starting with Indonesia, moved into Russia and affected Georgian currency hardly - first currency crisis;
- 2008 - 2009 years - war conflict with Russia and and global financial crisis, - second currency crisis;
- 2014 – 2016 years - tighten monetary policy of FedReserve and strong US dollar – its influence on world currency system and Georgian case – the third and the most serious monetary and currency exchange crisis in Georgia.

The first and the second monetary crisis of Lari are observed based on historical performances, while the current one is ongoing issue and the study paid the special attention on it and its causes.

At the end of 2014, the US Federal Reserve Bank officially announced the end of “quantitative easing policy” and as result - the US dollar strengthen against all major currencies. This issue affected global economy, slowdown global growth, resulted sharp drop in energy prices and further expectations of global markets and currencies just triggered sharp volatility. In this regard, Georgian foreign exchange market, which faced lack of liquidity and market principles in its structure was unprepared for this challenge and suffered hardly.

This situation was compounded with money aggregate growth, which 5.911 million in December 2014 (1 billion or 20 percent increase of money supply in 2014)> That was one of the main reason of Georgian currency crisis and its depreciation. As a result, the exchange rate depreciated against the US dollar from 1.7363 (December 2013) - up to 2.4985 (28 January 2016) (44 percent devaluation).

International currency reserves reveals the unfavorable trend. Since October 2013, when the foreign currency reserves of its historical maximum - 3.110 million US dollars –it was reduced to 2.447 million US dollars (January 2016), or 663 million US dollars (21 percent). At the same time, such intervention has not been does not decrease the Georgian Lari mass in circulation. At the end of the 2013 there were 5.418 million Georgian Lari (M 2) and in January 2016 is was 5,403 million (M 2). In fact, 663 million US dollars in reserve were spent generously and without purpose.

We have studied the deficit coverage issue and its influence on Lari exchange rate. In the last three years emission of State Securities papers has increased dramatically:

In October 2012 - 702 million internal Debt;

In December 2013 - 864 million;

December 2014 - 1,457 million;

October 2015 - 1,824 million;

January 2016 - 1.797 million.

It should be noticed one peculiarity – as the rule, emission of the state securities to the strengthening of the exchange rate, but in Georgian reality, Security papers were used by commercial banks as collateral to receive loan from National Bank of Georgia. As a result, the Georgian Lari circulation has increased drastically and that was one of the main reason for the currency devaluation. Also, GEL exchange rate was negatively affected by non coordinate activity between Ministry of Finance of Georgia and the National Bank of Georgia.

For example, at the end of 2015, the Treasury balance had 900 million GEL, in early 2016 it was just 622 million Gel and in February the remainder was just 300 million Gel – this issue also affected lari exchange rate against USD on the local market.

From the other point, it is positive that energy prices drop dramatically and this issue helped Lari rate - reduced the payable currency (mainly in US dollars). But it was a pretty heavy blow to Georgia's energy future projects, as such drop dramatically reduced their investment attraction and several companies cancelled the investment memorandum.

Growing negative balance balance of payments, which was 5.5 billion US dollars in 2015, shows a negative pressure on Lari rate too, because there is a decrease in foreign exchange inflows.

Additional problem is loans of commercial banks in Georgia to its international lenders. Loans in Georgia issued in line with USD exchange rate, while income of population is in Gel. This issue hardly affected population and its ability to repay the loans. Only in 2015, banks paid US \$ 1.4 billion loans. Only 510 million US dollars in 2016 should be repaid, while in 2017 the figure should be 2 billion US dollars. What is most alarming is that in this period, commercial banks borrowed resources of 2.7 billion US dollars, while they have to pay 4.4 billion US dollars. Such conditions create instability to exchange rate and add additional problems to the monetary policy.

The alone way to improve the situation is the solid and reliable economic growth, although the rate of growth was too low: in January 2016, the result is only 0.8 percent of growth( per year growth rate was 2.5 in 2015).

Overally, the business environment in Georgia is not reliable for one to support sustainable growth – As of February 2016, commercial banks in Georgia issued a total credits of 16.2 billion Gel, while in collateral portfolio banks fixed more than 300 billion property. Such unprecedented proportion (1 to 20) compared to developed countries and to international practice(usual proportion should be 1 to 2 , or 1 to 3 in developing countries) does not support business to develop its business and activity. In such situation, the whole business in Georgia is actually is in collateral of commercial banks and attracted resources is quite expensive (15 - 20 times more expensive in comparison with international practice). In our view, it is impossible to have stable and rapid economic progress and the improvement of the situation based on current conditions.

As conclusion, we can state - Lars has actually lost at least one function - the accumulation of resources and it is sharply limited its exchange and measure of value functions.

ენერგეტიკა  
**POWER SYSTEM**

სოლომონ პავლიაშვილი  
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს პროფესორი,  
ზურაბ გარაყანიძე  
ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს პროფესორი

რუსულ-თურქული ურთიერთობა და ქართული ენერგეტიკა

რეზიუმე

საქართველოს გაზომობარაგების და მისი ტრანზიტის დივერსიფიკაციის პერსპექტივის თვალსაზრისით ამ ეტაპზე რჩება ირანი - ქვეყანა, რომელიც გაზის დაზვერვით მარაგებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა და რომელსაც სავარაუდოდ, მალე სრულიად მოეხნება დასავლეთის სანქციები. ირანი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს მეზობელ სომხეთთან ამ ქვეყნის ტერიტორიის გავლით ენერგეტიკული რესურსების ევროკავშირისაკენ ტრანზიტთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ირანული გაზის იმპორტზე თუ ტრანზიტზე მოლაპარაკება „გაზპრომის“ გარეშე შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ნავთობი, ტრანზიტი, გაზი, ენერგეტიკა, „გაზპრომი“.

შესავალი

2016 წლის დასაწყისში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ნიხშია შესული თურქეთის მიერ ჩამოგდებული რუსული ბომბდამშენის გამო აქა-იქ, ყარსის 1921 წლის ოქტომბრის ხელშეკრულების გაუქმებაზეც ალაპარაკდნენ. რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი პირადად თურქეთის პრეზიდენტის რ. ტ. ერდოღანის ოჯახს სირიელი და ერაყელი მემბოხეებისგან კონტრაბანდული ნავთობის მიღებაში ადანაშაულებს. რ. ტ. ერდოღანი კი, ერაყიდან თურქული ქვედანაყოფების გამოყვანის მოთხოვნაზე, ვ.პუტინს საქართველოში რუსული ჯარის შეჭრას ახსენებს...

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია გასული 2015 წლის 27 დეკემბერს, შვეიცარიაში, საქართველოს ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძესა და "გაზპრომ-ექსპორტის" ხელმძღვანელის, ელენა ბურმისტროვას შორის გამართული დაუგეგმავი შეხვედრის შესახებ. თუ მოვლენების ქრონოლოგიას დაგვიკვირდებით, ეს არ არის „გაზპრომთან“ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების პირველი შეხვედრა – კონტაქტები 2015 წლის 24 ნოემბერს, თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ გახშირდა. უნდა ითქვას, რომ ეს გასაკვირი კი არა, მისასალმებელია – თანამედროვე ეკონომიკური დიპლომატიის თავისებურება სწორედ ისაა, რომ ქვეყნებმა სხვების პოლიტიკური დაპირისპირებიდან მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი მიიღონ. ამ ახალ დიპლომატიურ სწავლებას თანამედროვე მეკლავები უკვე სპეციალურ დისციპლინად – „გეოეკონომიკად“ მოიხსენიებენ.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური სამართლიანად მიუთითებს რომ, თუკი არსებობს შანსი, საქართველომ რუსეთის მიერ თურქეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციებისგან სარგებელი მიიღოს, ქვეყანამ ამაზე უარი არ უნდა ითქვას: „...შეფასება სხვათა დაპირისპირებაზე კარგი ტონი არ არის, მაგრამ, ჩვენ ვართ ჩვენი ქვეყნის

წარმომადგენლები და ჩვენ უნდა ამოვიდეთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან. ახლა თუ რეალურად არის შანსი, რომ საქართველომ სარგებელი მიიღოს, თუნდაც ეკონომიკური, რატომ უნდა ვთქვათ ამაზე უარი, მე ვერ ვიგებ.“

ქართული პრესა ყოველთვის ღიად წერდა თურქეთის პოზიციებზე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის და ომის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, ცნობილია, რომ ომის დროს თურქეთის მთავრობამ შეერთებული შტატების მიერ გამოგზავნილ ორ გემს თურქულ სრუტეებში შესვლის უფლება არ მისცა. ამისთვის თურქულმა მხარემ 1936 წლის ე.წ. მონტროს კონვენცია გამოიყენა, რომლის თანახმადაც ამერიკული გემების მოცულობა არ შეესაბამებოდა კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. შეერთებული შტატები იძულებული გახდა, საქართველოს მიმართულებით შედარებით მცირე ზომის გემები გამოეგზავნა.

ომის დამთავრებისთანავე, 2008 წლის 13 აგვისტოს თურქეთის მაშინდელმა პრემიერმა რ. ტ. ერდოღანმა მოსკოვში ვიზიტისას საზოგადოებას ახალი ინიციატივა გააცნო, რომელიც „აკაკასის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის“ სახით მოგვევლინა.

ერთი შეხედვით, ინიციატივის ამოცანას რეგიონში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. როგორც მაშინ რ. ტ. ერდოღანმა აღნიშნა, ეს ინიციატივა უკვე შეთანხმებული იყო რუსეთის ფედერაციის პირველ პირებთან. მეორე მხრივ, „პლატფორმა“ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად მხოლოდ კავკასიის რეგიონის ქვეყნების გაერთიანებას გულისხმობდა, რაც მიანიშნებდა რეგიონიდან სხვა გარე მოთამაშეების გამოთიშვას. ამ მოთამაშეებში კი, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი მოიაზრებოდნენ.

2009 წლის 10 ოქტომბერს ქ. ციურისში, თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ე.წ. „საფეხბურთო დიპლომატიის“ პროცესის შედეგად (სომხეთის პრეზიდენტმა მიიწვია თურქი კოლეგა 2008წ. 6 სექტემბრის მატჩზე სომხეთისა და თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრებებს შორის, რითაც სათავე დაედო ე.წ. „საფეხბურთო დიპლომატიას“. 2009წ. აპრილში ცნობილი გახდა, რომ თურქეთი და სომხეთი შეთანხმდნენ ე.წ. „საგზაო რუკის“ თაობაზე, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების მოგვარების კონკრეტულ ღონისძიებებსა და ეტაპებს მოიცავდა) ხელი მოაწერეს ოქმებს, რომელთა საფუძველზე მყარდებოდა დიპლომატიური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის და იხსნებოდა თურქეთ-სომხეთის საზღვარი, რომელიც თურქულმა მხარემ ჩაკეტა 1993 წელს, ყარაბაღის ომის პერიოდში. საბჭოთა დროს ამ საზღვარს კვეთდა თბილისი-გიუმრი-ყარსის რკინიგზა და მაღალვოლტაჟიანი ელექტროგადამცემი ხაზი გიუმრი-ყარსი. სხვათა შორის, თბილისი-გიუმრი-ყარსის რკინიგზა თითქმის 1 ათასი კმ-ით მოკლეა, ვიდრე თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა და ახერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელი (BSTN). ერევანისა და ანკარას ამ ურთიერთხელსაყრელ დაახლოებას ხელი შეუშალა ახერბაიჯანის მტკიცე პოზიციამ და საფრანგეთის სახალხო კრების მიერ ოსმალეთში სომეხთა გენოციდის აღიარების ფაქტმა. ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, თუ როგორ სწრაფად გადაიხარა ომის დამთავრებისთანავე ნატოს წევრი თურქეთის გეოეკონომიკური „ინტერესების ვექტორი“ ჩრდილოეთისკენ...

მეტიც, საქართველოს მცდელობა, თურქეთთან შეემუშაებინა დოკუმენტი, რომელიც თურქეთის პარტნიორობას ოკუპირებულ აფხაზეთთან ლეგიტიმურ ხასიათს შესძენდა, 2010 წელს უშედეგოდ დასრულდა. ეს ფაქტი ეკონომიკური ურთიერთობების ლეგიტიმურობას ოკუპირებულ აფხაზეთსა და თურქეთს შორის ღიად ტოვებს.

2009 წლიდან გააქტიურდა თურქეთიდან აფხაზეთში ვიზიტები. სოხუმში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. სევიკოზი ჩავიდა. მაშინ,

აფხაზეთთან გამართული შეხვედრების დროს, თურქეთ-აფხაზეთის ეკონომიკური პარტნიორობა განიხილეს.

2011 წელს აფხაზეთს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კავკასიის დეპარტამენტის ხელძღვანელი ნ. ბაიაკტარი საქართველოში თურქეთის ელჩ ლ. მ. ბურჰანთან ერთად ეწვია. სამუშაო ჯგუფების შეხვედრის მიზანი კვლავ ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება იყო. თურქეთი იმედოვნებდა: “...განეხილა აფხაზეთთან პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარების საკითხი”.

2014 წელს სოხუმს ესტუმრა ორი თურქული დელეგაცია ჟურნალისტებისა და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების სახით. 2015 წელი კი ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. ჩარიკბას თურქეთში ვიზიტით დაიწყო. მან შეხვედრები გამართა თურქეთის მმართველი პარტიის “სამართლიანობა და განვითარების” თავმჯდომარის მოადგილესთან, ასევე ბიზნესმენებთან და ანკარის ერთ-ერთი რაიონის – გიოლბაშის მერთან.

#### რუსულ-თურქული ენერგეტიკული ლაბირინთები, ირანი და საქართველო

რუსეთ-თურქეთის დაძაბულობა ჩვენი ენერგეტიკული სექტორის გეოეკონომიკურ პერსპექტივებზე აისახება. აღსანიშნავია, რომ თურქეთი ახორციელებს მოხმარებული ბუნებრივი აირის 98%-ის, ნავთობის 92%-ის და ქვანახშირის - 20%-ის იმპორტს. აქედან, რუსეთიდან ყიდულობს გაზის 60%-ს, ნავთობის 35%-ს და ქვანახშირის 30%-ს. ამ ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერჯის 31% ბუნებრივი აირით გენერირდება. გაზისა და ელექტროენერჯის ნაწილს ეს ქვეყანა საქართველოდან იღებს...

საქართველოს ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის (BSTN) პროექტის ლოგიკური გაგრძელება მოიცავს რუსეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთიანი ქსელის ჩამოყალიბებას იმ მიზნით, რომ, საბოლოო ჯამში, შეიქმნას რეგიონული ენერგეტიკული ბაზარი.

ამის შესახებ კ. კალაძემ 2015 წლის დეკემბრის დასაწყისში ენერგეტიკული ქარტიის კონფერენციის მინისტრიალის სესიაზე – "რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა ენერჯის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის გზით", სიტყვით გამოსვლისას განაცხადა – „საქართველომ ევროკავშირის ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის (BSTN) პროექტი განახორციელა, რომლის ოპერირებაც 2013 წელს დაიწყო. ამ პროექტით გაძლიერდა საქართველოს გადამცემი სისტემის კავშირი მეზობელი სახელმწიფოებისკენ, განსაკუთრებით თურქეთის მიმართულებით და უზრუნველყოფს რეგიონში ელექტროენერჯის ექსპორტის, იმპორტის და სატრანზიტო ოპერაციების საიმედოებას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი ენერგეტიკაში და მიზნად ისახავს საქართველოსა და თურქეთის ელექტროგადამცემ ქსელებს შორის 700 მგტ სიმძლავრის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფას.“ ვიცე-პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ „...შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის (BSTN) პროექტის ლოგიკური გაგრძელება მოიცავს რუსეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთიანი ქსელის ჩამოყალიბებას იმისათვის, რომ რეგიონული ენერგეტიკული ბაზარი შეიქმნას“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტის განხორციელებისთვის რეალური ტექნიკური საფუძველი არსებობს, მაგრამ რეგიონული უსაფრთხოების პრობლემებმა ის შეიძლება შეაფერხოს.



ეკრძოდ, სომხეთის „მეცამორის“ ატომური ელექტროსადგური იმაზე მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, ვიდრე ქვეყანას სჭირდება და ახორციელებს ელექტროენერგიის ირანში ექსპორტს, რის სანაცვლოდაც იღებს გაზს (ეს ოპერაცია უფრო ბარტერული გაცვლაა, ვიდრე ექსპორტი). „როსატომი“, რომელსაც ეკუთვნის „მეცამორის“ აქციები, 2016 წელს აპირებს სადგურის ამჟამად მოქმედი 407.5 მგტ სიმძლავრის მეორე ენერგობლოკის ექსპლუატაციის ვადის 10 წლით გახანგრძლივებას. „მეცამორი“ ყოველწლიურად გამოიმუშავებს 2.5 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგიას, რაც სომხეთის გენერაციის 35%-ია. საქართველო, რომლის ენერგობალანსში ჭარბობს ქვეყნის დასავლეთში მდებარე ჰიდროელექტროსადგურების გენერაცია, საჭიროებს მის დაბალანსებულ მიწოდებას აღმოსავლეთში მდებარე მომხმარებლებისთვის. ამ მიზნით შემუშავებულია საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების სამეცაპიანი (2015-2025) სტრატეგია. აზერბაიჯანის ელექტროენერგეტიკა ბოლო წლებში სულ უფრო მეტ გაზს იყენებს, რის გამოც ის გენერაციისა და მოხმარების მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ დარგს წარმოადგენს.

თუმცა, რუსეთისა და თურქეთის ელექტროენერგეტიკასთან სამხრეთკავკასიის ქვეყნების მიღწევები შედარებით მოკრძალებულია. თურქეთის ელექტროენერგიის მოხმარება ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. ის ძირითადად ეყრდნობა წიაღისეული საწვავით მომუშავე თბოელექტროსადგურების გენერაციას. დაგეგმილია სამი ატომური ელექტროსადგურის აგება. რუსეთის „როსატომს“ უკვე დაწყებული აქვს „აკაიუს“ ატომური ელექტროსადგურის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე – ქ. მერსინთან აშენება. ის 4 რუსული – 1200 ენერგობლოკისგან უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. თუმცა, ბოლო დროს გართულებული ურთიერთობების გამო, ეს პროექტი შეჩერებულია, მიუხედავად იმისა, რომ რუსულ მხარეს იქ უკვე სერიოზული ინვესტიციები აქვს განხორციელებული. ასევე, 2017 წელს იგეგმება იაპონურ-ფრანგული კონსორციუმის მეორე მასშტაბური ატომური პროექტის დაწყება და 2019 წელს ჩინური კონსორციუმის მიერ მესამე ატომური სადგურის მშენებლობა.

ამდენად, 2020 წლისთვის, როდესაც სამივე ეს ბირთვული რეაქტორი დაიწყებდა ფუნქციონირებას, თურქეთი ხდებოდა რეგიონის გენერაციის ცენტრი. რუსეთი კი გადაიქცეოდა შავი ზღვისპირეთის რეგიონის ატომური სექტორის მთავარ ინვესტორად. თვით რუსეთს აქვს 34 რეაქტორი ფედერაციის 10 სხვადასხვა რეგიონში. ატომური სექტორი გენერირებს 24 ათას მგტ სიმძლავრეს. რუსეთის მოძველებული ინფრასტრუქტურის მიუხედავად, მთავრობამ გამოაცხადა ძირითადი სიმძლავრეების გაფართოების გეგმა. იგი აანონსებს, რომ 2030 წელს აპირებს ელექტროენერგიის 30%-ის ატომურ სადგურებზე მირებას, 2050 წელს – 50%-ისას.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ 2015 წლის ივნისში ხელმოწერილი საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულება, რომელსაც ხელს 75 ქვეყანა, მათ შორის საქართველო, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი აწერს, საქართველოს ელექტროენერგიის რეგიონულ ბაზარზე „ჰაბის“ პერსპექტივას უსახავს. საქართველოს ამის რეალური პოტენციალი მართლაც აქვს. ბატონი კ. კალაძე მიუთითებს, რომ „...დღეს საქართველომ დაასრულა 500 კვტ გადამცემი ხაზების მშენებლობა/რეაბილიტაცია რუსეთთან და აზერბაიჯანთან. მალე დასრულდება 500 კვტ ხაზის მშენებლობა სომხეთთან“. მაგრამ თურქეთს სომხეთი და რუსეთი ელექტროენერგიას ახლო მომავალში არ მიაწვდიან. ამიტომ საქართველოს მოუწევს მეტი გენერაცია ამ მეზობელ ქვეყანაში ელექტროენერგიის ექსპორტისთვის. ამჟამად საქართველო ამ მიზნით ახორციელებს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის სერიოზულ გეგმებს, თუმცა ამ მხრივ ბევრი ეკოლოგიური პრობლემაა.

შესაძლებელია თუ არა უახლოეს მომავალში პოტენციური პარტნიორების პოლიტიკური უთანხმოების ფონზე ერთიანი რეგიონული ენერგეტიკული ბაზრის ფორმირება? სავარაუდოდ, არა. საქმე ისაა, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი მთიან ყარაბაღში 1990-იანი წლების ომის შემდეგ, მხოლოდ 1994 წლის გაეროს ეგიდით გამართული ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკების შემდეგ ინარჩუნებენ მყიფე მშვიდობას. რუსეთ-საქართველოს სუსტი ეკონომიკური ურთიერთობები, 2008 წლის ომის შემდეგ, მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას. ამდენად, მართალია, რეგიონის ერთიანი ელექტროენერგეტიკული ბაზრის პოტენციალისა და პერსპექტივის დასახვა მისასაღებელია, მაგრამ, სავარაუდოდ, ენერგეტიკული ქარტიის კონფერენციის მინისტრებზე საუბარი იყო რეგიონული ენერგობაზრის უფრო საშუალოვადიან მომავალზე და არა უახლოეს პერსპექტივაზე.

ამრიგად, თურქეთის ელექტროდენდროციტურ აღმოსავლეთ ვილაიათებში, აზერბაიჯან-სომხური დაპირისპირების გამო, სომხეთიდან ელექტროენერჯის მიღება შეუძლებელია. ახლა უკვე რუსეთ-თურქეთის გამწვავებული ურთიერთობების გამო ახალციხე-ბორჩხას ხაზით თურქეთი „კაგაკასონით“ ვეღარ მიიღებს რუსულ ელექტროენერჯიას, რაზეც, რფ-ს ენერგეტიკის მინისტრობისას, ა. ჩუბაისი ოცნებობდა. ასეთ პირობებში ელექტროენერგეტიკული „პაბის“ – ანუ ყველა მიმართულების სპეციალიზებული გამანაწილებელი ცენტრის როლს საქართველო უახლოეს მომავალში ვერ შეასრულებს.

### ნავთობი ანუ რა შუაშია შვეიცარიელები?

რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება ყველაზე ნეგატიურად შეიძლება კასპიის რეგიონის ნავთობის მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირებაზე აისახოს. ამჟამად ყაზახეთის „თენგიზის“ საბადოდან საერთაშორისო კონსორციუმის – „თენგიზშეეროილის“ ნავთობი ექსპორტზე რუსეთის პორტებიდან შავი ზღვით ეწ. თურქული სრუტეების, - ბოსფორისა და დარდანელის გავლით გადის. 2015 წლის 8 დეკემბერს ყაზახეთის ეკონომიკის მინისტრმა ერბოლატ დოსაევმა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე განაცხადა, რომ ახალ, 2016 წლის დეკემბერში იწყება ყაზახეთის კასპიის სექტორში მდებარე ოფშორული „კაშაგანის“ გიგანტური საბადოდან ნავთობის კომერციული მოპოვება. ეს საბადო ჯერ კიდევ 2014 წელს უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ მისი გახსნა ორჯერ გადაიდო საზღვაო მილსადენზე მომხდარი ავარიების გამო. მინისტრის ინფორმაციით, იმავდროულად დასრულდება რუსულ-ყაზახურ-ამერიკული-იტალიური „კასპიის მილსადენის კონსორციუმის“ (CPC) თენგიზი-ატირაუ-ნოვოროსიისკის მარშრუტის ნავთობსადენის რეკონსტრუქცია, რომლითაც მოხდება „კაშაგანის“ ნავთობის შავ ზღვამდე ტრანსპორტირება. ამ ნავთობსადენის ახლანდელი წლიური წარმადობა – 28 მლნ ტონა, უნდა გაიზარდოს 67 მლნ ტონამდე.

CPC-ს რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს 10 ახალი ნავთობსადგურის აგებას (2 – ყაზახეთის, 8 – რუსეთის ტერიტორიაზე) და არსებული 5-ის მოდერნიზებას. რუსეთში გათვალისწინებულია 6 ახალი ნავთობტერმინალის (თითოეული 100 ათასი კუბ.მ მოცულობის) აშენება და მესამე გასატანი საზღვაო ნავმისადგომის შექმნა ნოვოროსიისკთან. ყაზახეთში მიმდინარეობს ნავთობსადენის მილის 88 კმ-იანი მონაკვეთის დიდი დიამეტრის მილით შეცვლა. რეკონსტრუქციაში კონსორციუმის მიერ ჩადებული მთელი ინვესტიცია მიაღწევს 5.4 მლრდ დოლარს.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ სამუშაოების განხორციელების მიუხედავად, რუსეთ-თურქეთის „ცივი ომის“ შედეგად ზემოაღნიშნული პროექტი

დიდი გამოწვევის წინაშეა. პირველი „საგანგაშო სიგნალი“ ჯერ კიდევ 2011 წელს გაისმა, როდესაც ნოვოროსიისკთან, ქ. კრიმსკის რაიონში, წყალდიდობამ CPC-ს ახალი ნავთობტერმინალები წაღვეა...

მეორე გამოწვევაა მოსკოვი-ანკარას ახლანდელი დაძაბულობა, რასაც ეკოლოგიური „ცივი ომიც“ ამძაფრებს. საქმე ისაა, რომ 2016 წლის ბოლოსთვის CPC-ის რეკონსტრუქციის დასრულება თურქეთის სრუტეების დატვირთვას მიწიუმ სამჯერ გაზრდის. ამჟამად ბოსფორის სრუტით, ქ. სტამბულის ცენტრში ყოველ 12 წუთში საოკეანო ლაინერი გადის, რომელთაგან ყოველი მესამე ტანკერია. ერთი წლის შემდეგ CPC-დან ბოსფორში უკვე ყოველ 4 წუთში მოხდება გემის გაგზავნა!

თურქეთის ხელისუფლება ჯერ კიდევ 1994 წლიდან, კვიპროსის ტანკერის „ნასსიას“ ავარიის შემდეგ, ცდილობს, არ დაუშვას ბოსფორის გადატვირთვა. ანკარა ძალებს არ ზოგავს, რომ სრუტეში მცურავი ტანკერების რიცხვი როგორმე შეამციროს, რათა გივანტური მეგაპოლისის ცენტრში ნავთობის ჩადვრის რისკი შემცირდეს. ამიტომ, მონტროს 1936 წლის და გაეროს 1982 წლის საზღვაო კონვენციების მოთხოვნების მიუხედავად, თურქეთის ხელისუფლება ყველანაირად ხელს უშლის ტანკერების მოძრაობას. მან ხან 200 მეტრზე გრძელი ტანკერების დღის ნათელი ნაწილის განმავლობაში მხოლოდ ბუქსირებისა და ლოცმანების თანხლებით ცურვა დააკანონა, ხან მხოლოდ ორფსკერიან ტანკერებს დართო სრუტეებში ცურვის ნება, ხან სამსუნ-ჯეიჰანის და ბურგას-ალექსანდროპოლისის სახმელეთო ნავთობსადენების აგების ინიციატივით გამოვიდა, ხანაც 30 მლნ დოლარიანი „სრუტეების ეკოლოგიური ფონდის“ შემოღება გამოაცხადა, მაგრამ ამაოდ. ამას ზემოხსენებული CPC-ის რეკონსტრუქციის პროექტი დაემატა. ის რეგიონის ყველა აქტორის – თურქეთის, რუსეთის და კასპიის ზღვის აუზის ენერგომწარმოებლების ინტერესებს თანაბრად ვერ აკმაყოფილებს. საგარეოდ, რუსეთ-თურქეთის გამწვავებული ურთიერთობების ფონზე, 2016 წლის ბოლოს აქ ე.წ. „დიდი ყაზახური ნავთობის“ შემოსვლა სულ აურევს სიტუაციას, რამაც შესაძლოა სრუტეების დაკეტვა გამოიწვიოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კასპიის ნავთობის ახალი ალტერნატიული მარშრუტის შექმნა, რომელიც ყველა სხვა დანარჩენთან შედარებით, ნაკლებ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. ალტერნატიულ მარშრუტად მიგვაჩნია ყაზახური ნავთობის გაგზავნა რუსეთ-საქართველო-თურქეთის მარშრუტით, აფხაზეთის მონაკვეთით. თუ დროზე გაფორმდება შესაბამისი კონტრაქტი, ეს გადაზიდვა უკვე მსო-სთან შეთანხმებული შვეიცარული კომპანიის – SGS-ის მეთვალყურეობით მოხდება. ეს მარშრუტი 2016 წლის ბოლოსთვის ბევრად მომგებიანი იქნება, ვიდრე არსებული პროექტები. ასეთი პროექტი XX ს. 90-იან წლებში საკმაოდ აქტუალური იყო და ნავთობის რუსეთიდან საქართველოს სანაპირო ხაზზე, აფხაზეთის გავლით, თურქეთში გადაზიდვას ითვალისწინებდა. მაშინ ამ ინიციატივით პრეზიდენტი ე. შვეარდნაძე გამოვიდა.

რუსი ექსპერტების გათვლებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ამუშავებით (2006 წელი) რუსეთმა 5 მილიარდ დოლარზე მეტი იზარადა, რადგან მნიშვნელოვნად შემცირდა აზერბაიჯანიდან ნოვოროსიისკში ნავთობის ექსპორტი. იმავე ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რუსეთმა დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი დაკარგა 2007 წელს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზის მარშრუტის ამოქმედებითაც. მეტიც, თურქეთის მიერ სრუტეებზე ეკოლოგიური შეზღუდვების დაწესებით 2016 წლის ბოლოდან ყაზახეთისა და რუსეთისთვის ნავთობის თურქული სრუტეებით გადაზიდვა არარენტაბელური გახდება. ამასთან, 2016 წლის რფ-ს ბიუჯეტი, რომელსაც პრეზიდენტმა ვ. პუტინმა 2015

წლის 15 დეკემბერს მოაწერა ხელი, შედგენილია ბარელ ნავთობზე 50 დოლარის ფასის გათვალისწინებით. ხელმოწერის მომდევნო დღეს, 16 დეკემბერს, ნავთობის მსოფლიო ფასები ბარელზე უკვე 37-38 დოლარის ფარგლებში იყო! დღეს ბარელ ნავთობს მხოლოდ 33 დოლარად ყიდნიან... ამიტომ მსო-ს ვგიდით, შვეიცარიული SGS-ის კონტროლქვეშ აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთით და ბაქო-თბილის-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზით ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირების შემთხვევაში, მოსკოვმა ადრინდელი დანაკარგები შეიძლება აღიდგინოს და მომავალი დანაკარგები გაანეიტრალოს. აქედან გამომდინარე, ეს მარშრუტი რუსეთის ინტერესებსაც დააკმაყოფილებს.

ვინაიდან შემოთავაზებული მარშრუტი აფხაზეთის ტერიტორიაზე გაივლის, რუსულ-ყაზახური ნავთობის გადაზიდვის ამ ალტერნატივის განხორციელებას შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას რუსეთ-საქართველოს შორის აფხაზეთთან დაკავშირებული უთანხმოების გამო. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, აღნიშნული პროექტის განხორციელება, ნეიტრალური შვეიცარიული კომპანია SGS-ის მეშვეობით, შეიძლება რეალობად იქცეს. მიგვაჩნია, რომ არ არის გამორიცხული, ამ საკითხზე გაიმართოს რუსეთ-საქართველო-თურქეთ-ყაზახეთს შორის მოლაპარაკებები. მოლაპარაკებების დაწყების შემთხვევაში საქართველოს საშუალება მიეცემა, აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთს კონკრეტულ ენერგეტიკულ პროექტზე ესაუბროს დსთ-ს ისეთი გავლენიანი წევრის მხარდაჭერით, როგორც ყაზახეთია. აღნიშნული პროექტი საკმაოდ რენტაბელურიც იქნება, რადგან რკინიგზა ბოსფორის ქვეშ არსებულ მარმარაის გვირაბით, საზღვაო ბორანის გარეშე დაუკავშირდება ევროპას, რაც, ამ დარგის სპეციალისტების აზრით, ფინანსურად ხელსაყრელია...

ნავთობის ტრანზიტით რუსეთი და საქართველო დამატებით სატრანზიტო შემოსავალსაც მიიღებენ. თუმცა საჭიროა, კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების პირობებში, ნავთობის გადაზიდვის ახალი, ალტერნატიული მარშრუტის განხორციელება ძალიან რთული იქნება. საჭიროა, ამ პროექტში მსო-ს წევრი ყაზახეთის და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნების ენერგეტიკული უწყებებიც ჩაერთვნენ, რასაც გარკვეული დრო დასჭირდება.

ამიტომ, საქართველოსთვის უფრო გამართლებულია გაზის სფეროში ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო ურთიერთობების განვითარება. სავარაუდოდ, ამითაა განპირობებული საქართველოს მთავრობის „გაზპრომთან“ კონტაქტების ინტენსიფიკაცია.

ბუნებრივი აირი. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები ყველაზე მეტად გაზის სექტორში იყო განვითარებული. დღეს ანკარა ცდილობს, მოხმარებული გაზის 60%-ის მოცულობის მომწოდებელი „გაზპრომი“ ჩაანაცვლოს ბუნებრივი აირის სხვა წყაროებით. თურქეთი გეგმავენა, რუსული აირის დიდი ნაწილი უახლოესი 10 წლის განმავლობაში ელექტროენერჯის გენერაციისათვის გამოეყენებინა. ამ მიზნისათვის და გაზის ნაწილის ევროპაში გასატანად 2014 წლის ბოლოს „თურქული ნაკადის“ აშენება გადაწყდა. რუსულ თვითმფრინავთან დაკავშირებული ინციდენტის გამო, 2015 წლის დეკემბრის დასაწყისში მოსკოვმა გამოაცხადა „თურქული ნაკადის“ გახსადენის პროექტის შეჩერება, რომლის პირველი 15.5 მლრდ კუბ.მ-ის წლიური წარმადობის მილი თურქეთის გაზომომარაგებისათვის, ხოლო მეორე ასეთივე მილი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის იყო განკუთვნილი. თურქეთი რუსული გაზის მოხმარებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ამიტომ რუსეთიდან ბუნებრივი აირის მიღების შეჩერება რუსეთის ბიუჯეტსაც სერიოზულად დააზარალებს...

გარდა რუსეთისა, თურქეთი მოხმარებული ბუნებრივი აირის 30%-ს თავრიზი-ერზერუმის გაზსადენით ირანიდანაც იღებს. თუმცა, ზამთრის თვეებში,

ირანის შიდა მოხმარების ზრდის კვალობაზე, ზოგჯერ გაზომარაგება წყდება და თურქეთის აღმოსავლეთის პროვინციები რუსული „ცისფერი ნაკადის“ და „სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ ამარა რჩებიან (თურქეთის დასავლეთის რეგიონი რუსეთიდან ჯერ კიდევ სსრკ-ს დროს აგებული, „ტრანსბალკანური გაზსადენით“ მარაგდება). ამასთან, საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენი“ თითქმის სანახევროდაა შევსებული. მაგალითად, 2013 წელს მასში მხოლოდ 4.5 მლრდ კუბმეტრ გაზმა გაიარა, ხოლო 2014 წელს – 6 მლრდ. კუბ.მ. ამ მილით თურქეთისკენ გაზის ნაკადის ზრდა დაგეგმილია 2018 წლიდან, როცა თურქეთში „ტრანსანატოლიური გაზსადენი“, როგორც ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ შემადგენელი ნაწილი, ამუშავდება.

2015 წლის დეკემბრის პირველ კვირას თურქეთის პრემიერი ა. დავუთოლდუ ბაქოში შეხვდა პრეზიდენტ ი. ალიევს. გადაწყდა „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ მშენებლობის დაჩქარება. თუმცა, იმავე დეკემბრის პირველ კვირაში პრეზიდენტი რ. ტ. ერდოღანი ყატარში ჩავიდა და გააფორმა მემორანდუმში ამ ქვეყნიდან თურქული სახელმწიფო ენერჯოკომპანია „ბოტაშისთვის“ თხევადი გაზის (LNG) გრძელვადიანი მიწოდებაზე. ამასთან, გაზის შეთანხმებული მოცულობების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გახმაურებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქეთი ინარჩუნებს „სამხრეთის გაზის დერეფნისადმი“ უნდობლობას და თავს თხევადი გაზით „იზღვევს“.

ამჟამად თურქეთი თხევად გაზს ალყირიდან და ნიგერიიდან იღებს, წლიურად, შესაბამისად, 4.4 და 1.2 მლრდ კუბ.მ მოცულობებით, მაგრამ ქვეყანას გაუჭირდება უფრო მეტის იმპორტი, რადგან აქვს მხოლოდ ორი, ჯამურად 1.5 მლრდ კუბ.მ ტევადობის ტერმინალი – მარმარა ერეგლისიში და ეგევაზ ალიაგაში. გარდა ამისა, თურქეთს, ევროკავშირის მსგავსად, უჭირს რუსული გაზის ალტერნატივის მოძებნა. მართალია, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის გაზის ახლად აღმოჩენილი საბადოები მომავალში შეიძლება თურქეთის მომარაგების წყარო გახდეს, მაგრამ საბერძნეთთან და ეგვიპტესთან მოუწესრიგებელი პოლიტიკური ურთიერთობები და ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაცია, ანკარას სამხრეთიდან გაზომომარაგების რეალურ პერსპექტივას უსპობს. თუმცა, ბოლო დროს იკვეთება დაზვერილი გაზით მდიდარ ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზაციის კონტურები. ეს ყველაფერი თურქეთს გაზის „ჰაბის“ როლის შესრულებას გაურთულებს, რაც, სამწუხაროდ, საქართველოზე კასპიისპირეთის გაზის ტრანზიტის პერსპექტივაზეც ნეგატიურად აისახება.

#### დასკვნა

ამრიგად, საქართველოს გაზომომარაგების და მისი ტრანზიტის დივერსიფიკაციის პერსპექტივის თვალსაზრისით ამ ეტაპზე რჩება ირანი – ქვეყანა, რომელიც გაზის დაზვერილი მარაგებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა და რომელსაც, სავარაუდოდ, მალე მოეხსნება დასავლეთის სანქციები. ირანი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს მეზობელ სომხეთთან ჰიდროკარბონების ამ ქვეყნის ტერიტორიის გავლით ევროკავშირისაკენ ტრანზიტთან დაკავშირებით.

დღევანდელ პირობებში, ადგილი, სადაც რუსეთის, ირანისა და კასპიისპირეთის გაზის დასავლური მარშრუტები იკვეთება, არის საქართველო. კერძოდ, საქართველოში გადის „ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი“, რომელიც რუსეთის ქ. მოზდოკიდან საქართველოს ტერიტორიით სომხეთს უკავშირდება. ის გარდაბანსა და ჯანდარას შორის კვეთს „სამხრეთ კავკასიური გაზსადენის“ (SCP), რომლითაც ამჟამად „შაჰ-დენიზის“ პირველი სტადიის გაზი 2007 წლიდან არა მარტო თურქეთს, არამედ მისი გაზის ქსელით, მცირე რაოდენობით (წლიურად 700 მლნ კუბმეტრი) ევროკავშირის წევრ ქვეყანას –

საბერძნეთსაც მიეწოდება. SCP გაზსადენიდან საქართველო, სატრანზიტო მოსაკრებლის სახით, გატარებული გაზის 5%-ს იღებს უფასოდ, 5%-ს – შეღავათიან ფასად.

„მაგისტრალური გაზსადენი“ ორი დაწვევილებული მილისგან შედგება. ძირითადი მილის დიამეტრია 1200 მმ, ხოლო სათადარიგოსი – 700 მმ. დღეს ამ გაზსადენის ძირითადი მილით გაზი სომხეთს მიეწოდება, ვინაიდან საქართველო 2007 წლიდან „შაჰ-დენიზი I“-ის გაზით მარაგდება.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ ეს გაზსადენი, საპროექტო სიმძლავრესთან შედარებით (წლიურად 18 მლრდ კუბმეტრი), გაცილებით ნაკლები დატვირთვით (144-193 მლრდ კუბმეტრი) მუშაობს. თუმცა საბჭოთა პერიოდშიც მისი დატვირთვა არ აჭარბებდა წლიურად 9.5 მლრდ კუბმეტრს. ამჟამად, „მაგისტრალური გაზსადენიდან“ ტრანზიტის საფასურად „საქართველოს გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“ იღებს გატარებული რუსული გაზის 10%-ს, რაც 2008-2015 წლებში 144-193 მლნ კუბმეტრის ფარგლებში მერყეობდა. ეს კი საქართველოს გაზის მოხმარების 11.0-11.2%-ია.

სომხეთის კონტროლის პალატის ქვეყნის 2009-10 წწ. ენერგოსისტემის შემოწმების მასალებიდან ირკვევა, რომ სომხეთში იმპორტირებული ირანული გაზის ნაწილი საქართველოსაც მიეწოდება, რის სანაცვლოდაც სომხეთში «ერევნის თბოელექტროსადგური» საქართველოდან იღებს ელექტროენერგიას თანაფარდობით – 1 კუბმეტრ ირანულ გაზში 4.5 კვტ/სთ ელექტროენერგია. სომხეთში იგივე ელექტროსადგური 1 კუბმეტრ ირანულ გაზში, რომელიც „არმროსგაზპრომის“ «თავრიზი-მეგრის» გაზსადენით მიეწოდება, ირანს უბრუნებს 3 კვტ/სთ ელექტროენერგიას (?!). ნათელია, რომ «ერევნის თბოელექტროსადგური» საქართველოში გატანილსა და ირანიდან მიღებულ გაზის ყოველ კუბმეტრს შორის 1.5 კვტ/სთ ელექტროენერგიის ტოლ სხვაობას იღებს. ამის შედეგია რომ, თუ 2009 წელს «ერევნის თბოელექტროსადგურმა» საქართველოში 259 მლნ დრამის გაზი შემოიტანა, უკვე 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაათმაგდა და 2.2 მლრდ დრამი შეადგინა, რამაც სომხეთს საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართული ელექტროენერგია მისცა. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „მაგისტრალური გაზსადენის“ ერთ-ერთი მილით საქართველოს ირანული გაზის მცირე რაოდენობა პერიოდულად უკვე მიეწოდება.

თუ ვთქვამთ, ამ გაზსადენის 1200 მმ-იანი მილი ქ. გარდაბანთან SCP-ს დაუკავშირდება, მაშინ ის შესაძლებელია გადაიქცეს რუსული გაზის ერთი ნაწილის, რომელიც ადრე „თურქული ნაკადისათვის“ იყო გათვალისწინებული, დასავლეთისკენ საექსპორტო ახალ მარშრუტად. ეს გაზი, SCP-ს გავლით, შემდგომ «ტრანსანატოლიური გაზსადენით» და „ტრანსადრიატიკით“ (TAP), თურქეთიდან ევროპაში გაიგზავნება. ამავე 1200 მმ-იანი მილის მეორე ბოლოთი იმავე პაბში შესაძლოა, უკვე რვერსით, ირანული გაზის სომხეთის გაზის ქსელის გავლით მიღება. ეს კავშირი რუსულ, ირანულ და ევროპულ პროექტებს ურთიერთშემავსებელს გახდის, რითაც საქართველომაც შეიძლება სარგებელი ნახოს. კერძოდ:

ჯერ ერთი, ამ გაზით გაიზრდება საქართველოზე გამავალი რუსული, აზერბაიჯანული და ირანული გაზის ნაკადები. შესაბამისად, მოიმატებს ქვეყანაში უფასოდ და შეღავათიანად დარჩენილი გაზის მოცულობა. ამით შეივსება ნახევრად დაუტვირთავი SCP და „მაგისტრალური“ გაზსადენები და საქართველოს სატრანზიტო ამონაგები გაიზრდება ისე, რომ დამატებით ხარჯების გაწევა არც ქვეყნის ბიუჯეტიდან და არც დასავლეთელი დონორების მხრიდან საჭირო არ იქნება, აუცილებელი იქნება მხოლოდ მიღების გადაკვეთაზე – ქ. გარდაბანთან, სოფ. ჯანდარაში ე.წ. ინტერკონექტორის აგება.

მეორე, გაიზრდება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება, რადგან SCP-სთან მიერთებით რუსეთი დაინტერესდება „მაგისტრალური გაზსადენის“ მაქსიმალურად შევსებით და მისი გამართული მუშაობით, რადგან ეს მილი რუსეთს ახალი მარშრუტით მაღალი წარმადობის დასავლურ საექსპორტო გაზსადენებთან დააკავშირებს. ასევე, გაიზრდება დასავლეთის მიერ საქართველოს უსაფრთხო სატრანზიტო დერეფნად გამოყენების ინტერესი, რადგანაც საქართველო გადაიქცევა გაზომარაგების რეგიონულ კვანძად.

მესამე, SCP-სა და „მაგისტრალური“ გაზსადენების ურთიერთდაკავშირება ირანისა და სომხეთის ინტერესებსაც დააკმაყოფილებს. ირანის გაზის ექსპორტის ეროვნული კომპანიის დირექტორმა განაცხადა, რომ ირანი აპირებს სამჯერ გაზარდოს გაზის ექსპორტი და მსოფლიო გაზით ვაჭრობაში თავისი წილი 2%-დან 2016 წლისათვის 10%-მდე გაზარდოს. ჩინოვნიკმა ხაზი გაუსვა, რომ ამას თეირანი თავისი გაზის რუსეთში (რომელი მილით, უცნობია?!) და სხვა მეზობელ ქვეყნებში გატანით შეეცდება.

კერძოდ, ზოგიერთი ქართველი სპეციალისტის ნაშრომში მითითებულია, რომ „მაგისტრალური გაზსადენის“ ძირითადი მილი, რომლითაც ის ქ. გარდაბანთან SCP-ს შეუერთდება, შესაძლებელია მეორე ბოლოდან რევერსით, თავრიზი-მეგრის გაზსადენის და სომხეთის გაზის ქსელის გაკვლით, გახდეს გარდაბნის მომავალ „პაბში“ გაზის სამხრეთიდან მიღების საშუალება. თავის დროზე – 2005-2006 წლებში, ამ აზრს, სრულიად სამართლიანად, „მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზაციის მოწინააღმდეგეები ავითარებდნენ. ეს იდეა სომხეთისთვის მისაღებია, რადგან ამ გზით ის თავის დიდი ხნის ოცნებას აისრულებს და პანევროპულ პროექტში ჩაერთვება. თანაც ერევანი რუსეთისაგან ალტერნატიული გაზომარაგების წყაროს და სატრანზიტო მოსაკრებლებს მიიღებს. ამასთან, რუსეთიდან მისი გაზომარაგება ჩვეულებრივ გაგრძელდება „მაგისტრალური გაზსადენის“ 700 მმ-იანი სათადარიგო მილით, რომლის სიმძლავრე სომხეთის დღევანდელ მოთხოვნილებას (2011-2015 წწ. ეს მაჩვენებელი საშუალოწლიურად დაახლოებით 2 მლრდ კუბმეტრი იყო) სრულად დააკმაყოფილებს.

სომხეთის გაზის სატრანსპორტო ქსელი „არმროსგაზპრომს“ ეკუთვნის – სტრუქტურას, რომელსაც უერთდება ირანის ქალაქ თავრიზიდან სომხეთის ქალაქ მეგრში შემომავალი 2.5 მლრდ კუბმეტრი წლიური წარმადობის გაზსადენი. „არმროსგაზპრომის“ აქციების 100%-ის მფლობელი რუსული „გაზპრომი“, ანუ ირანული გაზის იმპორტზე თუ ტრანზიტზე მოლაპარაკება „გაზპრომის“ გარეშე შეუძლებელია...

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. პავლიაშვილი ს., გარაყანიძე ზ., 2013. გლობალიზაცია და ენერგეტიკული პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები, სამეცნიერო შრომების კრებული - თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, VI.
2. პავლიაშვილი ს., გარაყანიძე ზ., 2014. საქართველოს სატრანზიტო დერეფანი, პრობლემები და პესრპექტივები, თბილისი;
3. პავლიაშვილი ს., კიწმარიშვილი ბ., 2012. საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი, როგორც საერთაშორისო ინტეგრაციის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორები, „ახალი ეკონომისტი“, №1, გვ.7;

4. პავლიაშვილი ს., ჯანგულაშვილი ლ., 2013. ქართული ეკონომიკის ლაბორინთებში, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №4, გვ. 27;
5. პავლიაშვილი ს., ჯანგულაშვილი ლ., 2012. ტრანსპორტი და კომუნიკაციები, საქართველოს ეკონომიკა, გამომცემლობა „სიახლე“, თბ., გვ. 245.;

**Solomon Pavliashvili,**  
*Doctor of economis, professor,*  
**Zurab Garakanidze**  
*PhD, professor*

## RUSSUAN-TURKISH RELATIONS AND “GEORGIAN POWER”

### Expanded Summary

The article deals with the energy security problems of the region, what are the potential scenarios of the development of the region with energy resources are shown, also possible options, advantages and disadvantages of the development of the energy transport corridor of the Caucasus and Georgia exactly are given. Why is it difficult for Turkey, like EU, to find the alternative of Russian gas is also analyzed in the article.

According to the author, because of the Azerbaijan-Armenian controversy, it is difficult to get electric energy from Armenia in the East part of Turkey which is short of power. Now because of the hard relations of Russia-Turkey, Turkey will not get Russian electric energy with “Caucasus” with Akhaltsikhe-Borchkha line which A. Chubaisi dreamed when he was the Minister of Energy of Russian Federation. In such conditions in the nearest future Georgia cannot be electric energy “Hub” – the role of the specialized distribution center of all direction.

For the last two decades the utilization of electricity of Turkey was sharply boosted. It is basically based on the generation of thermal electric stations working with fossil fuels. Building of three atomic electric stations is planned. Russia’s “Rosatom” has already started to build “Akkuyu” atomic electric station on the Mediterranean coast, near Mersin. 4 Russian BBÖP-1200 should have been equipped from energy units. Though, because of the recent complicated relations this project is suspended despite the fact that the Russian side had already made large investments there. Also in 2017 the second large atomic project of Japanese-French Consortium and in 2019 building of the third atomic station are planned to launch.

So, for 2020 when these three nuclear reactors had started functioning Turkey would have become the generation center of the region and Russia would have become the major investor of atomic sector of Mediterranean region. Russia itself has 34 reactors in 10 different regions of the federation. Atomic sector generates 24 thousand MW power. Despite outdated infrastructure of Russia, the government declared a plan of expansion of basic powers. It announced that in 2030 30% of electricity will be received from atomic stations, in 2050 it will rise to 50%.



It is also worth considering that in June, 2015 an agreement of International Energy charter is signed by 75 countries, among them are Georgia, Turkey, Armenia and Azerbaijan, which outlines prospects for Georgia as a “Hub” on the regional market of electricity. Georgia really has a prospect. Mr. Kaladze points out that “...today Georgia has finished building and rehabilitation of 500 KW transmission lines with Russia and Azerbaijan. Soon building of 500 KW line with Armenia will be finished.” But in the near future Turkey will not be provided with electricity by Armenia and Russia, so Georgia has to generate more to export electricity to this neighbor country. Now for this reason Georgia is implementing serious plans for building the hydroelectric stations. Though, in this case there are lots of ecological problems.

The author concludes that newly discovered gas fields of the Eastern Mediterranean can be the source of supply of Turkey in the future, but unsettled political relations with Greece and Egypt and occupation of the Northern Cyprus will hinder real prospect of gas supply of Ankara from Armenia. But recently, relations with Israel which is rich with gas are going to be normalized. All this will complicate for Turkey to play the role of gas “hub” which will be also reflected negatively on Georgia’s perspective of Caspian gas transition.

The basic pipe of “trunk pipeline” (Diameter 1200mm) near to Gardabani will be connected with SCP which can be a new route of one part of Russian gas which previously was considered for export in the west for “Turkish stream”. This gas via SCP later with “Trans-Anatolian Gas Pipeline” and “Trans Adriatic Pipeline” (TAP) will be send from Turkey to Europe. With the other end of 1200mm pipe in the same hub with reverse can be received Iranian gas via gas network of Armenia. This connection will make Russian, Iranian and European projects mutually connected and Georgia can benefit from this as well, particularly:

First of all, Russian, Azerbaijani and Iranian gas streams via Georgia will be boosted this way. Accordingly, the volume of gas left for free and in reduced prices in the country will be increased. This will fill half loaded SCP and “Trunk” pipelines, and transit proceeds of Georgia will be increased and no additional expenses from the budget of the country and from Western donors will be needed. Construction of the so-called inter connectors on the junction of pipes will be necessary in Gardabani, village Jandara.

Secondly, energy security of the country will be increased because with the connection with SCP Russia will become more interested in filling “Trunk Pipelines” at most and its proper functioning because this pipe with new route will connect Russia with western export gas pipelines with high performance. Also, the interest to use Georgia as safe transit corridor by west will grow because Georgia will become the regional hub of gas supply.

Thirdly, interconnection of SCP and “Trunk” pipelines will also satisfy interests of Iran and Russia. Director of national company of gas export of Iran declared that Iran is going to threefold increase gas export and increase its share in world gas trade from 2% to 10% for 2016. The official underlined that Tehran will try to export its gas in Russia (it is unknown which pipe?!) and other neighbor countries.

Thus, in terms of gas supply of Georgia and prospect of diversification of its transit Iran is a country which holds the second place in the world with the large gas reserves and presumably sanctions on Iran will be totally lifted soon. Iran is currently negotiating with neighbor Armenia on the transition of hydro carbons to EU via this country’s territory.

თეიმურაზ გოგოხია  
დოქტორანტი

საქართველოში ფირმების ინოვაციური საქმიანობის სრულყოფის გზები

### რეზიუმე

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, საქართველოს მაგალითზე, ფირმის დონეზე ინოვაციური საქმიანობის არსებული მდგომარეობის გარკვეულწილად აღწერა და მისი სრულყოფის გზების დასახვა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და ჩამოყალიბებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საწარმოო ფირმების მართვის პროცესში, ისე ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციაში. რეკომენდაციები ეხება ორ მიმართულებას: 1. ფინანსური რესურსების ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 2. საჭირო ცოდნის განვითარების ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური საქმიანობა, ტექნოლოგიური ინოვაციები, არატექნოლოგიური ინოვაციები

### შესავალი

საყოველთაოდ აღიარებულია ინოვაციური ფაქტორის აქტუალობა და მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკის ყველა სფეროსა და მიმართულების განვითარებისათვის. როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ ლიტერატურაში ხაზგასმულია ინოვაციების გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. ინოვაციების განხორციელება ფირმების კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და შენარჩუნების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. ამასთან, ცნობილია, რომ ფირმის მწარმოებლობის და, შესაბამისად, ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდით და ხერხით, მათ შორის ფირმაში არსებული ჭარბი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებით, სხვადასხვა საწარმოო რეზერვის გამოვლენა-გამოყენებით, საერთო ხარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესებით და ა.შ. თუმცა, ჩამოთვლილ ხერხებსა და მეთოდებში განსაკუთრებული როლი ენიჭება ინოვაციურ აქტიურობას.

ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის. საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მოქმედი ფირმების ინოვაციური საქმიანობა, მისი სპეციფიკა და თავისებურებები ემპირიულად ჯერ არ გამოკვლეულა. სიღრმისეულად არ არის შესწავლილი საქართველოს ფირმებში ამ ინოვაციების განხორციელების ხელშეწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები, და, შესაბამისად, ნათლად არ არის განსაზღვრული ფირმის ეფექტიანობის ამაღლების გზები და მიმართულებები სხვადასხვა ტიპის ინოვაციების დანერგვისა და სრულყოფის საფუძველზე.

ეს პრობლემა ძალზე მწვავედ დგას და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგადად განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოქმედი ფირმებისათვის. მიგვაჩნია, რომ საქართველოში, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში, ამ მიმართულებით კვლევა სიახლეს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკურენტუნარიანი ფირმების ფორმირებისა და განვითარებისათვის. კონკურენტუნარიანობისა და კონკურენტული უპირატესობების მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობაა ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმის საქმიანობა და, შესაბამისად, სტრატეგიები. ამის აქტუალობა განსაკუთრებით იმ მდგომარეობით არის განპირობებული, რომ საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის გამოწვევის წინაშე დგას. ეს კი საქართველოსგან თავისი ეკონომიკის ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკებთან გარკვეულ შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების დონე იმდენად დაბალია, რომ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი პროდუქციის იმპორტს რამდენჯერმე ჩამორჩება.

გარდამავალი ეკონომიკის ფირმებისათვის (განსაკუთრებით პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის ფირმებისათვის) წარმატების მიღწევა ბევრად არის განპირობებული მათი ინოვაციური სტრატეგიებით. ამიტომ, საქართველოს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ძალზე აქტუალურ საკითხებს წარმოადგენს.

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, საქართველოს მაგალითზე, ფირმის დონეზე ინოვაციური საქმიანობის არსებული მდგომარეობის გარკვეულწილად აღწერა და მისი სრულყოფის გზების დასახვა.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომში ჩვენ ძირითადად დავეყრდნობით იმ ცნებებსა და განმარტებებს, რომელიც მოცემულია ეთგო-სა<sup>11</sup> და ევროსტატის<sup>12</sup> ერთობლივ ცნობილ პუბლიკაციაში [Руководство Осло, 2010]. აქ ცალკე ინოვაციურ საქმიანობად გამოყოფილია ფირმის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (სკსსს – R&D<sup>13</sup>). აქვე განსაზღვრულია ინოვაციების 4 ტიპი ფირმის საქმიანობის სფეროების მიხედვით: 1. პროდუქტული ინოვაცია<sup>14</sup>; 2. პროცესული ინოვაცია<sup>15</sup>; 3. ორგანიზაციული ინოვაცია<sup>16</sup>; 4. მარკეტინგული ინოვაცია<sup>17</sup>. ამასთან, პროდუქტული და

<sup>11</sup> ეთგო - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

<sup>12</sup> ევროსტატი - ევროკავშირის სტატისტიკური ოფისი.

<sup>13</sup> R&D – Research & Development (НИОКР – научно-исследовательские и опытно-конструкторские разработки).

<sup>14</sup> პროდუქტული ინოვაცია გულისხმობს ისეთი საქონლის ან მომსახურების შემოღებას, რომელიც, თვისებების ან გამოყენების ხერხების მიხედვით, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. აქ შედის როგორც ტექნიკური მახასიათებლების, კომპონენტებისა და მასალის, ასევე დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფისა და გამოყენების მოხერხებულობის ან სხვა ფუნქციონალური მახასიათებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სრულყოფა [Руководство Осло, 2010: 32].

<sup>15</sup> პროცესული ინოვაცია გულისხმობს პროდუქტის წარმოების ან მიწოდების ახალ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ხერხის დანერგვას. აქ შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიაში, საწარმოო დანადგარებსა და/ან პროგრამულ უზრუნველყოფაში [Руководство Осло, 2010: 33].

<sup>16</sup> ორგანიზაციული ინოვაცია წარმოადგენს ახალი ორგანიზაციული მეთოდის დანერგვას ფირმის საქმიან პრაქტიკაში, სამუშაო ადგილებისა და გარე კავშირების ორგანიზებაში [Руководство Осло, 2010: 35].

<sup>17</sup> მარკეტინგული ინოვაცია გულისხმობს მარკეტინგის ახალი მეთოდების დანერგვას. ამ სახეობის ინოვაციაში შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები: 1. პროდუქტის დიზაინსა და შეფუთვაში; 2. საქონლისა და მომსახურების გავრცელებაში (ადგილმდებარეობასა და

პროცესული ინოვაციები ტექნოლოგიურ ინოვაციებს განეკუთვნება, მარკეტინგული და ორგანიზაციული ინოვაციები კი – არატექნოლოგიურს [Mohnen, P. and Hall B., 2013].

მონაცემები და მეთოდოლოგია

ჩვენი მიზანია, საქართველოს ფირმებში სხვადასხვა ტიპის ინოვაციების დანერგვის გარკვეული თავისებურებების აღწერა და მათი ემპირიული ანალიზის გაკეთება სტატისტიკის შეუღლების ცხრილების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ, საერთოდ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური ქვეყნის მასშტაბით არ ახორციელებს ინოვაციების სტატისტიკურ აღწერას საწარმოების დონეზე [გოგოძე ი., 2013: 69]. აქედან გამომდინარე, ჩვენი ემპირიული ანალიზი დაეყრდნობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) 2012-2014 წლებში მსოფლიო ბანკის და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიერ ერთობლივად შესრულებული BEEPS<sup>18</sup>-ის მე-5 რაუნდის მონაცემებს, რომელიც ეხება ეკონომიკის ფირმის (მიკრო-) დონეს. BEEPS-ის ანგარიში ემყარება შესაბამისი მეთოდოლოგიით ევროპისა და ცენტრალური აზიის 29 ქვეყნის 15523 ფირმაში ჩატარებული გამოკითხვებით მოპოვებულ მონაცემებს. გამოკვლევა ჩატარდა სტრატეფიცირებული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე. ამასთან, ანგარიში მოიცავს შერჩევის ჩარჩოდან (ანუ გენერალური ერთობლიობიდან)<sup>19</sup> შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის განსაზღვრის გეგმას, მონაცემთა ბაზის სტრუქტურასა და დამატებით ინფორმაციას, რომელიც ეხება პასუხგაუცემელ შემთხვევებსა და შესაბამის წონებს.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს გენერალური ერთობლიობა შეადგენს 19058 ფირმას, სადაც დასაქმებულია 5 ან მეტი კაცი, შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა კი – 360 ფირმას. შერჩევისას გამოყენებულია სტრატეფიკაციის სამი დონე: 1. ეკონომიკური საქმიანობის სახეობა; 2. ფირმის ზომა; 3. რეგიონი.

IBM SPSS Statistics პროგრამის<sup>20</sup> მეშვეობით საქართველოს BEEPS-ის მონაცემების გამოყენებით ავაგებთ ემპირიული ანალიზის შესაბამის შეუღლების სტატისტიკურ ცხრილებს. ამ ცხრილების მეშვეობით გავერკვევით მოცემული ობიექტების (ჩვენ შემთხვევაში ფირმების) ქცევის გარკვეულ თავისებურებებში მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების აღწერის საფუძველზე. კერძოდ, ავაგებთ შეუღლების ცხრილებს, რომლის მეშვეობითაც დავადგენთ ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა ტიპის ინოვაციების კავშირს ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა: 1. ფირმის ზომა; 2. ფირმის კაპი-

მთავსებაში), მათ შორის იგულისხმება გასაღების არხების ტიპებისა და ამ არხების ორგანიზაციის ხერხების გაუმჯობესება; 3. ბაზარზე წინ წაწევაში (სტიმულირებაში), მათ შორის იგულისხმება პროდუქტის იმიჯის გაუმჯობესება და პროდუქტის ცნობადობის ამაღლება; 4. ფასების დადგენაში, მათ შორის იგულისხმება საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დადგენის სპეციალური მეთოდების დანერგვა [Руководство Осло, 2010: 34].

<sup>18</sup>BEEPS – Business Environment and Enterprise Performance Survey (ბიზნესგარემოსა და საწარმოთა მუშაობის მსწავლელის გამოკვლევა).

<sup>19</sup>შერჩევის ჩარჩოს მონაცემები მიღებულია საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სააგენტოდან.

<sup>20</sup>IBM SPSS (Statistical Package for the Social Sciences) Statistics - მონაცემების სტატისტიკური დამუშავების კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევების ჩატარებას სოციალურ მეცნიერებებში.

ტალში უცხოელების საკუთრების წილი (%); 3. უმაღლესი განათლების მქონე საშტატო თანამშრომლების წილი (%); 4. ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი მთავრობიდან ან ევროკავშირიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში მიღებული სუბსიდიები.

ზოგადი სიხშირეების დასადგენად გამოვიყენებთ შერჩევის მკაცრ წონებს, ხოლო ანალიტიკური მიზნით შესაძლო სტატისტიკურად მნიშვნელოვან ურთი-ერთდამოკიდებულებების დასადგენად – ნორმალიზებულ წონებს.

მდგომარეობის აღწერა და ანალიზი

ბოლო 3 წლის განმავლობაში ფირმაში განხორციელებული პროდუქტული ინოვაციებისა და ფირმის ზომის შეუღლების (ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიით აგებული) ცხრილის მიხედვით, პროდუქტული ინოვაცია ხორციელდება უფრო მეტად მცირე (47,6%) და საშუალო (48,7%) ზომების ფირმებში, ვიდრე მსხვილ (3,7%) კომპანიებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კომპანიების მხოლოდ 8,5% ახდენს ამ ტიპის ინოვაციის რეალიზაციას. რაც შეეხება კითხვას, არის თუ არა პროდუქტული ინოვაცია ფირმის ზომაზე დამოკიდებული, ნორმალიზებული წონების გამოყენებით შეფასებული მონაცემებიდან გამომდინარე, ამ კითხვას შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ, რადგან ხი-კვადრატ კრიტერიუმის მიხედვით კავშირი ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ფირმაში განხორციელებული პროცესული ინოვაციებისა და ფირმის ზომის შეუღლების ცხრილის მიხედვით, პროდუქტული ინოვაციის მსგავსად, პროცესული ინოვაცია ხორციელდება უფრო მეტად მცირე (40,4%) და საშუალო (39,1%) ზომების ფირმებში, ვიდრე მსხვილ (20,5%) კომპანიებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კომპანიების მხოლოდ 7,2% ახდენს ამ ტიპის ინოვაციის რეალიზაციას. რაც შეეხება კითხვას, არის თუ არა პროცესული ინოვაცია ფირმის ზომაზე დამოკიდებული, ნორმალიზებული წონების გამოყენებით შეფასებული მონაცემებიდან გამომდინარე, ამ კითხვას შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ, რადგან ხი-კვადრატ კრიტერიუმის მიხედვით კავშირი ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე.

ავაგოთ ბოლო 3 წლის განმავლობაში ფირმაში განხორციელებული ორგანიზაციული ინოვაციებისა და ფირმის ზომის შეუღლების ცხრილის მიხედვით, ორგანიზაციული ინოვაცია უფრო მეტად საშუალო (35,9%) და მსხვილი (37,6%) ზომების კომპანიებში ხორციელდება, ვიდრე მცირე (26,5%) ფირმებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კომპანიების მხოლოდ 4,6% ახდენს ამ ტიპის ინოვაციის რეალიზაციას. რაც შეეხება კითხვას, არის თუ არა ორგანიზაციული ინოვაცია ფირმის ზომაზე დამოკიდებული, ნორმალიზებული წონების გამოყენებით შეფასებული მონაცემებიდან გამომდინარე, ამ კითხვას შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ, რადგან ხი-კვადრატ კრიტერიუმის მიხედვით კავშირი ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე.

ავაგოთ ბოლო 3 წლის განმავლობაში ფირმაში განხორციელებული მარკეტინგული ინოვაციებისა და ფირმის ზომის შეუღლების ცხრილის მიხედვით, მარკეტინგული ინოვაცია ხორციელდება უფრო მეტად საშუალო (38,2%) და მცირე (35,8%) ზომების ფირმებში, ვიდრე მსხვილ (26,0%) კომპანიებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კომპანიების მხოლოდ 6,7% ახდენს ამ ტიპის ინოვაციის რეალიზაციას. რაც შეეხება კითხვას, არის თუ არა მარკეტინგული ინოვაცია ფირმის ზომაზე დამოკიდებული, ნორმალიზებული წონების გამოყენებით შეფასებული მონაცემებიდან გამომდინარე, ამ კითხვას შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ, რადგან ხი-კვადრატ კრიტერიუმის მიხედვით კავშირი ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე.





ვაცია ხორციელდება უფრო მეტად იმ ფირმებში, სადაც უმაღლესი განათლების მქონე საშტატო თანამშრომლების წილი შეადგენს 50%-დან 100%-მდე (55,2%), ვიდრე იმ ფირმებში, სადაც უმაღლესი განათლების მქონე საშტატო თანამშრომლების წილი შეადგენს 0%-დან 25%-მდე (19,9%) და 26%-დან 49%-მდე (24,9%). აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მხოლოდ იმ კომპანიების 6,7% ახორციელებს ამ ტიპის ინოვაციას, სადაც დასაქმებულია უმაღლესი განათლების მქონე საშტატო თანამშრომლები. რაც შეეხება კითხვას, არის თუ არა მარკეტინგული ინოვაცია ფირმის უმაღლესი განათლების მქონე საშტატო თანამშრომლების წილზე დამოკიდებული, ნორმალიზებული წონების გამოყენებით შეფასებული მონაცემებიდან გამომდინარე, ამ კითხვას შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ, რადგან ხი-კვადრატ კრიტერიუმის მიხედვით კავშირი ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე.

ავაგოთ ბოლო 3 წლის განმავლობაში ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) და არატექნოლოგიური (ორგანიზაციული და მარკეტინგული) ინოვაციებისა და ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი მთავრობიდან ან ევროკავშირიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში მიღებული სუბსიდიების შეუღლების ცხრილების მიხედვით, საქართველოს ფირმებს, რომლებიც ახორციელებდნენ ამა თუ იმ ტიპის ინოვაციას, ბოლო 3 წლის განმავლობაში არ ჰქონდათ მიღებული არანაირი სუბსიდია, არც ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობიდან და არც ევროკავშირიდან. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ ამ სახის სუბსიდიებს იღებდნენ ის ფირმები, რომლებიც არ ახორციელებდნენ არანაირ ინოვაციურ საქმიანობას. ანუ სახეზე გვაქვს ეკონომიკურად არამიზანშეწონილი ხარჯები.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ბიზნესსაქმიანობის განხორციელებისას საქართველოს როგორც ინოვაციური, ისე არაინოვაციური საწარმოები ყველაზე დიდ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევენ პოლიტიკურ არასტაბილურობას, შემდეგ მოდის ფინანსების ხელმისაწვდომობა, საგადასახადო განაკვეთები, კონკურენცია არაფორმალური სექტორის მხრიდან და ა.შ. (იხ. ჩვენ მიერ აგებული ცხრილიBEEPS-ის მონაცემებზე დაყრდნობით).

ცხრილი 1

		ფირმის ზომა			სულ
		მცირე >=5 და<=19	საშუალო >=20 და<=99	მსხვილი >=100	
არ ვიცი	სიხშირე	286	40	7	333
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	85,9%	12,0%	2,1%	100,0%
	% ფირმის ზომაში	8,0%	3,4%	2,5%	6,6%
არ ვრცელდება	სიხშირე	135	41	14	190
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	71,1%	21,6%	7,4%	100,0%
	% ფირმის ზომაში	3,8%	3,5%	4,9%	3,8%
ფინანსების ხელმისაწვდომობა	სიხშირე	675	174	121	970
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	69,6%	17,9%	12,5%	100,0%
	% ფირმის ზომაში	18,9%	14,8%	42,8%	19,3%
მიწის ხელმისაწვდომობა	სიხშირე	21	0	0	21
	% ყველაზე დიდ	100,0%	,0%	,0%	100,0%



	დაბრკოლებაში				
	% ფირმის ზომაში	,6%	,0%	,0%	,4%
ბიზნესის ლიცენზიები და ნებართვები	სიხშირე	0	1	1	2
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	,0%	50,0%	50,0%	100,0%
	% ფირმის ზომაში	,0%	,1%	,4%	,0%
კორუფცია	სიხშირე	9	41	0	50
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	18,0%	82,0%	,0%	100,0%
	% ფირმის ზომაში	,3%	3,5%	,0%	1,0%
სასამართლო	სიხშირე	49	2	0	51
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	96,1%	3,9%	,0%	100,0%
	% ფირმის ზომაში	1,4%	,2%	,0%	1,0%
კრიმინოგენული ვიტარება	სიხშირე	1	0	0	1
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	100,0%	,0%	,0%	100,0%
	% ფირმის ზომაში	,0%	,0%	,0%	,0%
საბაჟო და სავაჭრო წესები	სიხშირე	31	38	0	69
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	44,9%	55,1%	,0%	100,0%
	% ფირმის ზომაში	,9%	3,2%	,0%	1,4%
ელექტროენერგია	სიხშირე	92	3	0	95
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	96,8%	3,2%	,0%	100,0%
	% ფირმის ზომაში	2,6%	,3%	,0%	1,9%
არაკვალიფიციური სამუშაო ძალა	სიხშირე	11	75	4	90
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	12,2%	83,3%	4,4%	100,0%
	% ფირმის ზომაში	,3%	6,4%	1,4%	1,8%
შრომითი რეგულაციები	სიხშირე	40	0	0	40
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	100,0%	,0%	,0%	100,0%
	% ფირმის ზომაში	1,1%	,0%	,0%	,8%
პოლიტიკური არასტაბილურობა	სიხშირე	1385	364	107	1856
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	74,6%	19,6%	5,8%	100,0%
	% ფირმის ზომაში	38,8%	30,9%	37,8%	36,9%
კონკურენცია არაფორმალური სექტორის მხრიდან	სიხშირე	239	117	2	358
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	66,8%	32,7%	,6%	100,0%
	% ფირმის ზომაში	6,7%	9,9%	,7%	7,1%
საგადასახადო ადმინისტრირება	სიხშირე	108	0	2	110
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	98,2%	,0%	1,8%	100,0%
	% ფირმის ზომაში	3,0%	,0%	,7%	2,2%
საგადასახადო განაკვეთები	სიხშირე	461	209	12	682
	% ყველაზე დიდ	67,6%	30,6%	1,8%	100,0%

	დაბრკოლებაში				
	% ფირმის ზომაში	12,9%	17,7%	4,2%	13,5%
ტრანსპორტი	სიხშირე	31	74	13	118
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	26,3%	62,7%	11,0%	100,0%
	% ფირმის ზომაში	,9%	6,3%	4,6%	2,3%
სულ	სიხშირე	3574	1179	283	5036
	% ყველაზე დიდ დაბრკოლებაში	71,0%	23,4%	5,6%	100,0%
	% ფირმის ზომაში	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ანალიზის შედეგები

იმისათვის, რომ შევაჯამოთ საქართველოს ფირმების ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული შედეგები, შევადაროთ ეს უკანასკნელი იმ მონაცემებს, რომელიც ახასიათებს ზოგადად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს.

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიერ ინოვაციებთან დაკავშირებული ჩატარებული კვლევის შედეგად [Innovations in perexodnom Prozesse, 2014] გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფირმის დონეზე დანერგული ინოვაციების სტიმულატორებად გამოვლინდა შემდეგი ფაქტორები:

1. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მსხვილი ფირმები უფრო ხშირად აწარმოებენ როგორც ტექნოლოგიურ, ისე არატექნოლოგიურ ინოვაციებს, რაც აისახება მასშტაბის ეფექტით. მსხვილ ფირმებს მეტი ხელმისაწვდომობა აქვთ გარე წყაროებიდან დაფინანსებასთან, ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური ინოვაციების შესაქმნელად ან გარედან შესაძენად. მსხვილ და გამოცდილ ფირმებს აქვთ უფრო მეტი შესაძლებლობები, მათ შორის მათ განკარგვაში მარკეტინგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და შიდა სტრუქტურაში გაანიათ მარკეტინგის ცალკე განყოფილებები; საქართველოში, ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, პროდუქტულ, პროცესულ და მარკეტინგულ ინოვაციებს უფრო ხშირად ახორციელებენ საშუალო და მცირე ზომის ფირმები;

2. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის დეტერმინანტად ვლინდება ფირმის საკუთრების წილობრივი სტრუქტურა. უცხოური მონაწილეობა ფირმის კაპიტალში ზრდის ალბათობას, ფირმამ გაწიოს შესაბამისი ხარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელებაზე და, შესაბამისად, როგორც ტექნოლოგიური, ისე არატექნოლოგიური ინოვაციების დანერგვაზე. უცხოური მონაწილეობით ფირმებს მიეკუთვნება ის ფირმები, რომლის კაპიტალის 25% მაინც ეკუთვნის უცხოელ მეპატრონეს. ასეთი ფირმები ადგილობრივ ფირმებთან შედარებით უფრო ხშირად აბანდებენ საკუთარ სახსრებს სკსსს-ზე ან გარე ცოდნის შექმნაზე და, შესაბამისად, უფრო ხშირად ახორციელებენ როგორც ტექნოლოგიურ, ისე არატექნოლოგიურ ინოვაციებს; საქართველოში, ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, ეს ტენდენცია ნაკლებად ვლინდება;

3. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფირმის მიერ ინოვაციური საქმიანობის წამოწყების ალბათობასა და სკსსს-ზე ხარჯების გაწევის შესაძლებლობაზე გავლენას ახდენს ფირმაში კვალიფიციური თანამშრომლების (მათ შორის მენეჯერების) არსებობა; საქართველოში, ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, ეს ტენდენცია ვლინდება.

ამრიგად, საქართველოს ფირმების BEEPS-ის მონაცემებზე დაყრდნობით, სტატისტიკის შეუღლების ცხრილების გამოყენების საფუძველზე დავადგინეთ შემდეგი: ა. საქართველოს ფირმებში დანერგილი ყველა ტიპის ინოვაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებაში იმყოფება ისეთ ფაქტორთან, როგორცაა ფირმის ზომა; ბ. საქართველოს ფირმებში დანერგილი ყველა ტიპის ინოვაცია არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებაში ისეთ ფაქტორთან, როგორცაა ფირმის კაპიტალში უცხოელების საკუთრების წილი; გ. საქართველოს ფირმებში დანერგილი ყველა ტიპის ინოვაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებაში იმყოფება ისეთ ფაქტორთან, როგორცაა ფირმაში უმაღლესი განათლების მქონე საშტატო თანამშრომლების წილი; დ. საქართველოს ფირმებს, რომელში ხორციელდება ამა თუ იმ ტიპის ინოვაცია, ბოლო 3 წლის განმავლობაში არ ჰქონდათ მირებული არანაირი სუბსიდია, არც ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობიდან და არც ევროკავშირიდან. თუმცა, ამავე დროს, აღსანიშნავია ის, რომ ამ სახის სუბსიდიები მიიღეს იმ ფირმებმა, რომლებიც არ ახორციელებდნენ არანაირ ინოვაციურ საქმიანობას.

პოლიტიკური არასტაბილურობის ფაქტორის გარდა აღსანიშნავია ბიზნესსაქმიანობის განხორციელების ყველაზე დიდი შემაფერხებელი ფაქტორი, ესაა ფირმებისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის პრობლემა.

### დასკვნა

ემპირიული ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს ფირმებში ზოგადად ნაკლებად შეიმჩნევა ინოვაციური აქტიურობა, მათ შორის ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) და არატექნოლოგიური (ორგანიზაციული და მარკეტინგული) ინოვაციების დანერგვის სახით. ჩვენი აზრით, საქართველოს ფირმებში ინოვაციური აქტიურობის ძალზე დაბალი დონე და ინტენსივობა განპირობებულია ზოგადად იმ პრობლემებით, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წლიდან დგას საქართველოს წინაშე.

კერძოდ, ქვეყანას არ გააჩნია მეცნიერულად დასაბუთებული ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია, არ არსებობს არანაირი მიზანმიმართული ინოვაციური და საინვესტიციო განვითარების არც სახელმწიფო პროგრამა და, შესაბამისად, არც ხელსაყრელი ინოვაციური კლიმატი [Panava V., *MeسخияЯ.*, 2003: 33-34].

როგორც ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ისე საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანაა, მოტივირებული გახადონ ფირმები ინოვაციური აქტიურობისადმი. ამისათვის საჭიროა შესაბამისი გარემოს შექმნა, რომელიც, ერთი მხრივ, შექმნის სტიმულებს და, მეორე მხრივ, მოხსნის ბარიერებს ფირმების ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად.

მიღებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს გარკვეული რეკომენდაციები როგორც ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის სფეროში, ისე ფირმების ორგანიზაციისა და მართვის პროცესში.

საქართველოს ინოვაციური პოლიტიკისათვის მთავარი რეკომენდაცია, რომელიც ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ ფირმების ინოვაციური საქმიანობის მასტიმულირებელი წინაპირობაა, ერთი მხრივ, მათთვის ფინანსური რესურსების ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი - ფირმებისათვის საჭირო ცოდნის განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობამ უნდა მიიღოს შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, შეიმუშაოს და ცხოვრებაში გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით: 1. ფინანსური ბაზრების განვითარება და ლიბერალიზაცია; 2. კაპიტალის შემოდინებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ლიბერალიზაცია; 3. სპეციალური ინდუსტრიული

პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს ინოვაციური კომპანიების სახელმწიფო მხარდაჭერას შესაბამისი სუბსიდიების მეშვეობით; 4. სპეციალური საგადასახადო რეჟიმის შემოღება გადასახადების მსხვილი გადამხდლებისათვის, რომლებიც ეწევიან ინოვაციურ საქმიანობას. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს სპეციალური პოლიტიკა განათლების სფეროში, რომელიც ხელს შეუწყობს ფირმებისათვის საჭირო თანამედროვე ცოდნით და უნარ-ჩვევებით შეიარაღებული მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური კადრების გაზრდას როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე.

ამასთან, ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს რეკომენდაცია ფირმის ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის მიხედვით, ფირმისთვის ეკონომიკურად სასურველი და მიზანშეწონილი იქნება, თუ თანამშრომლების უნარ-ჩვევების სრულყოფის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით საკუთარ ორგანიზაციაში დანერგავენ შესაბამის სასწავლო პროცესს ან დააფინანსებენ კადრების სათანადო სწავლას სხვაგან.

#### ლიტერატურა

1. აბესაძე რ., 2014. ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი.პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 27-28 ივნისი.
2. გოგოძე ი., 2013. ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი. თბილისი.
3. გოგოხია თ., ა, 2015. ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციები ფირმის ეფექტიანობის ამაღლებაში.აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 10-11 ივლისი.
4. გოგოხია თ., ბ, 2015. ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების დანერგვის სტიმულები და ბარიერები. ჟ.: “ეკონომისტი”, № 5.
5. შენგელია თ., 1997. ინოვაციური პროცესები: პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა.თბილისი, საქპროფგამის გამომცემლობა.
6. ჩიქავა ლ., 2006. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“.
7. Абесадзе Р., Бурдули В., 2014. *Структурные и инновационные проблемы экономического развития*. Тбилиси, Издательство Института экономики П. Гугушвили Тбилисского Государственного Университета им. И. Джавахишвили.
8. Аптон Г., 1982. *Анализ таблиц сопряженности*. Москва, Финансы и статистика (перевод с английского и предисловие Ю.П. Адлера).
9. *Инновации в переходном процессе (Доклад о переходном процессе за 2014 год)*, 2014. Публикация Европейского Банка Реконструкции и Развития.
10. Папава В., Месхия Я., 2003. *Проблемы инновационно-инвестиционной политики в Грузии*. Тбилиси.
11. *Руководство Осло. Рекомендации по сбору и анализу данных по инновациям*, 2010. Совместная публикация ОЭСР и Евростата. Москва.

12. *EBRD Transition Report 2014: Innovation in Transition*, 2014. European Bank for Reconstruction and Development (EBRD).

Available at: <http://www.ebrd.com/downloads/research/transition/tr14.pdf>

13. Mohnen, P. and Hall B., 2013. Innovation and Productivity: an Update. *Eurasian Business Review*, 3(1), pp. 47-65.

**Teimuraz Gogokhia**

Doctoral student

## **THE WAYS OF IMPROVEMENT OF INNOVATIVE ACTIVITIES OF GEORGIAN FIRMS**

### **Expanded Summary**

It is generally recognized the urgency and importance of innovative factor in all spheres and directions of the development of a modern economy.

Both theoretical and empirical literature emphasizes the key role and significance of innovations in economic growth and development.

Implementation of innovations is the best way to achieve and maintain competitive advantages of a firm.

At the same time, it is known that the increasing of firm's productivity and efficiency may be achieved by using excess capacity or production reserves, reducing total expenses or prime cost of a product, improving management quality etc. However, it should be noted that innovative activity plays the special role within firms.

The solution of the problems concerning the elaboration and implementation of effective measures of innovation-oriented firms is especially urgent and important for countries with transition economy, including Georgia.

The main goal of our research is to describe the existing state of innovative activity including technological (productive and process) and non-technological (organizational and marketing) innovations in Georgian firms and to draw up some ways of its improvement.

Conclusions and recommendations stemming from these research results may be used in innovative management at a firm level and in innovative national policy at a state level.

Recommendations concern two directions:

1. availability of finance;
2. development of necessary knowledge.

The main source of the data for the research is the micro-level dataset from the fifth round of the Business Environment and Enterprise Performance Survey (BEEPS V).

The survey was conducted by the European Bank for Reconstruction and Development (EBRD) and the World Bank Group (the World Bank) for 15,523 firms in 29 countries in the European and Central Asian region (including for 360 firms in Georgia) in the period of 2012-2014.

The sample was selected using stratified random sampling techniques.

Three levels of stratification were used in all countries:

- a.industry;
- b. establishment size and
- c.region.

Analyzing cross-tabulated BEEPS data we have found that:

1. in Georgian firms technological (productive and process) and non-technological (organizational and marketing) innovations are in statistically significant relationship with firm's size;
2. in Georgian firms technological (productive and process) and non-technological (organizational and marketing) innovations are not in statistically significant relationship with share (%) of foreign ownership in firm's capital;
3. in Georgian firms technological (productive and process) and non-technological (organizational and marketing) innovations are in statistically significant relationship with share (%) of full time employees who completed a university degree;
4. over the last 3 years Georgian firms which introduced technological (productive and process) and non-technological (organizational and marketing) innovations has not received any subsidies from the national, regional or local governments or European Union sources;
5. after “political instability” the biggest obstacle from elements of the business environment faced by Georgian firms is “access to finance”.

Based on the results of empirical analysis, it may be concluded that generally the level and intensity of innovative activities including technological (productive and process) and non-technological (organizational and marketing) innovations in Georgian firms is very low.

From our point of view, these circumstances are due to the problems which have been still facing the country since 2003.

In particular, Georgia does not have a science-based innovation national policy concept, there is no innovative-investment state program and no favorable climate for innovative activities.

Georgian government's main task should be to motivate firms for innovative activities.

This requires the availability of an appropriate business environment, which, on the one hand, will create incentives and, on the other hand, will remove the barriers to innovation activities for firms.

We think that main policy implication stemming from these study results is that providing easy access to financial resources is a crucial prerequisite necessary for promoting knowledge development activity in Georgia.

A number of policy options can be implemented for achieving this objective:

- development and liberalization of financial markets;
- liberalization of capital inflows and attracting Foreign Direct Investments (FDI);
- elaborating special industrial policy, which assumes providing government support to innovative companies in form of subsidies;
- introducing special tax regimes for large taxpayers who conduct innovative activity.

Besides, the government should develop and implement a special education policy including an undergraduate, master's and doctoral levels, which will help firms with highly qualified and competent personnel armed by corresponding modern knowledge and skills.

At the same time, according to the main recommendation for firms' innovative management stemming from our research results, we believe that it is economically desirable and appropriate, if firms implement the learning process within organization or fund the adequate study elsewhere for employees' knowledge and skills improvement, training or retraining.

ეკონომიკის ლოკატორი ღინა დათუნაშვილი იუბილარია

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, უფროს მეცნიერთანამშრომელს, ქალბატონ ღინა დათუნაშვილს, დაბადებიდან 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

ქალბატონი ღინა დაიბადა ქ. საჩხერეში, აქვე წარმატებით დაამთავრა II საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც განათლებულმა, ნიჭიერმა და წარჩინებულმა სტუდენტმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ფაკულტეტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო სტუდენტური სამეცნიერო წრის და ფაკულტეტის გაზეთის რედაქციის წევრი.

ეკონომიკის ინსტიტუტში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უმცროს და შემდეგ უფროს მეცნიერთანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანად. ქალბატონი ღინა ამჟამად აქტიურადაა ჩართული ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ საქმიანობაში, არის 75-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ქალბატონი ღინას მეცნიერული კვლევის თემატიკა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ქვეყნის აგრარული სფეროს ეკონომიკის განვითარების აქტუალურ პრობლემებთან. ამჟამად მისი კვლევის ობიექტია: საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა და მისი სრულყოფის გზები; ინვესტიციების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში; სოფლად დასაქმების, უმუშევრობის, სიღარიბის პრობლემები და სასურსათო უზრუნველყოფის საკითხები საქართველოში და სხვ. ქალბატონმა ღინამ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქვეყნის ტრადიციული დარგის, მებაღეურობის რეაბილიტაციისა და განვითარების საკითხებს.

იუბილარი რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის მონაწილეა. იგი წლების მანძილზე იყო არაერთი სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალური ოპონენტი. არის სამეცნიერო ნაშრომების, კრებულებისა და ჟურნალ „ეკონომისტის“ სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ქალბატონი ღინა არის მოკრძალებული, უპრეტენზიო, გაწონასწორებული პიროვნება, რომელიც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს ახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომლების წრეში. იგი ასაკის მიუხედავად, დღესაც სრული შემართებით და ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებს მეცნიერულ საქმიანობას და თავისი წვლილი შეაქვს ინსტიტუტის წარმატებაში.

ჟურნალ „ეკონომისტი“-ს რედაქცია, ინსტიტუტის თანამშრომლები და მეგობრები გულითადად ულოცავენ ქალბატონ ღინას საიუბილეო თარიღს და გულწრფელად უსურვებენ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.



**CONGRATULATIONS**

---

**DOCTOR OF ECONOMICS LINA DATUNASHVILI CELEBRATES HER  
ANNIVERSARY**

Scientific secretary of P. Gugushvili Institute of Economics, senior scientific worker Lina Datunashvili celebrates her 75 - th anniversary of birth and 45 – th anniversary of scientific activity.

Mrs. Lina was born in Sachkhere where she finished the school N2 excellently and continued her study at Tbilisi State University at the department of economics. While at the University she distinguished herself as the best educated, talented and successful student. She participated actively in scientific and public life of the faculty, was the member of students scientific circle and editorial Board of the newspaper of the faculty.

After post-graduate study at the Institute of economics she worked there as junior and senior scientific worker, head of laboratory and scientific secretary of the scientific Council of the Institute. Mrs. Lina is still actively involved in scientific and public activities, she is the author of more than 75 scientific works.

Mrs. Lina’s scientific research is significantly related to actual problems of economic development of agrarian sphere of the country. Currently her research object is: sectoral structure of Georgian agriculture and the ways of its improvement; the role of investments in the development of agricultural sector; rural employment, unemployment, poverty and food security problems in Georgia, etc. Mrs. Lina has devoted numerous works to the traditional sector – sericulture, its rehabilitation and development issues.

Mrs. Lina is a participant of a number of international and local conferences. She was an official opponent of many dissertations. She is a member of scientific editorial board of scientific works, collections of works and journal “*Ekonomisti*”.

Mrs. Lina is a modest, unpretentious, well-balanced person who enjoys great respect and love in a circle of relatives, friends and co-workers. Despite her age she is still full of enthusiasm and youthful vigor to continue scientific activities and contribute to the success of the Institute.

Editorial Board of journal “*Ekonomisti*”, the staff and friends of the Institute warmly congratulate Lina and sincerely wish her health and long life.

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ  
ვებგვერდზე: [ekonomisti.tsu.ge](http://ekonomisti.tsu.ge)

Journal “**Ekonomisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: [ekonomisti.tsu.ge](http://ekonomisti.tsu.ge)

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი სესილი ხანჯალაძე, ნატო აბესაძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Sesili khanjaladze, Nato Abesadze**